ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №27 (1728) | 20 — 26 ივლისი. 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი

## ვახტანგ გოგუაძე:



## წინა პარლამენტი შევარდნაძისათვის ხელსახოციც იყო და ფეხსახოციც

მეორე გვერდი

## განძის პრობლემა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში არსებობდა

მეოთხე გვერდი

## «მოქკავშირი თავისი ნაქურდალის ნახევარს მაინც დახარჯავს არჩევნებში»



მეორე გვერდი

## მეგრელებს ერევანშიც „გადაწვდნენ“...

მეორე გვერდი

## საბედისწერო ქება-დიდება

მესამე გვერდი

## „საქართველოს ხელისუფლება ისეთივე დამნაშავეა, როგორც არძინბას მთავრობა“

მესამე გვერდი

## ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

მეტად „სასიხარულო“ მოვლენა მოხდა საქართველოში, რომელმაც ძალიან აღაფრთოვანა ინტელიგენცია, პენსიონერები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურეები. დეპუტატების ხელფასი 100 ლარით გაიზარდა (ნაკლები რა მოსატანია). იმედი ვიქონიოთ, რომ პარლამენტარები, რომლებსაც ამომრჩევლებზე ფიქრით ბევრი ღამე უთენებიათ, საკუთარი სახსრებით ოდნავ მაინც გაუწევენ ფინანსურ დახმარებას თითოოროლა პენსიონერს და მარტოხელას, თორემ შარშანდელმა შემოდგომამ ისე მაგრად გაყინა ხელფასები და სტიპენდიები, რომ თბილისურმა ზაფხულმაც ვერ გაალღო.



მემარჯვენეობა და მემარცხენეობა...

## ესეც რჩეულთა ხვედრია!

ვეტინსპექცია ამას წინათ ბაზარს „დაეცა“, უფრო სწორად, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას და გარეთ მოვაჭრეები პეპლებივით მიმოფანტა აქეთ-იქით. საინტერესოა, სად უნდა წავიდეს ამდენი სავაჭროდ გამოსული ხალხი. ყველა რომ ბაზარში დადგეს, შიგნით მომხმარებლის შესვლა შეუძლებელი იქნება, არადა, რა ქნას საშოვარზე გამოსულმა თუ ჩამოსულმა კაცმა? როგორც ჩანს, ბაზარში დგომა და ვაჭრობა მხოლოდ „რჩეულთა ხვედრია“.

## ემზარ ჩაჩხიანი ისევ წვიმას ნატრობს, თან ძალიან ბედნიერია — იყიდე-გაყიდე ქარვასლა აღარ აწუხებს

მეექვსე გვერდი

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ყვავს თავისი ბახალა ყველაზე ლამაზი ჰგონია



ამას წინათ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ამერიკა მომავალშიც დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს, რადგან ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს დიდად აფასებს და ნდობას უცხადებსო, რადგან საქართველოში სტაბილურობის გარანტად ედუარდ შევარდნაძე მიაჩნიაო.

ეს სიტყვები შეიძლება შეფასდეს პოლიტიკური ყალთაბანდობის შესანიშნავ ნიმუშად. ამ სიტყვების მიხედვით, თუ საქართველოს მოაკლდება ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ბედნიერება, მაშინ იგი დესტაბილიზაციისა და უბედურების ზონად იქცევა და ამერიკაც თურმე ზურგს შეგვაქცევს. ასეთი საკენკით ცდილობენ ხალხის მოტყუებას ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგომი პრეზიდენტის გუნდის წევრები და იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ ამგვარი სიცრუის თქმით მატყუარას სახელს იხვეჭენ.

ჩვენ შეგვიძლია მარტივად ვუპასუხოთ პატივცემულ სახელმწიფო მინისტრს, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში შეუცვლელი პოლიტიკური ლიდერი არ არსებობს, მითუმეტეს ისეთი, რომელმაც საქართველოს ძირძველი ქართული კუთხეები: აფხაზეთი და სამაჩაბლო დაუკარგა, ხოლო ქვეყანა სრულ ეკონომიკურ კატასტროფამდე მიიყვანა, საიდანაც ასი ათასობით მკვიდრი მოსახლე უცხოეთში გარბის შიმშილით სიკვდილისაგან თავის გადასარჩენად.

რაც შეეხება ამერიკისა და დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების მხრიდან საქართველოთი დაინტერესებას, იგი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით აღმოჩნდა ყურადღების სფეროში, რაც შევარდნაძის ხელისუფლების დამსახურება სრულიადაც არ არის. ელემენტარულად, საქართველო არის კასპიის ნავთობის დასავლეთში ტრანსპორტირებისათვის დამაკავშირებელი საგზაო დერეფანი, ამ დერეფნით დაინტერესებულია შუა აზიის მზარდი ეკონომიკის მქონე რესპუბლიკებიც, რომ საქართველოზე გავლით და მისი საზღვაო პორტებიდან გაიტანონ თავიანთი ნედლეული და პროდუქცია დასავლეთში. რა თქმა უნდა, საქართველოც დაინტერესებული უნდა იყოს ამ დერეფნის ფუნქციონირებით, რადგან იგი არა მარტო შემოსავლის წყაროა, არამედ დასავლეთის ქვეყნების თანადგომის საფუძველიცაა ქვეყანაში სტაბილურობის დამკვიდრებისათვის. ეს ჭეშმარიტება ყველა ნორმალურ პოლიტიკოსს ესმის, მაგრამ ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ეს ესმის მხოლოდ ედუარდ შევარდნაძეს და მისი პრეზიდენტობა ქვეყანას ჰაერივით სჭირდება. ამაზე ითქმის: ყვავს თავისი ბახალა ყველაზე ლამაზი ჰგონიაო.

### ღირს თუ არა ღირს

მოქალაქეთა კავშირმა საარჩევნო კამპანიის პერიოდში გადაწყვიტა საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი გადმოასვენოს საქართველოში. როგორც ცნობილია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი საფრანგეთში ლევილის სასაფლაოზეა დასაფლავებული, სადაც განისვენებენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი 20-იანი წლების მოღვაწეები: საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, ცნობილი პუბლიცისტი და რევოლუციონერი კაკი წერეთელი და სხვები, საერთო ჯამში ამ სასაფლაოს ქართველ მოღვაწეთა პანთეონი შეიძლება ეწოდოს და რამდენად მიზანშეწონილია ამ პანთეონის დაცლა წმინდა საფლავებისაგან, ეს საკითხავი ნამდვილად არის. ლევილი და ლევილის სასაფლაო არის საფრანგეთის მიწაზე პატარა ქართული კუნძული თავისი ღირსშესანიშნაობებით, ჩვენ ამგვარი ქართული კულტურის კერები დაკარგული გვაქვს იერუსალიმში, სირიაში, ბულგარეთში და ახლა ჩვენივე გაუთვლელი ნაბიჯებით ვკარგავთ საფრანგეთში, ამიტომ ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. საჭიროა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და ამის შემდეგ უნდა დაისვას ამ პიროვნებათა ნეშტების გადმოსვენების საკითხი საქართველოში.

### ეს ბლოკი თუ დაეცათ...



ბათუმური ალიანსის შესახებ პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი უხარისხო ცემენტით არის გაკეთებული და სიმტკიცე არ ექნებაო. არადა, თუ ამ ალიანსში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები ერთი მიზნიდან გამომდინარე მყარ საარჩევნო ბლოკს ჩამოაყალიბებენ, მაშინ ამ ბლოკის დარტყმა იმდენად მძლავრი იქნება, რომ დაამსხვრევს მოქალაქეთა კავშირს და მას ვერც ის მუზარადი უშველის, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ახურავს თავზე თავის პარტიას.

### აძაც სცდება გაერო

გაეროს 1999 წლის ანგარიშის თანახმად, ბოლო 6 წლის განმავლობაში საცხოვრებელი პირობების მიხედვით მსოფლიოში კანადა პირველ ადგილზე იმყოფება, ხოლო საუკეთესო პირობები ქალებისთვის ნორვეგიაშია შექმნილი. გაერომ, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ფული თუ გაქვს, კანადა კი არა, საქართველოა საცხოვრებლად ყველაზე კარგი ქვეყანა და არსად ისეთი კარგი პირობები არაა ქალებისათვის, „როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქართველ ქალს მიეცა შესაძლებლობა, გამოამჟღავნოს თავისი ბიზნესმენური ნიჭი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმუმი (თუ არ გჯერათ, გადახედეთ ბაზრებს და დარწმუნდებით). საქმე თუ ასე წავიდა, ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიო ჩემპიონატზე „სიმძიმეების ზიდვაში“ ქალთა შორის ოქროს მედლით მკერდდამშვენებული მხოლოდ საქართველოს წარმომადგენელი იქნება.

## ინტერვიუ

### ვახტანგ გოგუაძე: წინა პარლამენტი შევარდნაძისათვის ხელსახოციც იყო და ფეხსახოციც...



**— ბატონო ვახტანგ, რამდენიმე დღის წინ თქვენ სვეტიცხოველში 12 მოციქულის დღის აღსანიშნავ საზეიმო ლოცვას ესწრებოდით, რომელსაც თბილისიდან მცხეთაში ფეხით ჩასული აქციის მონაწილეები შეუერთდნენ. ეს დამთხვევაა თუ ამ აქციასთან რაიმე გაკავშირებთ?**

— დიახ, აქციასთან ბევრი რამ მაკავშირებს. მე მივესალმები აქციის ყველა მონაწილეს, მაგრამ გამოგიტყდებით, ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად რატომ არ ჩავედი ფეხით თბილისიდან სვეტიცხოველამდე. არ მინდოდა ამას პოლიტიკური ხასიათი მისცემოდა. იცით, როგორი დამოკიდებულებაც აქვს ხელისუფლებას ჩემდამი.

მერე მეორეც, დედაენის ძეგლთან გამართულ სიწმინდეების საქართველოდან გატანის წინააღმდეგ მიმართული აქციის დროს თავსხმა წვიმაში მივედით მე და ბატონი ვალერი იქ და ბავშვებს სოლიდარობა გამოვუცხადეთ. მათ კი ერთ-ერთ გაზეთში სასტიკად გაგვლანძღეს რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერთან ერთად. არჩევნებში მხარდაჭერა მოგვთხოვესო, მეც ამ მიზეზების გამო ვერ გავყევი აქციის მონაწილეებს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე როცა მანქანით დავეწიე ფეხით მიმავლებს, მათ შორის ბატონ ნოდარ ნათაძეს, შემრცხვა, მაგრამ ჩამოსვლა და გზის გაგრძელება უკვე უხერხული იყო.

ერთი სასწაული მოხდა იმ საღამოს. მცხეთის ისტორიას რომ არ ახსოვს, ისეთი დელგმა იყო, მაგრამ, ღმერთის წყალობით, არავინ არ დაზიანებულა. ამ დროს კი თბილისში ცვარი არ ჩამოვარდნილა.

თორმეტი მოციქულის სახელზე აღვლენილ წირვას ეს აქცია ლამაზად შეუერთდა; დილას ხალხი ფიქრობდა, ეს რა სასწაული ხდებოდა, რას ნიშნავდაო; მცხეთა წმინდა ადგილია, ქრისტიანული საქართველოს ცენტრია. როცა წმინდა ნინო კერპებს ამსხვრევდა, ჭექა-ქუხილი და გრგვინვა ისმოდა; ასე მოხდა ახლაც, ამ ჭექა-ქუხილმა თითქოს გვამცნო, რომ სატანიზმი უნდა გავიდეს საქართველოდან. მე ახლაც ვგრძნობ იმ მადლს, პატრიარქის მიერ ჩატარებული ლოცვის დროს იმ დიდებულ დღეს რომ მივიღე.

აქციის მონაწილეთა შორის ბატონი ნოდარ ნათაძეც გახლდათ. მე ძალიან გულწრფელი ვარ ამ შემთხვევაში და მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ, ძალიან მადლობელი ვარ ამ კაცის, როგორც მოქალაქე, როგორც ქართველი, რადგან ეროვნული მოძრაობიდან მოსული სახელებიდან თითოოროლა კაცი დარჩა, რომელიც მართლა ეროვნულ პოზიციაზე დგას. სად არიან სხვა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ქვეყანაზე ყველაფერი დაავიწყდათ? საქართველო იღუპება, უბედურება სჭირს, ამას რატომ ვერ ხედავენ? მთავარია რუსი არ იყოს და მერე სულერთია — დაიღუპოს საქართველო?

**— მოკლედ, სიწმინდეების საქართველოდან გატანა დაუშვებლად მიგაჩნიათ...**

*გაგრძელება მე-4 გვ.*

### ნოდარ ნათაძე: მოქკავშირი თავისი ნაქურდალის ნახევარს ამ არჩევნებზე დახარჯავს



**— ბატონო ნოდარ, თქვენ ქრისტეს თორმეტი მოციქულის ხსენების დღეს თბილისიდან მცხეთაში მიმავალ აქციის მონაწილეებს შეუერთდით. რამ გადაგაწყვეტინათ ასეთი ნაბიჯი გადაგედგათ?**

— ეს აქცია გახლდათ პროტესტი ხატების საქართველოდან გატანის მცდელობის წინააღმდეგ, რომელიც დღევანდელი მმართველი ხროვის ერთ-ერთი უბინძურესი ნაბიჯია.

**— თუ არ ვცდები, თქვენ ერთადერთი პოლიტიკოსი იყავით, რომელიც ფეხით მიდიოდა მცხეთაში...**

— საქართველოში მე პოლიტიკოსი არ მეგულება საერთოდ, პოლიტიკური განათლება არავის არა აქვს, გარდა იმისა, ვინც დღეს საჭესთან დაუმსახურებლად ზის. არანაირ მოვლენაზე კანონიერი გზით ზეგავლენის უფლება არავის არა აქვს.

**— ბატონო ნოდარ, ეს მხოლოდ აქციის მონაწილეთა მხარდასაჭერად და გასამხნევებლად გააკეთეთ, მცხეთაში რომ გაემგზავრეთ, თუ ამასთან ერთად გწამდათ, რომ ღმერთი თქვენს ლოცვას შეისმენდა?**

— როცა არის კოლექტიური ლონისძიება რაღაც ერთობლივი ინტერესის დასაცავად და ეს ღონისძიება ტარდება, ასე ვთქვათ, ფიზიკურად, მოქალაქე ვალდებულია, რომ მონაწილეობა მიიღოს, თუკი შეუძლია. მე ჩემს ვალდებულებად ჩავთვალე, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა.

**— ეკლესია და რწმენა აქ არაფერ შუაშია?**

— ეს ეკლესიის ეგიდის ქვეშ ჩატარებული აქციაა, ეკლესიის ჩატარებული აქციაა თავისი შინაარსით.

**— როგორ გგონიათ, შესაძლებელია თუ არა რამენაირი აქციით შეყოვნდეს ის პროცესი, რომელიც ხატების გატანასთან დაკავშირებით ამდენ ხანს გრძელდება?**

— მე მგონია, რომ ეს იმდენად მხილებული ნაბიჯია ხელისუფლების მხრიდან, რომ მის განხორციელებას ველარ გაბედავენ, თუმცა მაქსიმალური სიფხიზლე გვმართებს.

**— ბატონო ნოდარ, საერთო ჯამში, როგორ გგონიათ, სად არის იმ სიწმინდეების ადგილი, რომელიც კომუნისტებმა ჩამოართვეს ეკლესიას თავის დროზე — ეკლესიაში თუ მუზეუმში?**

— ეს ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი საკითხია. იდეალური ვარიანტია, რომ ეკლესიას თვითონ ჰქონდეს სვეტიცხოველში ან სიონში ისეთი საცავი, სადაც იდეალური პირობები იქნება ამ წმინდა ნივთების შესანახად. მეორე, ამისგან სრულიად დამოუკიდებელი საკითხია, რომ საერთოდ არ შეიძლება ამ ნივთების საქართველოდან გატანა. ბევრი ნივთია ოჯახებში შენახული. ბევრ სიწმინდეს ინახავს ხალხი, თაყვანს სცემს და თაობიდან თაობას უნახავს. თუ მოხდა ამ სიწმინდეების საზღვარგარეთ გატანა და, როგორც ჩაფიქრებული აქვთ, მათი გაფლანგვა, გაფუჭება, დაგირავება, დაპატიმრება და განიავება, მაშინ ხალხი მონიწებას დაკარგავს და ოჯახები გაყიდიან იმ ნივთებს. აი, ეს ყველაზე დიდი საშიშროებაა, რომელიც დღეს

*გაგრძელება მე-3 გვ.*

## მეგრელებს ერევანშიც „გადაწვდნენ“...

ამ ბოლო ხანს, მავანთა და მავანთათვის, ნამეტანი „მოდური“ გახდა „მეგრული თემა“. ჯერ იყო და, მურმან ლებანიძის ლექსმა დაგვზაფრა ქართველები და ამ ზაფრიდან ჯერაც ვერ გამოვსულვართ, რომ ჩვენგან, თბილისიდან სამასიოდე კილომეტრის მოშორებით, სომეხთა დედაქალაქ ერევანშიც „გადაწვდნენ“ მეგრელებს. ვინმე ხარატიანმა, ერევნელმა მეცნიერმა, ერევანში შემდგარ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც კავკასიის ეთნოლოგიის საკითხებს მიეძღვნა, თავის მოხსენებაში ქართველები და მეგრელები ჯერ სხვადასხვა ეროვნებების კუთვნილებად გამოაცხადა, მერე კი მეგრელებს მთლად მოგვითავა ხელი: „В Грузии беженцы представлены большей частью мегрелами, которые, по мнению тбилисцев, портят высокую городскую культуру Тбилиси. “Истинные тбилисцы” избегают метро, которым, как дешевым транспортом, чаще всего пользуются беженцы: “метро пахнет мегрелами”.

ხედავთ, როგორ აწუხებს ჩვენს სომეხ „ძმას“ თბილისის ბედი. იმ თბილისის, რომელიც ბევრ ტვინგადაბრუნებულ სომეხს თავისი წინაპრების აშენებული ჰგონია (ამდენად, სომეხთა საკუთრებადაც მიაჩნია, ყოველ შემთხვევაში, ავლაბრამდე მაინც) და ყალბი რუკებითა და ფსევდო-მეცნიერული შრომებით მსოფლიოსაც უმტკიცებს ამას. გული სტკივა ხარატიანს, დევნილმა მეგრელებმა წაახდინეს თბილისის მაღალი საქალაქო კულტურაო (ანუ, მისი შეფარული აზრით, ისევ და ისევ სომეხთა მიერ შექმნილი კულტურა. აკი იმასაც ამტკიცებენ, რომ სომხები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ თბილისშიო), „ჭეშმარიტი თბილისელებიც“ (ალბათ, ისევ სომხები იგულისხმება) ამას ჩივიანო. მეტიც, ამ უკანასკნელთა თქმით, მეტროშიც აღარ ჩავდივართ, მეტრო მეგრელების სუნითაა გაჟღენთილიო.

ასეა თურმე საქმე — მეტრო მეგრელების სუნით ყოფილა გაჟღენთილი და არა სხვა ჯიშ-ჯილაგის სუნით.

ნეტა, რა სუნი გვიდის მეგრელებს ამისთანა, „ჭეშმარიტი თბილისელები“ და ერევნელი ხარატიანი ასე ძალიან რომ შეუწუხებიათ? ჩვენ, ცისფერთვალება, ქერა, თეთრკანიან მეგრელებს, განსხვავებით სომხებისაგან, თურმე სუნი გვდის, მაგრამ აქ ფიზიკური სუნი, ჩემი აზრით, იმდენად არ აწუხებთ ხარატიანს და მის „ძმებს“, აქ ალბათ სხვა სუნზეა ლაპარაკი, ანუ იმ სულისკვეთებაზე, დევნილმა მეგრელებმა და სოციალური პირობებით შეჭირვებულმა სხვა კუთხეების ქართველებმა თბილისში, ხარატიანისა და მისი „ძმების“ გაგებით, ოდესღაც ამ სომხურ ქალაქში რომ შემოიტანეს — ქართულ სულზე (არა სუნზე!), პატრიოტულ შემართებაზე, სხვა ერის შვილების (თუნდაც სომხების) ზედმეტად თავზე შემოჯდომის უფლების შეკვეცაზე და ა. შ.

აი, ეს აწუხებს, ამ აზრს დებს ხარატიანი თავის იმ სიტყვებში და ეს აზრი, ეს სიტყვები მას აქაურმა, თბილისელმა სომეხმა, „ჭეშმარიტმა თბილისელმა“ მიაწოდა ალბათ. ინფორმატორები, იცოცხლეთ, სომხებს ბლომად ჰყავთ აქ არა მხოლოდ ნაღდი სომხების, ზოგიერთი ტვინგადაბრუნებული „ჭეშმარიტი ქართველის“ სახითაც და ესენი ასაზრდოებენ სულიერად იმ სომეხ მეცნიერთ, წიგნებს წიგნებზე და რუკებს რუკებზე რომ სცემენ სომხურ-ინგლისურ-ფრანგულ-რუსულად და ულმერთოდ აყალბებენ ჩვენს ისტორიას, ისაკუთრებენ არქიტექტურულ ძეგლებს, ეკლესიებს, თვით რუსთაველსაც კი.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ცეცხლზე ნავთს ვასხამთ (არ მინდა მაგალითების მოყვანა, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის). იმის მაგივრად, რომ ერთ მუშტად შევიკრათ, ერთად დავდგეთ, ერთმანეთს ვლანძღავთ, ვთათხავთ, შეურაცხყოფას ვაყენებთ. სულში ვაფურთხებთ და ჩვენივე ბედოვლათობით ჩვენსავე პოტენციურ მტრებს ჩვენზევე იქედნურად ვახითხითებთ.

ერევანში გამართულ ამ კონფერენციაზე და იქ ხარატიანის გამოსვლის შესახებ ინფორმაცია „სვობოდნაია გრუზიაში“ დაიბეჭდა 26 ივნისს. იქვე დაისტამბა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს განცხადებაც, სადაც საკადრისი პასუხი გაეცა ხარატიანსა და მის მსგავსთ. ისტორიის ინსტიტუტს მადლობა უნდა ვუთხრა ამისათვის, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნო, რომ ეს არაა საკმარისი. საჭიროა გულმოდგინე, მუყაითი შრომა, რათა მსოფლიოს გავაგებინოთ, თუ ვინ ვართ ქართველები, რა ისტორია გაგვაჩნია, საიდან მოვდივართ, რა კულტურის მქონე ერი ვართ და ა. შ. მხოლოდ ასე შევძლებთ გავაქარწყლოთ საქართველოზე ის ცრუ შეხედულებები, რასაც ასე აქტიურად ავრცელებენ მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენი მეზობელი ქვეყნის ვაი-მეცნიერები.

**სერგო ჯანაშია**

## ინტერვიუ

### მალხაზ პატარაია:

# საქართველოს მთავრობაც ისეთივე დამნაშავეა, როგორიც არძინბას მთავრობა...

**— კოდორის ხეობაში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების „დროებითმა ტყვეობამ" საზოგადოების მიერ განსხვავებული შეფასებები მიიღო. ბევრმა ტერაქტად მიიჩნია, ზოგმა — გაფრთხილებად, ბევრიც ირონიით შეხვდა ამ ფაქტს. იმასაც ამბობენ, რუსეთის ხელი ურევიაო...**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი ირონიით შეხვდა ამ ამბავს. მეტსაც გეტყვით — ლტოლვილთა დიდი ნაწილი სიმპატიით არის განწყობილი იმ ადამიანთა მიმართ, ვინც აფხაზეთის მთავრობას ცემა. რაც შეეხება იმპირატორებს, მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დისკრედიტაციის გეგმა დიდი ხანია არსებობს. საქართველოს ხელისუფლება ასრულებს აფხაზეთის ჩაბარების პროგრამას და მასში თავისი ადგილი უჭირავს აფხაზეთის მთავრობის მოშლას. ჯერჯერობით ლეგიტიმური ხელისუფლება საჭიროა, რადგან ასრულებს ერთგვარი მეხამრიდის, ჯავშანჟილეტის ფუნქციას უკმაყოფილო დევნილებსა და ხელისუფლებას შორის, მაგრამ როგორც კი ამ ფუნქციას ამოწურავს, შევარდნაძის რეჟიმი მაშინათვე გააუქმებს მას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოდორის ხეობაში მომხდარი ფაქტი გათვლილი იყო და კონკრეტული ავტორ-შემსრულებლებიც ჰყავს, ეს არის საქართველოს ხელისუფლება. მას სურს, აგრეთვე, რაც შეიძლება დაასუსტოს კოდორის ხეობა. 7 წელია არსებობს ამ ხეობის ჩაბარების საშიშროება.

თვითონ ფაქტი, რომ კოდორის ხეობაში შეურაცხყოფა მიაყენეს აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებს, შეიძლება ლტოლვილთა განსახლების ადგილებში მათი ვოიაჟების დროსაც განმეორდეს. იმდენად დიდია უკმაყოფილება, აქ სრულებითაც არ არის საჭირო ვილაცისთვის სპეციალური დაკვეთის მიცემა.

**— დასავლეთ საქართველოში, თბილისში, სადაც დევნილთა დიდი რაოდენობაა?**

— დიახ, არის ძალიან ხელსაყრელი ფონი უკმაყოფილო დევნილების სახით, მსგავსი რამ მოხდეს და დამთავრდეს უფრო სამარცხვინო შედეგებითაც. ამიტომ მივმართავთ აფხაზეთის ხელისუფლებას — დროზე შეაფასონ არსებული ვითარება და რაც უფრო ადრე წავლენ თანამდებობებიდან, მით უკეთესია მათთვისაც და დევნილებისთვისაც.

**— კი მაგრამ, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება შენარჩუნებული ხომ უნდა იქნეს? მის გარეშე აფხაზეთის დაბრუნება უფრო გაძნელდება.**

— რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, დაიშალოს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, ყოველნაირად წინ აღვუდგებით მისი დაშლის რეალიზაციას, მაგრამ თვითონ პოზიცია უნდა შეიცვალოს. დადიან უსარგებლო ვიზიტებით უცხოეთში, ატარებენ ასევე უსარგებლო კონფერენციებს აფხაზეთის გენოციდზე. გარდა ამისა, აფხაზეთის ხელისუფლებას არავითარი გავლენა არა აქვს დევნილებში, პირიქით, მათი ამდენი ხნის მოქმედება შევარდნაძის რეჟიმის სადარაჯოზე ნეგატიურ შეფასებებს იწვევს მათში. უამრავი პრობლემა აქვს ამ ხალხს, მაგრამ აფხაზეთის ხელისუფლება ან ვერ ამჩნევს ამას, ან დუმს, რადგან მისი ფუნქცია არ არის ხალხის სამსახური. ისინი არიან ხელისუფლების წარმომადგენლები დევნილებში და არა დევნილთა წარმომადგენლები ხელისუფლებაში.

ჩვენ ვფიქრობთ, აფხაზეთის სტრუქტურების შენარჩუნების მთავარი პირობა არის მათი დემოკრატიზაცია. დღეს ეს სტრუქტურები არის ერთი პირის საწარმო, სათავეში დგას ერთი პირი და მას ემორჩილება უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო, არის შერწყმა პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების. თუ სადმე მიდის აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენელი, იქ აუცილებლად ატარებენ პარტიულ აგიტაციას აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის მხარდასაჭერად. აბსოლუტურად მონოპოლიზებული აქვთ აფხაზეთის ტელევიზია. სხვა პარტიები და ორგანიზაციები არ არის წარმოდგენილი, განსხვავებული აზრი იდევნება (ბორის კაკუბავას მაგალითიც საკმარისია). ინილბებიან აფხაზეთში ძალისმიერი მეთოდით შესვლით, მაგრამ ფაქტიურად აკეთებენ იმას, რასაც ხელისუფლება უბრძანებს. თამაზ ნადარეიშვილის როლი იმაში მდგომარეობს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებს შორის ის არის ხელისუფლების „მოწინააღმდეგე", „ოპოზიციონერი", იმას, რომ არ იზიარებს ამ პოლიტიკას, მაგრამ, როგორც კი მოლაპარაკების დრო დგება, ან დუმს, ან ამბობს: თუ ამან შედეგი გამოიღო, შესაძლებელია ამ გზითაც წავსულაო. ეს იმიტომ ხდება, რომ იცის ხელისუფლებამ დევნილთა განწყობილება და იყენებს ნადარეიშვილს, როგორც ვითომ ოპოზიციონერს.

საჭიროა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დემოკრატიზაცია, ჩვენ ვთავაზობთ ვაკანტურ ადგილებზე დამატებით არჩევნებს. დაახლოებით 40 დეპუტატი უნდა აირჩეს, რომ მოხდეს დევნილთა სფეროში რეალური მდგომარეობის ასახვა, ყველა მოძრაობა და პარტია უნდა იქნას წარმოდგენილი. ძირფესვიანად უნდა მოხდეს აღმასრულებელი სტრუქტურების რეორგანიზაცია.

**— ვითომ ახალი დეპუტატები გააკეთებენ რამეს?**

— მე მეეჭვება, რომ ახალი არჩევნების შემდეგომ ძველი ნომენკლატურული ხალხი მოვიდეს ხელისუფლებაში. ვინც მოვა, ის აუცილებლად შესძლებს ლტოლვილთა ინტერესების გამოხატვას, ეს იქნება ნამდვილად ეროვნულად, პატრიოტულად განწყობილი ხალხი.

**— ახლა ყველა პატრიოტულად არის განწყობილი.**

— ხე ნაყოფით გამოიცნობა.

**— ეროვნულად განწყობა ერთია, ეროვნული პოლიტიკის გატარება — მეორე. თუ საშუალებები არ გექნათ, როგორ გაატარებთ ეროვნულ პოლიტიკას?**

— არის საშუალებები. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, როცა ასეთი მდგომარეობაა შექმნილი, ყველაფერს უნდა დაერქვა თავისი სახელი. როცა ლაპარაკია აფხაზეთის მოვლენებზე, უპირველესად უნდა ითქვას, რა იყო ეს. ხელისუფლება ამბობს, რომ ეს იყო აფხაზურ-ქართული კონფლიქტი, ჩვენ ვამბობთ — ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი. ხომ არის განსხვავება? ადრეც რომ გაეკეთებინა ეს განცხადება, არ იქნებოდა ასეთი სავალალო შედეგები. სწორედ ასე უნდა დაისვას საკითხი საერთაშორისო დონეზე, გამოყენებულ იქნას ყველა ხელმისაწვდომი დიპლომატიური საშუალება. ეს საკმარისი იქნება, განეიტრალდეს რუსული ფაქტორის გავლენა.

**— უცხოეთში სიარული და განცხადებები არ დაუკლიათ, მაგრამ რა შედეგი გამოიღო.**

— მაგრამ ისინი ამბობდნენ, რომ ეს არის აფხაზურ-ქართული კონფლიქტი. მოლაპარაკებებს აწარმოებენ არძინბასთან, შუამავლად ჰყავთ აგრესორი. ამ მოლაპარაკებებზე ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ რუსეთს აეცილონ პასუხისმგებლობა, ინილბება, რომ რუსეთი არის ქართველი მოსახლეობის გენოციდის და ეთნოწმენდის მომწყობი აფხაზეთში. ამიტომ ვამბობთ — საქართველოს ხელისუფლება არის თანამონაწილე რუსეთის მიერ აფხაზეთში განხორციელებული აგრესიის, ქართული მოსახლეობის გენოციდის. საქართველოს მთავრობა დამნაშავეა, როგორც არძინბას მთავრობა. ვერც რუსეთი, ვერც არძინბა და მთელი კავკასია ვერაფერს გვიზამდა, საქართველოს ხელისუფლებას ასე რომ არ ემოქმედა.

თავისთავად აფხაზურ-ქართული კონფლიქტი წამგებიანია არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ რეალურად არ ასახავს აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე ორ მხარეს, არამედ იმითაც, რომ აფხაზი და ქართველი სხვადასხვა არ არის, ისევე, როგორც ქართლელი, კახელი და ა. შ. დიდი შეცდომა იქნა დაშვებული. აფხაზეთი იგივე საქართველოა, როგორც სამეგრელო, გურია, კახეთი და ა. შ. აფხაზები ვართ ჩვენ, ამიტომ ვამბობთ: დავაბრუნოთ აფხაზები აფხაზეთში!

**— აფხაზეთის დაბრუნება ყველას გვინდა, მაგრამ განსხვავებული აზრები არსებობს დაბრუნების გზებზე, ზოგი ძალისმიერ მეთოდს უჭერს მხარს, ზოგი — მშვიდობიანს. ეს უთანხმოებაც ხომ არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი?**

— საერთოდ, აფხაზეთში ქართველ მოსახლეობაში ჯგუფები კი არ არსებობდა, იყო ორი გამოკვეთილი ხაზი. ერთი, რომელსაც ატარებდა საბჭოთა ხელისუფლება და შემდგომ პოსტკომუნისტურ ხანაში, რომელიც მდგომარეობდა რუსული ფაქტორი, მიჩუმათებით, აფსუა ხალხის წარმომადგენლებისათვის გაუმართლებელი პრივილეგიების მინიჭებით და მათი ანტიქართული მოქმედების დაუსჯელობით. ეს იყო კომუნისტების დროსაც, გამსახურდიას ხელისუფლების დროსაც, ასე ხდებოდა ომის დროს და ხდება ახლაც. მეორე არის ეროვნული მოძრაობის ხაზი, რომლის პოზიცია არასდროს არ იყო გაზიარებული ხელისუფლების მიერ, ის სრულიად საპირისპირო ღირებულებაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს არის რუსული ფაქტორის მხილება და დაფიქსირება, როგორც აფხაზეთის მოვლენების მონაწილის, ინსპირატორის და აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში დამნაშავეთა დასჯა, განურჩევლად ეროვნებისა. ეს არის ძალიან მკაფიო და გამოკვეთილი პოზიცია სამართლიანობისა და სამართლისადმი.



ჩვენ ხელისუფლებისაგან სრულიად განსხვავებულ ხაზს ვატარებთ. და არა ერთი და ორი წელია, მაგრამ პოლიტიკის რანგში ვერ ავიყვანეთ ჩვენი დამოკიდებულება და მიმართულება აფხაზეთის საკითხისადმი. ამიტომ მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ვილაპარაკო იმაზე, რომ ხელოვნურად იქსაქსება ძალები.

ისევ ის ორი ხაზი ეჯახება ერთმანეთს როგორც საქართველოს სინამდვილეში, ისე აფხაზეთის დევნილების სინამდვილეში. სხვა დანარჩენი არის აქედან გამომდინარე განშტოებები.

ჩვენს მოძრაობას ჰქვია „დაბრუნება". დევნილებს რასაც ვთავაზობთ, ეს სათაურშიც ჩანს. არ შეიძლება სტატისტის როლში იყო და აკვირდებოდე მოვლენებს. საჭიროა მოძრაობა.

**— სანამ აფხაზეთში დავაბრუნებდეთ ლტოლვილებს, აქ უნდა შევუქმნათ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. მაგრამ ხშირ შემთხვევაში პირიქით ხდება, ჩიტაძის ქუჩის მაგალითიც მოწმობს ამას.**

— ჩიტაძის ქუჩაზე მომხდარი ამბავი ცალკე საუბრის თემაა. ის პრობლემები, რაც ხელისუფლებამ დევნილებს შეუქმნა, ერთბაშად გამოჩნდა ამ ფაქტთან მიმართებაში. ლტოლვილთა გენოციდის პოლიტიკას ხელისუფლება გეგმაზომიერად ეწევა. ჩვენ ამას ადრეც ვამბობდით და ახლაც ვამბობთ. ხელისუფლების მიერ ხელოვნურად არის შექმნილი ლტოლვილთათვის მძიმე სოციალური, საყოფაცხოვრებო პრობლემები. ამ 7 წლის განმავლობაში საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილეს ლტოლვილ-

გაგრძელება მე-6 გვ.

## ახალ-ახალი ამბები

### რეპლიკა-კომენტარებით

#### გურული გორში



ამას წინათ გორს პრეზიდენტი ეწვია. დიდი გურულის სტუმრობა ნუ გგონიათ ხუმრობაო, ამბობდნენ იმ დღეს გორელები, რომლებიც საყვარელ სიძეს განსაკუთრებული ფაცი-ფუცით შეხვდნენ. მოსახლეობა ამ ფაქტთან დაკავშირებულ მოვლენებს აღფრთოვანებით შეხვდა, რადგან ქალაქში გამოცხადდა ფეხით სიარულის დღე (გზები დაკეტილი იყო) და, რაც მთავარია, ქალაქს მთელი დღის განმავლობაში მიეწოდებოდა ელექტროენერგია, მაგრამ გავიდა თუ არა პრეზიდენტი ქალაქიდან, სინათლეც გამორთეს (მეტი არ მოგივიდეთო). გორელებს ისეთი პირი უჩანთ, რომ, ალბათ, საპროტესტო აქციას მოაწყობენ მოთხოვნით — პრეზიდენტი კვირაში სამჯერ მაინც ჩავიდეს გორში და რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს, თორემ მოსახლეობამ მხოლოდ ისლა იცის, გვადალუპეს რა პრობლემები აქვს.

და კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა იმ დღეს. გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარულმა ინსტიტუტმა უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო და თავის პირველ საპატიო პროფესორად ედუარდ შევარდნაძე აირჩია. მოკლედ, „ვივა, აკადემია, ვივა, პროფესორა!"

#### საბედისწერო ქება-დიდება



ძვირად დაუჯდა გოგი თოფაძეს ნომერ პირველ მეწარმედ აღიარება. მეორე დღეს მის სამფლობელოს ყადაღა დაედო. ასე რომ, მეწარმეებო, უფრთხილდით პირველობას!

#### ოხ, ეს ქალები!

აშშ-ს პირველ ლედის სენატორობა გულით სწადია და მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „ქალმა თუ გაიწიაო". ჰოდა, ალბათ, ჰილარი კლინტონი ამ დიად ოცნებას წარმატებით აისრულებს. ჩვენ კი უნდა „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!" ნეტავი, ჩვენს პირველ ლედის რა სწადია გულით?!

### ნოდარ ნათაძე:

# მოქკავშირი თავისი ნაქურდალის ნახევარს ამ არჩევნებზე დახარჯავს

მეორე გვერდიდან

ჩვენს წინაშე დგას.

**— ბატონო ნოდარ, ერთ-ერთი სასულიერო პირისგან ქადაგების დროს მსმენია, რომ გავუფრთხილდეთ იმას, რაც ჯერ**



**კიდევ არ გაუტანიათ, თუ ცოტა რამ გადაგვრჩაო. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ უკვე გატანილი სიწმინდეების შესახებ?**

— გასულია აუარებელი სიწმინდე. ქართული ეკლესია XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასასრულში რუსეთმა გაძარცვა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. აუარებელი ხატები და ჯვრები გაიტანა. უძრავი ქონება წაართვა ეკლესიას. მარტო მოძრავი ქონება ქართულ ეკლესიას 1801 წლიდან 1907 წლამდე 70 მლნ-ისა წაართვა, ამაზე არის წიგნი — „Судьба Грузинской церкви". ავტორი ხელს არ აწერს.

**— ბატონო ნოდარ, არჩევნების წინ სიწმინდეებთან ერთად ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი პრობლემად გადაიქცა, პრობლემა გახდა თვით არჩევნები, სულ მალე გადაწყდება ბარიერის 7%-მდე აწევა-არაწევის საკითხიც. როგორია თქვენი პროგნოზი?**

— მე მგონია მიიღებენ.

**— გარკვეული პარტიები არ უჭერენ მხარს ამ ცვლილებას.**

— გარიგება მოხდება.

**— საბოლოო შედეგი?**

— არჩევნების აბსოლუტური გაყალბების მცდელობა იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ამას.

**— რა გზებით აპირებთ ბრძოლას?**

— ჯერ ერთი, მეთვალყურეთა კარგი შერჩევით და ძალიან დიდი აქტიურობით, მერე, პირდაპირ ქუჩის აქციებით და, რაც მთავარია, ეროვნული მიმართულების და მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების პარტიების ერთიანი ფრონტით გამოსვლით.

**— არჩევნების წინ „სიურპრიზებს" არ უნდა ველოდოთ? ამგვარი სიურპრიზებით საკმაოდ ხშირად გვანებივრებენ.**

— ძალიან ბევრნაირ პროვოკაციებს უნდა ველოდოთ. აი, ახლა რომ ხდება ხელოვნური სიმულაცია კონფლიქტისა თბილისურ და ბათუმურ ჯგუფს შორის, ეს პროვოკაციის ერთ-ერთი ელემენტია, სინამდვილეში კონფლიქტი არ არსებობს.

**— მეთვალყურეთა გაძლიერებული კონტროლის შედეგად ხმების გაყალბების შესაძლებლობა რომ გამოირიცხოს კიდეც, მიგაჩნიათ, რომ შესაძლებელია ამ 7%-იანი ბარიერის გადალახვა არასაპარლამენტო პარტიებისათვის?**

— გაყალბების მცდელობა მაქსიმალური იქნება, მაგრამ ბრძოლა შესაძლებელია. ეს დამოკიდებულია მეთვალყურეებზე და არჩევნების ორგანიზაციაზე პარტიების მხრიდან.

**— არჩევნების მოგება შიშველი ხელებით შეუძლებელია, ამისათვის გარკვეული თანხებია საჭირო. ბევრ საპარლამენტო პარტიას სხვადასხვა გზებით და საშუალებით მოეპოვებათ ფინანსები, არასაპარლამენტო პარტიებს კი არანაირი საშუალება არ გააჩნიათ ფინანსური თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში მაინც შესაძლებელია, რომ გაიმარჯვონ?**

— რა თქმა უნდა, მოქკავშირი თავისი ნაქურდალის ნახევარს არჩევნებზე დახარჯავს, მაგრამ ამის კომპენსაცია შეიძლება ჭკუით, ენერგიით და, რაც მთავარია, თავდადების უნარით.

**— ბატონო ნოდარ, თუკი ხელისუფლება არ შეიცვლება და სათავეში კვლავ ის ძალები დარჩებიან, ვინც დღეს არიან, როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი საქართველო?**

— ესენი თუ კიდევ ერთი ვადით დარჩნენ ხელისუფლებაში, უკანასკნელ ძაფამდე გაყიდიან საქართველოს და არაფერი აღარ დაგვრჩება ჩვენ. ამათი ხელისუფლებაში დატოვება საქართველოს განწირვას ნიშნავს.

**— არჩევნების გზით შესაძლებელია, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემების მოგვარება, ანუ ამ ხელისუფლების თავიდან მოშორება? თავის ძალაუფლებას და სავარძლებს იმდენად მყარად მოერგნენ, რომ დაეჭვების საშუალებასაც არ გვიტოვებენ ...**

— არჩევნების გზით შესაძლებელია, თუკი ეს არჩევნები მართლა მებრძოლი ხასიათისა იქნება. ეს ხელისუფლება ძალიან უძლურია, აბსოლუტურად უძლურია, მართალია, დიდი ფული აქვთ, მაგრამ ფულის გარდა არაფერი გააჩნიათ, მათი მხარდამჭერნი საქართველოს მოსახლეობის 30%-ის ფარგლებში თავსდება, რომლებიც ეროვნებით ქართველები არ არიან. ისინი მექანიკურად აძლევენ ხმას, მაგრამ მე იმედი მაქვს, ამ არჩევნებზე უფრო მეტი სახელმწიფოებრივი შეგნება იქნება მოსახლეობაში და მისი დიდი ნაწილიც არ მისცემთ ხმას. გარდა ამისა, არის ადმინისტრაციული ხროვა, რომელიც იკვებება კორუფციით და უკანონობით, ესენიც ამ ხელისუფლების მხარდამჭერნი არიან, მეტი არავინ.

დანარჩენ მოსახლეობას, დანარჩენ ხმებს სჭირდება ორგანიზაცია, რომელიც დამოკიდებულია პარტიებზე.

**მანანა ლომჯარიძე**

# განძის პრობლემა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში არსებობდა



**ქართული ეროვნული მუზეუმი**

*პატივცემულო რედაქციავ, მინდა თქვენის მეშვეობით მივმართო საზოგადოების იმ ნაწილს, რომელნიც შემთხვევით გადარჩენილ ეროვნულ-სიწმინდეს — განძს აღიქვამენ, როგორც შემოსავლისა და გამდიდრების საშუალებას. მე მინდა შევახსენო მათ ჩვენი დიდი წინაპრის და მოღვაწის — მიხეილ ჯავახიშვილის ერთი წერილი, რომელიც ჯერ კიდევ 1909 წელს დაიწერა. რამდენად დიდი ტკივილია ამ წერილში ჩადებული, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო იზრდება ეს ტკივილი დღეს, როდესაც ვხედავთ, საზოგადოება თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე სულიერად არ ამაღლებულა და ის იმ დონეზე დარჩა, რა დონეზეც ჯაყო იყო.*

*მიუხედავად ჯაყოთა და დოქსოპულოთა სიმრავლისა, ვერავინ ამოშლის საქართველოს ისტორიიდან ასი ათასი მოწამის სახელს. ღვთისმშობლის მფარველობით და წყალობით საქართველოში მუდამ იქნებიან თევდორე მღვდლები, არაგველები, ხერხეულიძეები... რომლებიც ღმერთისათვის და სამშობლოსათვის არ დაიშურებენ სიცოცხლეს.*

*იმედია, მიხეილ ჯავახიშვილის ტკივილი ახლა მაინც გაგვინათებს სულს, რათა სამუდამოდ წყვდიადში არ დავრჩეთ.*

*პატივისცემით დეკანოზი ზაქარია.*

ქართველმა ერმა ოცი საუკუნის გზა განვლო და მცირე ერთა სულიერ და გონებრივ კულტურის სალაროში თავისი მცირე წვლილი შეიტანა, მაგრამ სწორედ იმ დროს, რომ დადგა ხანა ამ ერთა განახლებისა და აღორძინებისა, ბრმა ჩარხის უკულმა ტრიალისა და ქართული დაუდევრობის გამო ლამის სამუდამოდ ამოიშალოს კაცობრიობის ისტორიის წიგნიდან ის ერთი ფურცელი ქართველის შესახებ, რომელიც ესოდენ სისხლითა და ცეცხლით არის ჩაწერილი ჩვენი მამა-პაპების და წინაპრების მიერ. მთელი ნაღვაწი და ნაამაგარი ქართველის სულიერი და გონებრივი შემოქმედებისა, მწვავე ალში გატარებული და ათას თაობის ოფლში ნაწრთობი, მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე იქნა მიტანილი და ჩაბარდა ახალ თაობასა და ახალ ძალებს იმ იმედით, რომ ისინი ძველს ახალს მიუმატებდნენ, გაზრდიდნენ, დაამშვენებდნენ და გაამაგრებდნენ ეროვნულ კულტურის ტაძარს.

სრული ერთი საუკუნე გადის, რაც მთელ განათლებულ ქვეყნის აგენტები დაუკითხავად დაძრწიან ჩვენს უპატრონო მამულში და დაუკითხავადვე გააქვთ უცხოეთში უკანასკნელი ნაშთები და ნანგრევები ჩვენი შემოქმედებისა და წარსულ დიდებისა, ჩვენი ნაშრომი და ნაამაგარი, ღვაწლი და ანდერძი ჩვენი წინაპრებისა. თვითეული ნაშთი, საქართველოდან გატანილი, ნაფლეთია ჩვენი ერის სულიერ სხეულისა, ერთი ჯამი სისხლია იმის ორგანიზმისა, ნაკვთია იმის ტანისა, ნაწილი მისი სულისა. მთელი საუკუნის განმავლობაში უცხოელნიც და შინაურნიც, მახლობელნიც და შორეულნიც გულმოდგინედ და შეგნებით ანგრევენ სულიერ ხიდს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის, სწყვეტენ საერთო ძაფს, შლიან ჩვენი კულტურის კვალს და უძირო ხრამს სთხრიან აწმყოსა და წარსულს შორის. სთხრიან და კარგად იციან, რასაც სჩადიან.

მოკვდა ძველი საბერძნეთი, როგორც სახელმწიფო. გადაშენდა ელინი, როგორც ერი, მაგრამ იგი მაინც ცოცხალია, როგორც ფსიქოლოგიური ერთეული და განსაზღვრული სულიერი არსება. ელინთა ლიტერატურამ, ქანდაკებამ და არქიტექტურამ სამუდამოდ იხსნეს ეს ერი სიკვდილისაგან და დაუმკვიდრეს მას საუკუნო ხსენება და უკვდავება. ცოცხალი და უკვდავია მხოლოდ ის ერი, რომელმაც აღადგინა თავისი წარსული ცხოვრება, დაიხატა წარსული თავის წინაპართა შემოქმედებისა და მუნ იცნო თავისი ძალა და ჰპოვა იმედი მომავლისა.

გადაშენდა ძველი საბერძნეთი, მოისპო მძლავრი რომი, აღიგავნენ დედამიწის ზურგიდან ეგვიპტე, ასურეთი და ათასი მათი მსგავსი ერი და სახელმწიფო, მაგრამ გამქრიახმა და შორსხედულმა ევროპამ თითქმის სავსებით აღადგინა სურათი მათის ცხოვრებისა და თავის დედაქალაქების მუზეუმებში გააცოცხლა მათი სულიერი და გონებრივი სხეული. ინგლისელებმა თავიანთ ბრიტიშ-მუზეუმში გადაიტანეს უნჯი მოწამენი ეგვიპტისა — საუკუნო საიდუმლოებით მოცული სფინქსები — თითქმის მთე-

*გაგრძელება მე-13 გვ.*

## ვახტანგ გოგუაძე:

# წინა პარლამენტი შევარდნაძისათვის ხელსახოციც იყო და ფეხსახოციც...

*მეორე გვერდიდან*

— ეს დიდი ტრაგედიაა. ქრისტეს დაბადების 2000 წლისთავზე დიდი ზეიმი არ არსებობს და ჩვენ სიწმინდეების გარეშე უნდა შევხვდეთ მას? ახლა ანტიქრისტეს ბატონობის ეპოქაა. მაგრამ ეს მალე დამთავრდება. ღმერთის გარდა არანაირი იმედი არ არსებობს. ღმერთს უნდა მივენდოთ, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. ღმერთს რომ მიენდო, ღრმად უნდა გწამდეს, გულში.

თუ სიწმინდეებს გაიტანენ საქართველოდან, მას აღარ დაგვიბრუნებენ, ეს ყველას კარგად ესმის, მაგრამ, თუ მას ასე ძალით წაგვართმევენ, ეს კარგს არაფერს უქადის მოძალადეს. ჩვენ უფალი დაგვანახებს ამას. სანამ არ დავისჯებით, მანამ არც ჩვენ მოვალთ გონს. ქართველებს რად გვინდა სიწმინდეები, მუზეუმი, განძეული?! ჩვენ უნდა ჯიხურებში ვიდგეთ მოსამსახურეებად!!! ნაცვლად აღთქმული შვეიცარიის მსგავსი ნეიტრალური ქვეყნისა მივიღეთ შვეიცარების საქართველო. დაბეჩავდა ხალხი. დასავლეთიდან როცა ათეული წლის წინ პროვოცირებული იყო ეროვნული მოძრაობა, ასე იყო დაგეგმილი: ყველაზე ეროვნული ლოზუნგებით გაენადგურებინათ ყველაფერი ეროვნული.

**— ბატონო ვახტანგ, იყო დრო, როცა კომუნისტები ეკლესიებს ანგრევდნენ და ათეიზმს ქადაგებდნენ, თქვენც კომუნისტი ხართ. როგორ უთავსებთ ერთმანეთს პარტიულობას და სარწმუნოებას, გამოდის, რომ გარკვეულ საკითხებში კომპარტიას ღალატობთ?**

— 1982 წლის 2 ნოემბერს პარტიულ კონფერენციაზე გამოვიდა ერთი კათედრის გამგე — ამისთანა მოწამლული ანტიმარქსისტი არ მინახავს, ორი წიგნი დაბეჭდა, ორივე ქრისტიანობის აპოლოგია არისო. ასე რომ, მე პერესტროიკიდან არ დამიწყია მორწმუნეობა.

თქვენ თუ ფიქრობთ, რომ დღეს რომელიმე კომუნისტი ათეისტია, ძალიან სცდებით. ახლანდელი ათეიზმი გაცილებით საშიშია, ვიდრე ბოლშევიკური ათეიზმი. უბრალო ბოლშევიკმა ტაძრის თავზე რომ ჯვარი მოსტეხა, ღმერთი თუ არსებობს დამსაჯოსო, ის უცოდინარობით მოსდიოდა, მაგრამ დღეს რომ არიან ანტიქრისტე სატანისტები — სექტები და პარტიები შემოსულნი, ქრისტიანის სახელს ამოფარებულნი, ისინი უფრო საშიშნი არიან. ანტიქრისტე იკეთებს ქრისტეს გრიმებს (გარეგნული არ მაქვს მხედველობაში) დემოკრატიულ ნიღაბს, თუ უნდა ანტიდემოკრატია დაამყაროს. სიკეთის სახელებს ირგებს სატანა, ეს არის მისი გარდასახვის, დაპყრობის პრინციპი.

ისინი ხალხს იდეოლოგიურად სპობენ. დღეს განსაცდელშია მთელი საქრისტიანო, განსაკუთრებით მართლმადიდებლური სამყარო. პირველი დარტყმის ობიექტები არიან რუსები, სერბები და ქართველები, ძალიან ღრმა კულტურის მატარებელი ხალხი, რომლებიც ქრისტიანულ სარწმუნოებას არიან ჩაბღაუჭებულნი. ცდილობენ ეს ხალხი მართლმადიდებლობას მოსწყვიტონ როგორმე, მერე სულერთია გინდა ქართველი იყავი, გინდ რუსი... ამას აკეთებენ თავისუფლების პროპაგანდით, რეალურად დღევანდელი თავისუფლება არის გარყვნილება. გარყვნილება ტკბილია, ზნეობრიობაა ძნელი. პირველი ღუპავს, მეორე გადაარჩენს ქვეყანას.

იცით ალბათ, რომის პაპმა კომუნისტებს ეკლესიიდან განკვეთა მოუხსნა, სოციალიზმის იდეაც სახარებიდან იყო აღებული თავის დროზე, მაგრამ გააუკუღმართეს იმით, რომ ათეიზმი ჩააყოლეს საძირკველში. დაწმინდე ათეიზმისგან და რა რჩება... სოციალიზმი გაცილებით უფრო პატიოსანი მოძღვრებაა, ვიდრე კაპიტალიზმი. კაპიტალიზმი და სახარება? ამიტომ ებრძვიან სახარებას და ქრისტიანობას. კომუნისტები ულმერთოები არ არიან, დამიჯერეთ.

ქვეყანამ გაიარა ის პერიოდი, როცა კომუნისტების სახელს საფრთხობელებად იყენებდნენ. ეს სპეციალურად ხდებოდა დასავლეთის სპეცსამსახურებიდან. გარკვეულ შედეგს მიაღწიეს კიდეც, განსაკუთრებით, ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებში...

**— ბატონო ვახტანგ, ხელისუფლებამ კომპარტია მოღალატედ მონათლა, ტერაქტების ორგანიზატორებად სწორედ მას და მის წევრებს მიიჩნევენ. რამდენიმე დღის წინ თქვენ უშიშროებაშიც დაგიბარეს...**

— კი, ახლაც დამდევენ, მაგრამ მე არ მივდივარ. საქმე ის არის, რომ ეს ხელისუფლება ასრულებს დასავლეთის სპეცსამსახურების დავალებას, კომუნისტებზე მეტად პატრიოტიზმის და ეროვნული გრძნობის აღორძინებას ებრძვიან. მე ვურჩევდი ჩვენს ხელისუფლებას, შეწყდეს ასეთი არაკორექტული დამოკიდებულება ოპოზიციასთან.

**— კომუნისტები აცხადებენ, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას. მაშინ რას უნდა მივაწეროთ, ჯერ თქვენი მცდელობა ასლან აბაშიძესთან შეხვედრისა, ახლა კი პანტელეიმონ გიორგაძის აჭარაში ვიზიტი?**

— ბათუმში მე და ვალერი კვარაცხელია ჩავედით. ძალიან საინტერესო კონფერენცია ჩატარდა ამერიკელების მონაწილეობით; ბატონ ასლანს ვხვდებოდით, რა



თქმა უნდა. მერე ვუთხარი, ამ დღეებში, იქნებ, ერთი საათით მოიცალოთ. რაღაც სათქმელი გვაქვს მე და ვალერის-მეთქი.

კი, ბატონოო. მერე აერიდა და აერიდა ამ შეხვედრას. თურმე პარტიების ალიანსი დგებოდა და არ ვიცოდი. ეტყობა რაღაც ზეგავლენა მოახდინეს და განერიდა. არადა ჩვენ არავითარი მსგავსი საკითხის დასმა არ გვქონია გუნებაში, რომ ალიანსში მივეღეთ. რადგან ბატონმა ასლანმა ასე გადაწყვიტა, კი ბატონო, იყოს ასე. მაგრამ ჩვენი ურთიერთობა გაცილებით უფრო დიდია და ღრმა არის, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობა, მე არც ისე გულნამცეცა კაცი ვარ, რომ ნაწყენი ვიყო, ალბათ ვერ მოიცალა ან, თუ არ უნდა, ცოტა გული დამწყდება, მაგრამ...

**— პანტელეიმონ გიორგაძის აჭარაში ვიზიტს რაც შეეხება...**

— რამდენადაც ვიცი ბატონი პანტელეიმონი ქობულეთშია ახლა, ისვენებს მეუღლესთან ერთად. ალბათ, დასვენებასთან ერთად საქმესაც აკეთებს. არ ვიცი, რა გითხრათ.

**— ბატონო ვახტანგ, პანტელეიმონ გიორგაძე აცხადებს, რომ არანაირი ბარიერი არ დააკავებს და არჩევნებში უსათუოდ გაიმარჯვებს. თქვენ სერიოზულად მიიჩნევთ ამ განცხადებას? პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა აღიარებს, თუ ბარიერი 7%-მდე აიწევს, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება და მმართველი ძალა ყველაფერს წინასწარ გათვლის და პარლამენტშიც 3–4 პარტია მოხვდება.**

— არ მინდა, ბატონი პანტელეიმონის კრიტიკა გამომივიდეს, მაგრამ ამ განცხადებით სცნობს, რომ საქართველოში დემოკრატია არსებობს. სცნობს, რომ არჩევნები დემოკრატიულად შეიძლება ჩატარდეს, რომ არ დაეკარგება ხმები. მე კი სულაც არ ვარ ამ აზრის. მე ვფიქრობ, ყველაფერი უფრო რთულად იქნება.

**— არჩევნების წინ ახალ საფრთხეს ხომ არ ელით?**

— მეტი რა იქნება. შემთხვევითი ხომ არ გგონიათ, მარგიანს პროკურატურა ღრღნის, ვალერის — პროკურატურა, ჩვენ კაგებეშიც დაგვიძახეს. რა საქმე მაქვს მე კაგებესთან. კომუნისტების დროს არ დამდევდა და ახლა რა უნდა? მე ვფიქრობ, ჩვენ, ოპოზიცია სადღაც შევცდით. ხელისუფლებასთან გარკვეულ კომპრომისზე უნდა წავსულიყავით. (მოღალატეობრივი კი არა) ასეთი რადიკალური დამოკიდებულება არ უნდა გვქონდეს, ურთიერთობის ფორმა უნდა შეგვერჩია, გადმოდგამს ერთ ნაბიჯს, ჩვენც გადავდგამთ...

ჩვენ ასეთი ველური დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემდეგ ოპოზიცია აღარ ვართ, ოპოზიციას უფლება უნდა ჰქონდეს, იატაკქვეშიდან დემოკრატია არ კეთდება, ჩვენ კი არაფრის უფლება არა გვაქვს.

**— რატომ მაინცა და მაინც კომუნისტები ამოიჩემა ხელისუფლებამ. ძველი ანგარიში ხომ არაფერი აქვს შევარდნაძეს თქვენს პარტიასთან, ან კონკრეტულ პიროვნებებთან?**

— შევარდნაძე, სამწუხაროდ, მართლა დიდი პოლიტიკოსია. პარადოქსულ რამეს გეტყვით. რუსეთში რომ ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ, შევარდნაძეს შეუძლია, გამონახოს საერთო ენა, თუმცა ამ სტილით რომ ებრძოლოს კომუნისტებს, ამით ვერაფერს გახდება.

ისე მე ერთი სიმპტომი შევნიშნე ბატონ პრეზიდენტს, მან ანტიკომუნისტურ, ანტირუსულ გამოთქმებს მოუკლო, ამას წინათ ნტვ-ზე გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, ვიდრე მე ვარ პრეზიდენტი, ნატო ვერ შემოვა საქართველოშიო, რამდენად გულწრფელი იყო, ეს გადავდოთ გვერდზე. წინასაარჩევნოდ რაღაცას ითვალისწინებს. არ შეიძლება შევარდნაძე არ ხედავდეს, რომ გეოპოლიტიკური დიდი ქარიშხალი და დიდი ცვლილებები მოდის.

**— დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე ძალიან რაზე გწყდებათ გული. წინა პარლამენტი და თქვენი სპიკერობის პერიოდი მაქვს მხედველობაში. რას აპირებდით და ისე არ გამოგივიდათ, როგორც გინდოდათ?**

— იმ პარლამენტში მიწის გაყიდვის კანონპროექტმა ორი წელიწადი იტრიალა, იტრიალა და არ დავანებეთ. ძალიან დიდხანს იტრიალა საკითხმა, დაგვეკანონებინა სამხარეო დაყოფა და არ გამოვიდა. ამაზე გული კი არ მწყდება, პირიქით. სავალუტო ფონდს, რაც გამანადგურებელი საგადასახადო სისტემა უნდოდა, ნაწილობრივ გამოუვიდათ, ყველაფერს ვერ გავუწიე წინააღმდეგობა.

ის პარლამენტი რომ ყოფილიყო, ვინმე გაბედავდა სიწმინდეების საქართველოს გარეთ გატანას? ვერ გაბედავდნენ. იმ პარლამენტმა დაარეგულირა ურთიერთობა აჭარასთან. ასევე მაშინ დარეგულირდა ურთიერთობა რუსეთთან. ანტირუსული პოზიციაარ იძახდნენ. რუსეთთან აგრესიული დამოკიდებულება იყო, რომელიც შედეგით ანტიქართულია. ანტირუსულს რომ ვეძახდით, რუსი კი არა საქართველო დავაზიანეთ. კედელს რომ თავი ურტყა, კედელს ეტკინება თუ თავს. სტაბილიზაცია იმ პარლამენტმა მოუტანა ქვეყანას. წინა პარლამენტი სანახავად ცუდი იყო, ბატონი ედუარდისათვის ხელსახოციც იყო და ფეხსახოციც. აი, ტიპიური საუბარი ტრამვაი-ტროლეიბუსში: რა ქნას ამ ერთმა შევარდნაძემ, ეს ოხერი დეპუტატები არ აცლიან არაფრის კეთებას.

დღეს კი ყველამ იცის, რომ ეს პარლამენტი შევარდნაძეს არ არსებობს, დაუპირისპირდეს. პირიქით, შორიდან რომ მოვიდეს პროექტი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო დავმბომბოთ თუ მარცხენაო, კამათი იქნება ალბათ ერთიორი საათი და მერე გადაწყდება ვინმეს სასარგებლოდ.

გული დამწყდა, რომ რასაც მივაღწიეთ, ველარ შევინარჩუნეთ. გული მწყდება, რომ ქართველი ერი ილუპება, ხალხს ან შიმშილით ხოცავენ ან ანტიქართველს ქმნიან ქართველისაგან.

გული მწყდება, რომ ეროვნული მოძრაობა მოკვდა და დღეს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების უმეტესობა არიან ამერიკის პატრიოტები. სხვა რა გითხრათ, იმ პარლამენტს, ამას და მომავალ პარლამენტსაც ისტორია შეადარებს, ისტორია მაგრად ალაპარაკდება.

იმ პარლამენტში მე პიროვნულობა არ დამიკარგავს, რაც არ მომწონდა, პირში ვეუბნებოდი შევარდნაძეს, მე მქონდა მასთან ჩხუბის უფლება, ქუჩური ჩხუბისა კი არა, სიტყვიერად, ამაზე არ მწყდება გული. ასევე არ მწყდება გული, სპიკერი რომ არ ვარ, რადგან მის ამ კურსს მე ვერ გავიზიარებდი.

**მანანა ლოგჯანიძე**

# პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში

## მემარჯვენე და მემარცხენე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებები



**მცირე შესვენების შემდეგ ვაგრძელებთ (იხილე 1999 წლის გაზეთ „საქართველოს" №№15,18,25) რუბრიკას „პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში", რომელიც მიჰყავს პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირის" თავმჯდომარეს, აკადემიკოსს, ქალბატონ ნარგიზ გვალიას.**

ძვირფასო მკითხველო!

როგორც ადრე აღვნიშნავდით, ჩვენი რუბრიკის მიზანია საზოგადოების დემოკრატიულობის გაღრმავება, პოლიტიკისადმი ზნეობრივი მიდგომა, საერთო პოლიტიკური დონისა და პოლიტიკოსების ხარისხის ამაღლება, აგრეთვე პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატების თუ სხვადასხვა უმაღლესი დონის ხელისუფალთა მოძიება, მათი შესაძლებლობების გამოვლენა და ამ შესაძლებლობების გაზრდის მექანიზმის შემუშავება.

არაა დასამალი, რომ დღეს საქართველოში საერთო პოლიტიკური დონე დაბალია და, რა თქმა უნდა, ამის შესაბამისად, უმეტესი პოლიტიკოსების დონეც დაბალია, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია: სუსტი სახელმწიფოებრიობა, ნაკლები დემოკრატიულობა, მცირე პოლიტიკური ტრადიციები და სხვა.

ყველაზე მეტად ამ სიტუაციით ზარალობს ელექტორატი, რომელიც დაბნეულია, ორიენტაციადაკარგულია და ვერ გარკვეულა იმ უზარმაზარ ინფორმაციაში, რაც თავზე ახვევია. აბა, დავუკვირდეთ, დღეს საქართველოში იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული 108 პოლიტიკური პარტიაა, რომელთა მარტო დასახელების დამახსოვრება ძნელად თუ ვინმემ, გარდა გამორჩეულთაგან, შეძლოს; ათამდე ცენტრალური თუ რეგიონალური სატელევიზიო არხი, რომლებიც ძირითადად ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციურ და ნაკლებად ობიექტურ ინფორმაციებს გადმოსცემენ, ასობით ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთები.

სამწუხაროა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ინფორმაციები მოსახლეობაში დემოკრატიის დამკვიდრებას და წესრიგის დამყარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ თვითნებობას, უწესრიგობასა და ქაოსს.

ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ მოსახლეობას თავს ახვევენ საქართველოს მომავალი განვითარებისა და კეთილდღეობის დამყარების 108 გზასა და 108 პროგრამას, რომლის შესრულების გარანტად ასახელებენ მათთვის არჩეულ სხვადასხვა საზოგადოებრივ- პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიმართულებებს: მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტული, მემარჯვენე ცენტრისტული, მემარცხენე ცენტრისტული, მემარჯვენე რადიკალური, მემარცხენე რადიკალურ მიმართულებებს, ადვილი წარმოსადგენია და არაა გასაკვირი მოსახლეობის დაბნეულობა და მოსალოდნელი შეცდომები არჩევნებში მონაწილეობის დროს, ანდა საერთოდ, მათი პასიურობა არჩევნების მიმართ.

გამოკითხვებით დასტურდება, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საერთოდ ვერ ერკვევა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების შინაარსში, ხოლო თუ ანალიზს გავუკეთებთ საარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსების მეტად გახშირებულ სატელევიზიო გადაცემებს, პრესკონფერენციებს თუ ინტერვიუებს, ჩანს, რომ თვით თავდაჯერებული პოლიტიკოსებიც სუსტად ერკვევიან ამ საკითხებში.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შეძლებისდაგვარად დღეს ჩვენი რუბრიკით გავაშუქოთ, თუ რას ნიშნავს მემარჯვენე თუ მამარცხენე მიმართულებები და დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას რომელი მიმართულება უზრუნველყოფს ყველაზე უფრო უკეთესად.

ამ საკითხის მიმართ ჩემი მოსაზრებები გამოქვეყნდა პრესაშიც. მიმაჩნია, რომ ჩვენი რუბრიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი გაშუქება.

უნდა აღინიშნოს, რომ **ასეთი დაყოფა თანამედროვე პირობებში ძალიან პირობითია, უპირატესად თეორიული და იდეოლოგიური ხასიათისაა. სინამდვილეში მემარჯვენეებად და მემარცხენეებად დაყოფა უფრო მეტად ამომრჩევლის მანიპულირებისათვის, მასზე ზემოქმედების მოხდენისათვის არის გამიზნული,** რაც იქიდან ჩანს, რომ რეალური პოლიტიკა ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ხორციელდება, უწინარეს ყოვლისა, მისი ეროვნული ინტერესების რეალიზაციის მიზნით და ამიტომ ფაქტიურად, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე დოქტრინების, პოზიციების სინთეზის გამოყენების შედეგია. სხვა საკითხია, თუ რომელი პოზიცია ჭარბობს პოლიტიკაში, მემარჯვენე თუ მემარცხენე, თორემ პრინციპში რაღაც მკაცრი საზღვარი მათ შორის, „ჩინეთის კედელი" არ არსებობს. ცხადია, თითოეულ პოზიციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგანაც იგი ყოველთვის გამოხატავს გარკვეული სოციალური ფენის, საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს, მიზნებს, მათი მიღწევის საშუალებებს. მაშასადამე, საზოგადოებრივ- პოლიტიკური მიმდინარეობები ყოველთვის გამოხატავენ მოსახლეობის, ელექტორატის ყოველდღიურ ცნობიერებას, იდეოლოგიას, მსოფლმხედველობრივ აზროვნებას, რეალური პოლიტიკის შინაარსს და თითოეული ამ დონეზე თავისებურებებით ხასიათდება. ყოველდღიური ცნობიერების დონეზე იგი ჩვეულებრივი ადამიანის მიერ შეიძლება იყოს ან არ იყოს გათვითცნობიერებული, ეს დამოკიდებულია მის ინტელექტუალურ პოტენციალზე, განათლების ხარისხზე, ამიტომ ამ შემთხვევაში ძალიან დიდ როლს ასრულებს მისი **ფსიქოლოგია,** განწყობა, ნდობა, რწმენა, ამა თუ იმ მიმდინარეობისადმი, მათი ლიდერებისადმი. წინააღმდეგ ამისა **იდეოლოგიის დონეზე იგი შედარებით** მკაცრად განსაზღვრულია, რადგანაც გარკვეული ინტერესების გამომხატველია და ამ ინტერესების აუცილებლად რეალიზაციას ემსახურება. ამიტომ არის, რომ იდეოლოგიურად ცალკეული მიმდინარეობები უფრო მეტი შეურიგებლობით, დაპირისპირებით ხასიათდებიან, რაც შეეხება პოლიტიკის დონეს, აქ უკვე წინა პლანზე გამოდის გარკვეული მიზნების განხორციელების შესაძლებლობები, პოლიტიკა კი შესაძლებლობების რეალიზაციას ემსახურება, რის გამოც აქ კომპრომისი, სხვადასხვა პოზიციების გათვალისწინება აუცილებელია და რეალურადაც ასე ხდება.

**დღემდე მსოფლიოში გრძელდება დაპირისპირება ორ ძირითად იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის — ლიბერალიზმის ანუ მემარჯვენე იდეოლოგიისა და სოციალისტურ ანუ მემარცხენე იდეოლოგიას შორის. ლიბერალიზმის ანუ მემარჯვენეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია ინდივიდუალიზმი, ადამიანის თავისუფლება, კერძო საკუთრება, დემოკრატია, კონკურენცია, საბაზრო მეურნეობა, სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა ეკონომიკაში, სახელმწიფოს მიერ კონკურენტული ურთიერთობების უზრუნველყოფა, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, მართვის დეცენტრალიზაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების გამოცალკევება. ლიბერალიზმი იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ კეთილდღეობას. მისი საბოლოო მიზანია ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც გონივრული ეგოიზმი, ანუ თითოეული ადამიანის უფლება და მოვალეობა უზრუნველყოფს კეთილდღეობას თავისთვის და ამით განაპირობებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმუმს.**



**სოციალური დოქტრინისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:** კოლექტივიზმი, საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა, სახელმწიფოს უშუალო და აქტიური ჩარევა ეკონომიკაში, სახელმწიფოს აქტიური სოციალური პოლიტიკა, მოსახლეობის სოციალური დაცვა, პატრონაჟი. მისი საბოლოო მიზანია ისეთი კოლექტიური საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც იქნება სოციალური თანასწორობა, ყველასათვის გარანტირებული სახელმწიფოს მიერ. მაშასადამე, აქ წინა პლანზე წამოწეულია არა ინდივიდი თავისი თავისუფლებით და უნარით, როგორც თავისი და საზოგადოების კეთილდღეობის მთავარი შემოქმედი, არამედ სახელმწიფო, როგორც კეთილდღეობის გარანტი, მთავარი შემოქმედი.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ **მემარჯვენეობისათვის დამახასიათებელია** ასოციალურობა, სოციალისტური პრობლემების მოგვარებაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის უგულებელყოფა, რისი შედეგიც არის საზოგადოების ძლიერი სოციალური დიფერენციაცია, მცირერიცხოვანთა ხელში ქვეყნის სიმდიდრის თავმოყრა, კონცენტრაცია, უმრავლესობის შედარებითი სიღარიბის ფონზე, ხოლო მემარცხენეობისათვის სახელმწიფოს როლის, ცენტრალიზებული მართვის მნიშვნელობის გაზვიადება. ამიტომ ამ მიმდინარეობების უკიდურესი რადიკალიზაცია იწვევს პირველ შემთხვევაში ფაშისტური რეჟიმის დამყარებას, ხოლო მეორე შემთხვევაში კომუნისტური რეჟიმის დამყარებას. მეოცე საუკუნემ დაადასტურა ასეთი რადიკალიზაციის მიუღებლობა. როგორც ფაშისტური, ისე კომუნისტური რეჟიმები მიუღებელია თავისი შეუთავსებლობით, თავისი გადახრით ნორმალური საზოგადოებრივი განვითარებისადმი და აგრეთვე იმ ზიანის გამო, რაც მათ მოუტანეს ცალკეულ ქვეყნებს და კაცობრიობას საერთოდ.

მაგრამ მეოცე საუკუნის დასასრულს, მიუხედავად კომუნისტური რეჟიმების კრახისა, ისიც დადასტურდა, რომ ლიბერალიზმს არ შეუძლია პასუხი გასცეს საზოგადოების განვითარების ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიცაა განათლება, ინტეგრაცია, სოციალური უზრუნველყოფა. ლიბერალიზმი, მემარჯვენეობა, დღეს არ არის ერთადერთი პოლიტიკური კონცეფცია და არ შეიძლება თანამედროვე პოლიტიკა დავიყვანოთ მხოლოდ სოციალიზმისა და ლიბერალიზმის დაპირისპირებამდე. დასავლეთის ყველა განვითარებული ქვეყანა დღეს, მათ შორის აშშ პლურალისტური საზოგადოებებია, შერეული ეკონომიკის საზოგადოებებია, სადაც შერწყმულია კაპიტალიზმისა და სოციალიზმის საუკეთესო მხარეები. კონცეპტუალურად მემარცხენეები მემარჯვენე პოზიციებს ხშირად იზიარებენ და, პირიქით. სოციალ-დემოკრატია, მაგალითად, გახდა ლიბერალიზმის მატარებელი, რადგანაც მან დიდი ხანი აღიარა კერძო მეწარმეობის, კერძო საკუთრების, საბაზრო მეურნეობის აუცილებლობა. ამ გაგებით დღეს ფაქტიურად, უკიდურესი რადიკალების გარდა ყველა ლიბერალია, რის გამოც ლიბერალიზმი საერთოდ თითქოს აზრს კარგავს. მეორე მხრივ, ლიბერალიზმმა, მემარჯვენეებმა აღიარეს სახელმწიფოს როლი ისეთი სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის, რომელთა გადაწყვეტა საბაზრო მექანიზმით შეუძლებელია, მათ შორის განათლების, მეცნიერების განვითარების, ეკოლოგიის, სოციალური დაცვის სფეროებში. მაშასადამე, „მკაცრი" მემარჯვენეობა შეიცვალა (რბილი) მემარჯვენეობით, ხისტი კონსერვატიზმი — სოციალური კონსერვატიზმით, სახელმწიფოს ზომიერი ჩარევით ეკონომიკაში, ანუ ზომიერი ინტერვენციონიზმით და ა.შ. ასეთი ტენდენციები დამახასიათებელი გახდა ისეთი მკაცრი მემარჯვენეებისათვისაც კი, როგორადაც ითვლებიან რესპუბლიკური პარტია აშშ-ში და კონსერვატიული პარტია ინგლისში, რომელიც ამჟამად „სოციალური ტორიზმის" პოზიციებით და დოქტრინით ხელმძღვანელობს.

ამგვარად, პოლიტიკის რადიკალიზაცია მეოცე საუკუნის დასასრულს აღარ არის დამახასიათებელი. პირიქით, დამახასიათებელია ზომიერება, რეალობის ადეკვატური პოლიტიკის განხორციელების მცდელობა, მემარჯვენეობის და მემარცხენეობის ერთგვარი შეთავსება, ანუ მემარცხენე ცენტრისტული და მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკის წინ წამოწევა. მემარჯვენე ცენტრისტული ნიშნავს, რომ აქ მთავარი ფუძემდებლურია ლიბერალიზმის პრინციპები, მაგრამ ერთდროულად მაინც დაშვებულია მემარცხენეობის პრინციპები, ზომიერი სახელმწიფოებრივი ჩარევა ეკონომიკაში, მისი არაპირდაპირი რეგულირების სახით ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის ზომიერად სოციალური განვითარების სფეროში. მემარჯვენე ცენტრისტული პოზიციები დამახასიათებელია აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის ნეოკონსერვატიული ფრთისათვის, სოციალური ტორიზმისათვის ინგლისში, გერმანული და იაპონური ნეოლიბერალური მიმდინარეობისა და პარტიებისათვის. მემარცხენე ცენტრისტული ნიშნავს, რომ აქ მთავარი, ფუძემდებლურია სოციალური პრინციპები, მაგრამ ერთდროულად მაინც დაშვებულია მემარჯვენეობის პრინციპები, კერძოდ კონკურენტული საბაზრო მეურნეობა, კერძო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა, ადამიანის თავისუფლება, მართვის დეცენტრალიზაცია, მონოპოლური ურთიერთობების დაუშვებლობა და ა.შ. მემარცხენე ცენტრისტული პოზიციები დამახასიათებელია ინგლისური ლეიბორიზმისათვის, აშშ-ს დემოკრატიული პარტიისათვის, საფრანგეთის, ესპანეთის, სოციალისტური პარტიებისათვის და ა.შ. როგორც ჩანს, განსაკუთრებული პრინციპული სხვაობა მემარჯვენე და მემარცხენე ცენტრისტულ იდეოლოგიას შორის არ არსებობს. მათ შორის ძირითადი სხვაობა არის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის კრიტერიუმით.

საქართველოში მემარჯვენე ცენტრისტული პარტიების იდეოლოგიას გამოხატავენ, უწინარეს ყოვლისა, სახალხო პარტია, „აღორძინება", ტრადიციონალისტები, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ქალთა დაცვის კავშირი, სახალხო ფრონტი, და კიდევ ზოგიერთი სხვა პარტია. მემარცხენე ცენტრისტული იდეოლოგიის პარტიებია: სოციალისტური პარტია, ლეიბორისტული პარტია, ზოგიერთი სხვა პარტია. რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირს, იგი ხან მემარჯვენე პოლიტიკას აწარმოებს, ხან მემარცხენეს.

დღევანდელ პირობებში ეკონომიკურ განვითარებას საქართველოში ყველაზე უფრო უკეთესად უზრუნველყოფს მემარჯვენე ცენტრისტული დოქტრინა. მისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ინდივიდუალიზმი, ადამიანის თავისუფლება, კონკურენცია, სოციალური, საბაზრო მეურნეობა, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, გადასახადების მცირე დონე, მართვის დეცენტრალიზაცია, სახელმწიფოს ზომიერი ჩარევა პოლიტიკაში, ეკონომიკური ზრდის, მაქსიმალური დასაქმების, ფასების სტაბილურობის, ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციის, საგარეოეკონომიკური წონასწორობის ერთდროული უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალური დაცვის, ყველასათვის საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა.

განვითარებულ ქვეყნებში არც მემარცხენე და არც მემარჯვენე მიმართულებები, როგორც ასეთი, ზუსტად და დამოუკიდებლად არ ტარდება, ამ დოგმებით არ არიან შეპყრობილი. ხელისუფალნი ატარებენ იმ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს მოცემულ ეტაპზე (ასე მაგალითად: ამერიკაში, გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში და სხვა).

რეალურ პოლიტიკაში არ არის მკაცრი მემარჯვენე, მკაცრი მემარცხენე პოლიტიკა, არამედ არის ის პოლიტიკა, რასაც მოითხოვს ქვეყანა ამ ეტაპზე.

ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარება ეს არის ყველაზე ეფექტური პოლიტიკა.

დიდი ხანია მიმდინარეობს საუბარი ამ ორი მიმართულების სინთეზზე და მათ შორის მტკიცე კედლის გავლება ეწინააღმდეგება რეალობას და თანამედროვე მეცნიერების მიღწევებსაც.

**მთავარი არის არა პოლიტიკოსების თეორიულად გამიჯვნა მემარცხენეებად და მემარჯვენეებად, არამედ ყოველ მომენტში და განვითარების ყოველ ეტაპზე პოლიტიკამ ადეკვატურად უნდა ასახოს რეალობა და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ის იმ პრობლემების წამოყენებას, რომელიც ნამდვილად შეესაბამება ხალხის ინტერესებს და დასახოს მათი განხორციელების ყველაზე უფრო ეფექტიანი და ოპტიმალური გზები.**

ანუ დღეს მთავარი ის კი არაა, ვინ იჩემებს მემარჯვენეობას თუ მემარცხენეობას, არამედ ვის აქვს უნარი, შეიმუშავოს და განახორციელოს ხალხისა და საქართველოს დღევანდელი და სამომავლო ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ანუ დღეს მთავარია გამოვყოთ ყველაზე უფრო საჭირბოროტო პრობლემები, რომლებიც აწუხებს ხალხს, თითოეულ მოქალაქეს და ქვეყანას საერთოდ და მოხვდეს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის, პარტიების, სამთავრობო სტრუქტურების, მე-4 ხელისუფლების ძალისხმევის გაერთიანება მათ გადასაწყვეტად.

შეიძლება იყოს ისეთი რეალური მდგომარეობა ანუ ქვეყნის განვითარების ეტაპი, როცა საჭირო იქნება მემარცხენე მიმდინარეობად მიჩნეული იდეების, პრინციპების, პოლიტიკის გატარების მიზანშეწონილობა ან საერთოდ ქვეყნის მასშტაბით, ან ცალკეულ დარგში, ან ცალკეულ რეგიონში. მაგალითად, ყველამ ვიცით, რა მდგომარეობაა მთიან რეგიონებში, სადაც არ არის გზები, მიმოსვლის ელემენტარული საშუალება, განათლების, ჯანმრთელობის სფერო, სოფლის მეურნეობა, გლეხის ფინანსური მდგომარეობა, მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობა. როგორ შეიძლება ასეთი რაიონების განვითარება მივანდოთ საბაზრო მექანიზმებს, მაშინ ამ რაიონების განვითარება შეიძლება ასწლეულობით შეფერხდეს, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფო ძალიან აქტიურად მოღვაწეობდეს ამ რაიონების განვითარებისათვის.

აქ არ არის საუბარი სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებაში უშუალოდ ჩარევაზე, არამედ რაიონის ეკონომიკის პირდაპირი სტიმულირება, ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, გზები, საჰაერო ტრანსპორტი, ფოსტა, რადიო, ტელევიზია, ჯანმრთელობის და განათლების სფეროს განვითარება. სხვანაირად აქ მოსახლეობა არ გაჩერდება და როცა სახელმწიფო მიხვდება, რომ აუცილებელია სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის დაფინანსების გაძლიერება, მაშინ უფრო მეტი დანახარჯები იქნება საჭირო.

**დღეს არ არის დრო, რომ ენერგია და ინტელექტი დაიხარჯოს მემარჯვენეთა და მემარცხენეთა გამიჯვნაზე, უფრო მართებულია და შედეგის მომტანი იქნება განვსაზღვროთ ქვეყნისა და მოსახლეობის რეალური პრობლემები, რომლებიც აწუხებს საწარმოებს, ფირმებს, ორგანიზაციებს, სოფლებს, რაიონებს, ქალაქებს, ცალკეულ ადამიანებს და ვიმსჯელოთ ხელისუფლებასთან ერთად, როგორ და რა გზით უმოკლეს ვადებში ეფექტიანად გადაიჭრას ეს პრობლემები.**

**აქედან გამომდინარე, სწორედ არავითარი საშიში არ არის, თუ საარჩევნო ბლოკებში ერთად გაერთიანდებიან ძალები, რომლებიც თავიანთ თავს მემარჯვენე იდეოლოგიას თუ მემარცხენე იდეოლოგიას მიაკუთვნებენ. პირიქით, ალბათ, დღეს ეს ყველაზე მეტად მომგებიანი იქნება საქართველოსათვის.**

**ნარგიზ გვალია**

**გაგრძელება იქნება**

# ემზარ ჩაჩხიანი ისევ წვიმას ნატრობს, თან ძალიან ბედნიერია, — იყიდე-გაყიდე ქარვასლა აღარ აწუხებს

**— ბატონო ემზარ, საქენერგოში ბოლო დროს მომხდარმა ცვლილებებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.**

— მე, პირადად, ძალიან ბედნიერი ვარ. ის უდიდესი ტვირთი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რასაც ელექტროენერგიის რეალიზაცია, ყიდვა-გაყიდვა ჰქვია, ჩამოვიცილეთ, ეს ფუნქცია დაეკისრა ენერგეტიკულ ბაზარს.

საქენერგო გაიყო ორ სტრუქტურად — ენერგეტიკულ ბაზრად, რომელსაც უხელმძღვანელებს ბატონი ივერი შალამბერიძე და დისპეტჩერიზაციის ეროვნულ კომპანიად. არანაირი შეხება არ გვექნება ფულთან. ჩვენს ფუნქციად რჩება დისპეტჩერიზაცია, რომელსაც ბევრად უფრო კარგად გავართმევთ თავს, ვიდრე ამას ადრე ვაკეთებდით, ვინაიდან მთელი ჩვენი დრო და ენერგია მიჰქონდა რეალიზაციას. იცით, ალბათ, რა ჯოჯოხეთური შრომაა თავად დისპეტჩერიზაცია, ქანცგამწყვეტი, რომელიც არსად არ იწყება და არსად არ მთავრდება...

**— რა დამოკიდებულება გექნებათ ამ ახალ სტრუქტურასთან?**

— ჩვენ ენერგეტიკული ბაზრის განაცხადის საფუძველზე, თუ ვის, სად, რამდენი ელექტროენერგია სჭირდება, იმის მიხედვით მივაწვდით. შესაბამისად, ბალანსდება მიწოდებული და გასაღებული ელექტროენერგია. ამ ბალანსის საშუალებით ვაწარმოებთ მიწოდებას. რა თქმა უნდა, გაგვიადვილდა მუშაობა, ადრე ყველაფერ ამას მთლიანობაში ჩვენ ვწყვეტდით.

**— თქვენ მხარს უჭერდით ენერგეტიკული ბაზრის შექმნას.**

— ენერგეტიკული ბაზარი ახალია, მთლიანად ენერგეტიკა დიდ იმედებს ამყარებს. პირადად მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ამ მომენტს, ვინაიდან ხალხი ცოტა სხვა რაკურსით დაინახავს ჩემს ნათქვამს, იტყვიან, ჩაჩხიანი ვერ იტანს სიახლეს, რადგან ფული ხელიდან ეცლებაო. მართალი გითხრათ, ყოველთვის თავს ვიკავებდი, დღეს პირველად ვიძლევი ინტერვიუს ამ საკითხთან დაკავშირებით.



**— მაინც, როგორ ფიქრობთ, ენერგეტიკული ბაზარი გაამართლებს, შეასრულებს იმ ფუნქციას, რაც ჩაფიქრებულია?**

— ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თავიდან გაჭირდება, საწყისი ეტაპი ძნელი იქნება. ხაზს ვუსვამ — გამანაწილებელი სექტორი, ე.ი. ენერგოკომპანიები, რომლებიც უშუალოდ ყიდულობენ ელექტროენერგიას და უშუალო დამოკიდებულება აქვთ ელექტრომომხმარებელთან, პრივატიზებული რომ იყოს, მთლიანად ქვეყანაში საქმე გაცილებით უკეთესად იქნებოდა.

**— თვლით, რომ ყველა ენერგოკომპანია უნდა გაიყიდოს?**

— ყველაზე დიდი უბედურება და ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისი მოდის სწორედ ენერგოკომპანიებიდან... კომპანიამ რომ ნორმალურად თავი გაართვას თავის საქმეს, გარწმუნებთ, საქართველოში ენერგოკრიზისი არ იარსებებს.

**— თქვენ ძირითადად რა ფუნქციას შეასრულებთ?**

— დისპეტჩერიზაცია უფრო ტექნიკური საკითხია. როდესაც დაბალანსება ხდება მთელი ელექტროსისტემისა, უკვე გვექნება საშუალება, რომ ვიმუშაოთ უფრო ეკონომიკაზე, მივხედოთ ეკონომიურ პარამეტრებს, მივხედოთ დანაკარგების შემცირებას. ეს იქნება ტექნიკური დანაკარგები, თუ კომერციული დანაკარგები და მთლიანად ტექნიკური პოლიტიკა წავიყვანოთ ენერგეტიკაში. ძირითადში ეს არის ჩვენი მიზანი და ჩვენი ვალდებულებები, რომელიც დარჩა დღეს ყოფილ საქენერგოს, სახელწოდებაც შეიცვლება, ალბათ, საქენერგო აღარ გვერქმევა. ჩვენ გვერქმევა დისპეტჩერიზაციის ეროვნული კომპანია, ფორმდება ყველა საჭირო დოკუმენტაცია. უახლოეს დღეებში ჩვენ სახელშეცვლილი კომპანია ვიქნებით.



მთელი ზამთარი გვადანაშაულებდნენ, საქენერგო არ გვაწვდის, არ გვაძლევს ეს მონსტრი ელექტროენერგიას, გახსოვთ ალბათ, ლანძღვა-გინებისნიაღვარი ჩვენი მისამართით. ვერაფრით გავაგებინეთ ვერავის, რომ, როცა ელექტროენერგია გვაქვს, მისი განაწილების პრობლემა არაა, აი, თბილისს 3 აპრილიდან ელექტროენერგია ფაქტობრივად 24 საათი მიეწოდება. ასევეა რამდენიმე რაიონში, მაგრამ მთლიანად საქართველოში, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ელექტროენერგიის მყიდველი არ არის — ე.ი. რაც მოთხოვნილებაა, იმის მყიდველი არაა.

**— მყიდველში ვის გულისხმობთ?**

— მომხმარებელს, ვისაც ელექტროენერგია სჭირდება. კომპანიებს არ მიაქვთ, ღამის საათებში თიშავენ, დღისითაც თიშავენ, ელექტროენერგიას არ აწვდიან იმიტომ, რომ ფულის ამოღება არ არის.

**— ე.ი. თქვენ გაქვთ საშუალება, მიაწოდოთ ელექტროენერგია და კომპანიებს არ მიაქვთ?**

— დღეს ენერგეტიკას აქვს საშუალება მეტი მიაწოდოს, მაგრამ ელექტროკომპანიებს არა აქვთ საშუალება ამოიღონ ის თანხები, რომელიც უკან უნდა დაუბრუნდეს ენერგეტიკას მთლიანობაში და ამის გამო ხდება ყველაფერი ეს. დღეს თბილისი გახდა გადამხდელი, ამიტომ თბილისს 24 საათი აქვს ელექტროენერგია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იქაც პრობლემები აქვს „AES"-თელასს, ახალ ორგანიზაციას, რადგანაც ვერ ახერხებს თანხების მთლიანად ამოღებას, რა თანხების ელექტროენერგიასაც ხარჯავს. ალბათ, ყველამ უნდა გაითავისოს, ასე გაგრძელება შეუძლებელია. ყველა მოქალაქემ, რა ენერგიასაც დახარჯავს, იმის საფასური უნდა გადაიხადოს, მითუმეტეს, იმ კომპანიის, რომელიც ახალი შემოსულია საქართველოში, მას მეტი მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება.

**— თქვენ ისევ გაქვთ ურთიერთობა ამერიკულ კომპანიასთან?**

— როგორ არა, გვაქვს ურთიერთობა, ჯერჯერობით ძველი კონტრაქტის პირობები მოქმედებს. რამდენიმე დღეში შეიცვლება, ალბათ, ენერგეტიკული ბაზარი ცალკე კონტრაქტს გააფორმებს მათთან, ჩვენ დაგვრჩება დისპეტჩერიზაცია და მომსახურეობა. საერთოდ, დისპეტჩერიზაციის გარეშე ენერგეტიკის არსებობა წარმოუდგენელია.

**— ბატონო ემზარ, ჩვენი პირველი ინტერვიუ თქვენთან ასეთი სათაურით იყო: „საქენერგოს შეფი ემზარ ჩაჩხიანი წვიმას ნატრობს", მაშინ წვიმას ნატრობდით, დღეს რას ნატრობთ?**

— სხვათა შორის, წვიმას ისევ ვნატრობთ იმიტომ, რომ უკვე რამდენიმე დღეა შეიმჩნევა ელექტროსადგურებში წყლის ენერგიის გამომუშავების შემცირება, ეს განსაკუთრებით შეეტყო ჩამოდინებაზე მომუშავე სადგურებს — მდ. რიონზე განლაგებულ სადგურებს, ზაჰესს, ადრე თუ იყო დაახლოებით 7 მილიონი კილოვატსაათი გამომუშავება, დღეს არის 5200000, ე.ი. ცვლილება არის. გარდა ამისა, დაბალი ტემპებით მიდის დონის მატება ჟინვალში, შაორჰესში, ხრამჰესში, იმდენი შემოდინება არ არის, რომ მაქსიმალურ დონეებს მივაღწიოთ. როგორ არ ვნატრობთ, წვიმა და მზე, თანაფარდობა როცაა დაცული, ორივე კარგია.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, — თუ მომხმარებელი იქნება, ე.ი. მყიდველი, თქვენ შეგიძლიათ ელექტროენერგია მთლიანად საქართველოს მიაწოდოთ 24 საათის განმავლობაში.**

— დიახ, თავისთავად ვიძლევით ამის გარანტიას. უპრობლემოდ, რა თქმა უნდა, არ იქნება. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, დაახლოებით 90-იანი წლებიდან ენერგეტიკას ყოველწლიურად აკლდებოდა, ყოველდღიურად აკლდა მილიონობით თანხები, არ მომხდარა არანაირი ტექნიკური გადაიარაღება, კაპიტალური შეკეთებები თავის დროზე არ ჩატარებულა. ამან თავისებური ხარვეზები გამოიწვია, თავისი დაღი დაასვა ენერგეტიკას. უცებ მთლიანი რეაბილიტაცია რომ მოხდეს, ასე მარტივად არ გადაწყდება ეს საკითხი, ამის გამოსწორებას წლები დასჭირდება.

**— ელექტროენერგია იქნება, მომხმარებელი რომ იყოს?**

— იქნება, მაგრამ 100%-იან გარანტიებს მაინც ვერ ვიძლევით. ტექნიკური მხარე შეუშლის ხელს, ელემენტარულად, სხვა თუ არაფერი.

**მზიან და წვიმიან ზაფხულს გისურვებთ, ბატონო ემზარ.**

*ესაუბრა*
***იზოლდა ცირდავა***

## მალხაზ პატარაია:
# საქართველოს მთავრობაც ისეთივე დამნაშავეა, როგორიც არძინბას მთავრობა...

*მესამე გვერდიდან*

თა მხოლოდ 1/3. მათ გადასცეს ადმინისტრაციული შენობები, რომელშიც ცხოვრება ადამიანური ღირსებებისთვის შეურაცხმყოფელია. დანარჩენი 2/3 არის უბინაო, ბოგანო. არსებობს 1996 წ. სექტემბრის №643 პრეზიდენტის ბრძანებულება, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ევალება, როგორც კი დევნილი შეიტანს განცხადებას, დევნილად ცნობის შესახებ, დააკმაყოფილოს ბინით — დროებით უმოქმედო სახელმწიფო შენობებით. მაგრამ 1996 წლიდან დღემდე არცერთი ასეთი ფაქტი დაფიქსირებული არ არის. დევნილებს ნებით თბილისში ბინები არ გადასცემიათ. ისინი იძულებულნი არიან თვითონ მოძებნონ ასეთი შენობები და თავი შეაფარონ მას.

ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე შენობა უმოქმედო იყო წლების განმავლობაში, იგი ეკუთვნოდა თბომეურნეობას. როცა იქ 16 მაისს ლტოლვილები შევიდნენ, აღმოჩნდა, რომ 1997 წელს იჯარა-გამოსყიდვით იყო გადაცემული ისრაელის ფირმისთვის 10 წლის განვადებით, უნდა გადაეხადა 105000 დოლარი 50 ოთახიან, 1525 კვ. მ., სამსართულიან შენობაში, როცა ის, ჩვენი მონაცემებით, დაახლოებით 600-700000 დოლარი ღირს. რომ არა დევნილთა იქ შესვლა, სახელმწიფო 2007 წლამდე ვერ ეღირსებოდა 50000 დოლარს. 1997 წელს ამ ფირმას გადახდილი ჰქონდა 50000 დოლარი დანარჩენს, გაისტუმრებდნენ 10 წლის განმავლობაში. მაგრამ როცა იქ დევნილები შევიდნენ, საქმე სასამართლოს გადაეცა, ეჭვის ქვეშ დადგა მათი საკუთრების უფლება, სასწრაფოდ წავიდნენ ისრაელში, გადმორიცხეს 50000 დოლარი და 10 ივნისს რომ სასამართლო უნდა დაწყებულიყო, 7 ივნისს მიიღეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძველი სასამართლო ბევრად უფრო გამოცდილი, კვალიფიციური და გამბედავი მოსამართლეებით იყო დაკომპლექტებული, რასაც ვერ ვიტყვი ახალ მოსამართლეებზე. ფაქტია, რომ პროცესი, რომლითაც დაადგინეს დევნილთა შენობიდან გამოსახლება, ხელისუფლების ზეწოლით მიმდინარეობდა. ჩვენ გაგვაჩნია ამის დოკუმენტები. ისრაელის ელჩი მიმართავს სახელმწიფო კანცელარიის უფროსს პეტრე მამრაძეს თხოვნით, დააჩქარონ სასამართლო პროცესი და დაიცვან ინვესტიციები. პ. მამრაძე გადასცემს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს ნ. საჯაიას (დოკუმენტები დამოწმებულია ეროვნული უშიშროების საბჭოსა და პრეზიდენტის ბეჭდებით), თავის მხრივ ბ-ნი ნ. საჯაია საქმეს განსახილველად აძლევს კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს მ. სონღულაშვილს (აქვე ვაქვეყნებთ ამ დოკუმენტებს). უფრო მეტი ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან ღიად და აშკარად სასამართლოზე მე ბოლო პერიოდში არ შემხვედრია. რა გასაკვირია, რომ ასეთი ღონისძიებების შემდეგ დევნილები გამოყარეს ქუჩაში.

— არჩევნებში რომელ პარტიებთან აპირებთ თანამშრომლობას?

— საარჩევნო ბლოკი საბოლოოდ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. მაგრამ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და კონსულტაციები სახალხო ფრონტთან, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან და კიდევ რამდენიმე ძალასთან. ამ თვის ბოლოს, ალბათ, ეს ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდება.

ჩვენ ვეძებთ თანამოაზრე ძალებს, ვცდილობთ გაფართოვდეს ასეთი ძალების წრე, რომ რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობა გავუწიოთ როგორც მოქკავშირს, ისე ბათუმურ ალიანსს, რადგან მიგვაჩნია, მათი პოზიციები აფხაზეთის მიმართ აფხაზეთის დაბრუნებამდე არ მიგვიყვანს.

***ამრიტა ჯანაშია***



საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი

№ 1394 20. 05 1999 წ.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის
რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მ. სონღულაშვილს

ბატონო მამუკა,

გიგზავნით ისრაელის ელჩის მისი აღმატებულესობის ეჰუდ ეითამის წერილს.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი: 2 ფურცელი, პირი.

პატივისცემით,

ნ. საჯაია

ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, ტელ: 932-322, ფაქსი 931-642, ელ. ფოსტა sakhkanc @ iberiapac. ge



არაოფიციალური თარგმანი

ისრაელის საელჩო თბილისში

სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილეს -
სახელმწიფო კანცელარიის უფროსს
ბატონ პეტრე მამრაძეს

თბილისი, 19 მაისი, 1999 წელი

ძვირფასო ბატონო მამრაძე,

მინდა შეგატყობინოთ, რომ ებრაელმა ბიზნესმენმა, ბატონმა იცხაკ [illegible] ისრაელის საელჩოს და მოითხოვა საქართველოს მთავრობის ჩარევა მისი აზრით უკანონო შეჭრაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა გუშინ ღამით (16.05.99) 15 პირის მხრიდან 9 აპრილის (ყოფილი ჩიტაძის) ქუჩის №3ა შენობაში.

ზემოთ აღნიშნული შენობა შეძენილ იქნა კომპანია D.D.I.-ს მიერ (საინვესტიციო კომპანია, რომელსაც სათავეში უდგას ისრაელის მოქალაქე ბატონი მოშე ნაჩუმი), რომლის საქართველოში წარმომადგენელიც არის ბატონი იცხაკ მოშე.

ინვესტორებმა მიმართეს სასამართლოს, რომლის თავმჯდომარეც ბატონი მამუკა სონღულაშვილია, მაგრამ ვინაიდან მოსამართლეთა ჯგუფი სულ ახლახანს შეიცვალა, სხდომები მაისის ბოლომდე არ გაიმართება, შესაბამისად გადაუდებელი საქმეებიც კი არ განიხილება. ბატონმა მოშემ განმარტა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოსახლების შესახებ მხოლოდ ფორმალობაა, თუმცა ამის გარეშე შეჭრილი პირები შენობას არ დატოვებენ. სასამართლო გადაწყვეტილების დაგვიანება გამოიწვევს გართულებებს, რაც დაკავშირებულია შეჭრილთა მზადყოფნასთან მშვიდად დატოვონ შენობა. აი აქედან გამომდინარეობს სასამართლოს სხდომის სასწრაფოდ ჩატარების აუცილებლობა.

საელჩო დიდად დააფასებდა საქართველოს მთავრობის დახმარებას ისრაელის ინვესტიციის დაცვის საქმეში საქართველოს კანონების ფარგლებში.

პატივისცემით,

ეჰუდ ეითამი
ისრაელის ელჩი

№ 1394
20. 05 1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრობლემა

# ვინ დაიცავს ქართულ ენას, ანუ ესპანური CHICO ქართულად კიკო ნამდვილად არ იქნება

სულმნათი ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას".

აი, მალე ჩამოდგება XXI საუკუნე და ჩვენს წინაშე დგება კითხვა: დღეს რა მდგომარეობაშია ილიასეული ეს „სამი ღვთაებრივი საუნჯე", რას ვუტოვებთ შთამომავლობას?

ილიასდროინდელი მამულიდან ნახევარიც აღარ დაგვრჩა; უკვე სამუდამოდ დაკარგული, გასხვისებული და გაუცხოვებულია - ტაო-კლარჯეთი, ლორე-ტაშირი, საინგილო, სოჭი-ადლერი; ახლა აფხაზეთის, სამაჩაბლოს... ჯერი დამდგარა; ქართველობა კი ლამის თვალდახუჭული შესცქერის საკუთარი გაქრობის პროცესს.

რაც შეეხება სარწმუნოებას, ამ ცოტა ხნის წინათ ერთმა საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობის ჩინოვნიკმა ტელევიზიით განაცხადა — საქართველოში მართლმადიდებლობა არ არსებობსო. თუ ამ ბატონს და მისთანებს დავუჯერებთ, მაშინ მართლაც, ვაი ჩვენს საქართველოს, არადა, მართლაც არსებობს რომელიმე ქვეყანა ტერიტორიის, სარწმუნოების, ეროვნების, მამის სახელის გარეშე?

ახლა ენას აღარ ვიკითხავთ? ჩვენი ენა რომ ამ ბოლო დროს უმოწყალოდ და ულმერთოდ მახინჯდება, ეს ამბავი არ ახალია, ძველია.

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენი მთარგმნელები (განსაკუთრებით კანონების გადმომქართულებლები), ჟურნალისტები, თარჯიმნები, ბიზნესმენები და ა.შ. ბარბარიზმებისა და დახვანჯული ტერმინების შემოტანაში.

იმდენი ბარბარიზმი, უცნაური გამოთქმა და ტერმინია დახვავებული და კვლავ ხვავდება ყოველდღიურად, რომ მათ განხილვას გაზეთის რამდენიმე ნომერი არ ეყოფა.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე „მარგალიტს" შევეხებით და მკითხველმა თავად განსაჯოს მათი „მშვენიერება".

ამერიკა კოპა და კოპა ამერიკა, მართვის მენეჯმენტი და მენეჯმენტის მართვა, **chicco**-კიკო, თინეიჯერი, ამაპოლა, ვიზიტორი, მდგრადი განვითარება, ინსტიტუციონალური მართვა და ა.შ. და ა.შ.

რადიო-ტელევიზიიდან ყოველდღე ისმის და გაზეთებიც აჭრელებულია ასეთი „შედევრებით" — „არგენტინა კოპაზე დამარცხდა", „ბრაზილიამ მორიგი ტური ითამაშა კოპა ამერიკაზე" და მისთანანი.

აქ ორი რამაა საყურადღებო: ჩვენი ჟურნალისტები ან მეტიჩრობენ და კეკლუცობენ ამ უხეირო და უაზრო გამოთქმებით, ან კიდევ ისინი მიზანმიმართულად ამახინჯებენ მშობლიურ ენას.

ჯერ ერთი, საქართველოში 99,9999%-მა არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „კოპა"; მეორეც, ესპანურად სიტყვა **copa** ნიშნავს — ხის ვარჯს, კათხას და სასპორტო თასს; მესამე, ჟურნალისტები ამ შემთხვევაში გულისხმობენ სამხრეთ ამერიკის თასს ფეხბურთში და, რაკი ეს ასეა, მაშინ სწორი ესპანურით იქნება არა ამერიკა კოპა ან კოპა ამერიკა, არამედ **copa americana** და, მეოთხე, **copa**-ს ქართულში სპორტის თვალსაზრისით მიესადაგება მშვენიერი სიტყვა — თასი და ყოველგვარი ენისმიერი მეტიჩრობა და პრანჭვა ზედმეტია.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით უამრავი უცხოური ტერმინი და გამოთქმა შემოაქვთ, რომელთაგან ბევრის თარგმნა და გაქართულება შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, თავს თითქმის არავინ იწუხებს. გაქართულება კი არა, მათ ბაზაზე უხეირო კონსტრუქციებს ქმნიან. ასე გამოჩნდა გამოთქმები „მართვის მენეჯმენტი" და „მენეჯმენტის მართვა".

„მენეჯმენტი" საყოველთაოდ ხმარებული საერთაშორისო ტერმინია და მისი მთავარი და ძირითადი მნიშვნელობაა — მართვა. აქედან გამომდინარე, თავად მკითხველმა განსაჯოს ზემოთმოყვანილი ტერმინების შინაარსობრივი გამართულობის დონე.



გარემოს დამცველებმა (და არა მარტო მათ, მყარად დაამკვიდრეს უაზრო გამოთქმა „მდგრადი განვითარება", რაც ქართულად, შინაარსობრივად გულისხმობს „უძრავ განვითარებას" (მდგრადი — უძრავი, ურყევი...), ხოლო ორიგინალში — ინგლისურში — მისი შესატყვისია „უწყვეტი განვითარება". შეადარეთ — ერთის მხრივ „უწყვეტი", მეორეს მხრივ — „უძრავი, მდგრადი"; კურიოზიც ასეთი უნდა.

ახლა კიდევ ერთი კურიოზის შესახებ. ყაზბეგის გამზირზე არის საბავშვო მაღაზია, რომელსაც ესპანურად და ქართულად აწერია — **"chicco"** — „კიკო" და ორივე ენაზე დამახინჯებულად.

ესპანურად **chico** (და არა **chicco**, ნიშნავს ბიჭს; პატარას; ხოლო კიკო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის —: 1) ბანქოს სათამაშო ქაღალდი, რომელზედაც მხოლოდ ერთი გამოსახულებაა (ერთი ჯვარი, ერთი ყვავი და მისთ.) 2) გადატ. (საუბ.) კენტი, ცალი, მარტოხელა (ქემნ ერთტომეული, 1986, გვ.265).

რაკი ესპანურზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე უნდა ითქვას, რომ იმავე ყაზბეგის გამზირზე რესტორნისათვის ესპანური ამაპოლა დაურქმევიათ, რაც ქართულად ყაყაჩოს ნიშნავს.

როგორ მოვიქცეთ, დავდგეთ კიკოსავით და ვიცინოთ, როცა სატირლად გვაქვს საქმე?

თინეიჯერმა პარლამენტიდან მასმედიაში გადაინაცვლა. სწორია არა თინეიჯერი, არამედ ტინეიჯერი. ამერიკელები ტინეიჯერებს ეძახიან 13-20 წლის ახალგაზრდებს. რასაც ქართულში ყრმა შეესაბამება (იხ. სულხან-საბას „სიტყვის კონა") და სრულიადაც არაა საჭირო „ტინეიჯერით" „გავამდიდროთ" ჩვენი ენა.

ასევე გარემოს დამცველებმა ეს-საა შემოიტანეს „ვიზიტორი", ტყეში მიმსვლელ-მომსვლელის, დამსვენებლის, მნახველის ნაცვლად.

კიდევ შეიძლება გაგრძელება, მაგრამ ეს მაგალითებიც საკმარისია იმის დასტურად, თუ როგორ „ვზრუნავთ" მშობლიური ენის „გასამდიდრებლად".

ახლა ქალაქში ყოველ ნაბიჯზე არსებულ კურიოზულ, უაზრო, უშინაარსო წარწერებს იკითხავთ? — სლეიდი, კროკკო, არისტონი, გრინჩი და უამრავი სხვა.

მოკლედ, დადიხართ ქალაქში — ხედავთ, ისმენთ, კითხულობთ და გალაკტიონისა არ იყოს, ფიქრობ — არა, ეს არ არის საქართველო.

როდესაც ენის ასეთნაირ ულვთო დამახინჯებაზე ვფიქრობ, უნებურად მახსენდება ერთი ძველი ანეკდოტი — თურმე ბატონი ვასილ მჟავანაძე თავისი ამალით მისულა ერთ-ერთ რაიონში და მისი სავალალო მდგომარეობით შეწუხებულს თანამგზავრებისათვის უთქვამს — კი, მაგრამ, ამ ქვეყანას პატრონი არა ჰყავსო.

მჟავანაძის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი შეხედვით ქართულ ენას უამრავი პატრონი ჰყავს — ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ენის სიწმინდის დაცვის სამთავრობო კომისია, ქართული ენის დაცვის პალატა თუ დეპარტამენტი, მწერალთა კავშირი, უნივერსიტეტ-ინსტიტუტები და ა.შ. მაგრამ, იმავე ილიასი არ იყოს, ყველა ბრმა და ყრუა ენის დაცვისადმი მიმართებაში.

ერთის მხრივ გვაქვს უმდიდრესი ქართული თავისი დიალექტებით, მეორე მხრივ, გვაქვს ასევე უმდიდრესი მეგრულ-ჭანური და სვანური და აი, ამდენი თურაშულის პატრონი, სხვის ეკლიან პანტას ვეპოტინებით.

ისევ დიდი ილიას სიტყვებით მინდა დავამთავრო, რომელიც სრულყოფილად მიესადაგება დღევანდელი საქართველოს სავალალო მდგომარეობას. დაწყებული, დაქცეული ეკონომიკიდან, დამთავრებული, ენის შერყვნა-დამახინჯებით: „არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. თხრილია ჩვენ წინ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის, ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაო ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად".

ღმერთმა ქნას, ილიას სიტყვებმა მაინც გამოგვაღვიძოს.

***ბიძინა თავაძე***
*საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების" თავმჯდომარე; არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესის წევრი.*

## გვარების ისტორიიდან

# გუჯაბიძეები უჯაბნიძეები ვართ... ჰუჯაბიდან!

მარნეულის რაიონში, ქვემო ქართლში, მდ. ფოლადაურის ხეობაში როსტომ მეფის დროინდელი ხიდით მოხვდებით ამჟამად სომხებით დასახლებულ, თურქული სახელით — ახქერფად ცნობილ უძველეს ქართულ ნასოფლარში — ჰუჯაბში. აქვეა ჰუჯაბის ცნობილი სამონასტრო კომპლექსი: გუმბათიანი ეკლესია (XIIIს-ის I ნახევარი), ბაზილიკის ტიპის ეკლესია (V-VI სს.), სატრაპეზო და სხვა ნაგებობათა ნანგრევები.

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „... არს მონასტერი ჰუჯაბისა, კეთილსა ადგილსა, და ან ცალიერ არს..." ნახსენები აქვს მიმდებარე სოფელი — უჯაბი.

სხვადასხვა ჯურის მომხდურს მოუსპია აქაური ქართული მოსახლეობა. დაცარიელებულ სოფელში, მოგვიანებით, ყარაბაღელი სომხები ჩასახლებულან. ამ საუკუნის დასაწყისში აქაურობას თავი შეაფარეს რუსმა მონაზვნებმა. მცირე ეკლესია წმ. ნინოს სახელზე აკურთხეს. იერუსალიმიდან გამოითხოვეს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. ამოქმედდა ჰუჯაბის „ივერთა სავანე". საბჭოთა ხელისუფლების ხელი ჰუჯაბსაც მიწვდა. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი სტეფანავანის ერთ-ერთ ეკლესიაში აღმოჩნდა, სადაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა. ბოლო წლებში ღვთისმშობლის ხატი სასომხეთიდან საქართველოში დააბრუნეს.

ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი დანგრევის პირსაა მისული. მისი რესტავრაციის პროექტი კარგა ხანია მზადაა. აღდგენითი სამუშაო კი ვერ ტარდება. სახსრები არაა. არც არავინაა, საჭირო თანხა გაიღოს. ჰუჯაბს ძალიან უჭირს. ჯერ კიდევ შეიძლება შველა. თვალგამოლამებული, ჯაგმორეული მონასტერი თავის ჭირისუფალს უხმობს, ჯერ კიდევ მოელის. მაგრამ ვაი, რომ მის გადაკარგულ ჭირისუფალს აღარ ახსოვს თავისი მამა-პაპათა სალოცავი, წინაპართა სამყოფელი, თავისი სადაურობა.

„გურიაში საქართველოს იქეთა კიდედან ვართ მოსული. ჩვენს სამშობლო სოფელს „უჯაბნი" ჰქვიოდა. ხალხმრავალი, მდიდარი, დაუჯაბნელი სოფელი გვქონდა. მტერი ულევი იყო. გვძარცვავდა. ღვთის შეწევნით, ვუძლებდით. მთლად გაუსაძლისი რომ გახდა და დედა-ბუდიანად მოგვინდომეს ამოხოცვა, გამოვიხიზნეთ. სამშვიდობოს ძებნაში ზღვამდე მოვედით. აღარსად წაისვლებოდა. აქ დავსახლდით. მთელი საქართველო ააოხრეს მაშინ... წამოსვლის წინ ჩვენს სალოცავს შევფიცეთ, აუცილებლად დავბრუნდებოდით. თქმულებაა: ერთ დროს საქართველოს ძლიერება ისევ აღდგება. ვინც აქაურები ვართ წარმომავლობით, თავი უნდა მოვიყაროთ ჩვენს სალოცავში. ყველა უჯაბნიძემ თავისი სოფელი უჯაბნი უნდა მოინახულოს.

ჩვენ სოფლის სახელი გვაქვს გვარად, უჯაბნიძეები ვართ. რუსეთის შემოსვლამდე ჩვენი სოფლის სახელი გვქონდა გვარად. რუსეთმა აღწერა რომ ჩაატარა, გვარი შეგვიცვალეს. რაღაცნაირად გამოთქვამთ, თქვენს გვარს ასე ვერ ჩავწერთო. კაცის კვლამდე მისულა საქმე. გვარის თავკაცები ვერაფრით ვერ დაიყოლიეს. მოტყუებით მაინც დაგვჯაბნეს: რა გენაღვლებათ, ჩვენ ჩვენთვის რას როგორ ჩავწერთო. თქვენ თქვენი გვარი ძველებურად თქვით, არავინ გიშლითო.

დრო გავიდა. ხნე ხალხი დაიხოცა. ძველები წავიდნენ და, ახლებს გუჯაბიძეობა დაგრჩათ. არაა დასაწუნი — გულიანს, მოყვასს, თავისიანის მოყვარეს ნიშნავს, მაგრამ, რაც მთავარია, აღარ გვაგონებს, რომ უჯაბნიდან ვართ წარმოშობით, რომ დათქმული და დაფიცებული გვაქვს ჩვენი სამშობლო სოფლის არდავიწყება, რომ ყველას, ჩვენიანს, იქ მისვლა და ჩვენი საჭირისუფლოს მიხედვა გვმართებს..." — მითხრა ერთხელ ჩემმა საუკუნეს გადაცილებულმა ბებიამ ბაისო გუჯაბიძემ.

ახლა მაგონდება ჩემი წინაპრის თავგადანახადი, ჩვენი საგვარეულოს ამბავი. ახლაც მსგავსი რამ ხომ არ მეორდება?!.. ვაითუ, „ქართველობის" ნაცვლად პასპორტში „საქართველოს მოქალაქეობას" რომ ჩაგვიწერენ, ხანი რომ გამოხდება, თაობები შეიცვლება, ასევე უმტკივნეულოდ და შეუმჩნევლად გადაგვავიწყდეს ჩვენი სადაურობა, წარმომავლობა? აღარ გვახსოვდეს, თუ რა გორისანი ვართ, ვისი და რისი თავდადებული, ერთგული სამსახური გვმართებს?..

ღმერთმა დაგვიფაროს მუხთალი მტრისაგან, მაგრამ ხომ არ არის ეს ნაბიჯი გამანქურთებისაკენ მიმავალი გზისაკენ?

მომავალი თაობები არ გვაპატიებენ, რომ დავთმოთ, რისი დათმობაც არაფრით არ შეიძლება. ახლა მაინც ხომ გვქვია დამოუკიდებელი. თუ ისევ სხვათა სურვილსა და ბრძანებაზეა დამოკიდებული ჩვენი მეობა, ეროვნულობა?

ნუ დავივიწყებთ, რომ საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ისაა, რომ არასოდეს არა გვსურდა დაგვევიწყებინა ჩვენი ქართველობა, თუ რა გორისანი ვართ!..

***ჯულიეტა გუჯაბიძე***

## ინფორმაცია

1999 წლის 18 ივნისს ქ. თბილისში საინიციატივო ჯგუფის მიერ იქნა დაფუძნებული მოქალაქეთა საზოგადოებრივი კავშირი „ბექთარი", რომლის საქმიანობის მიზანია:

1. ადამიანის უფლებების დაცვა.
2. ომის მონაწილეთა, ვეტერანთა, ინვალიდთა და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის სოციალური დახმარების გაწევა.

საქართველოს მოსახლეობას, საზოგადოებებს, ბიზნესმენებს და ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ მისამართზე: პუშკინის 5, II სართული. ტელ.: 93-18-41.

12.00-დან 17.00 საათამდე. შაბათ-კვირის გარდა,

საზოგადოებრივი კავშირი „ბექთარი".

# წმინდანებსაც დაცვა სჭირდებათ?!

„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა... თავის ხატსა და მაგალითს". „წმინდანობის გვირგვინით" შემკულ ასეთ რჩეულ შვილთა მოღვაწეობის გაცნობასა და შეფასებას უნდა ისახავდეს მიზნად მასობრივი მკითხველისათვის გათვალისწინებული ისტორიის კალენდარი (1999 წელი, ავტორ-შემდგენელი როლანდ ბურჭულაძე), რომელსაც ეპიგრაფად უძღვის: „ეს ყველამ უნდა იცოდეს!"

რა არის ის, რაც ყველამ უნდა იცოდეს?!

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა კალენდრის ფურცლებზე ასეა შეფასებული: ა) დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში მიღწეული უზარმაზარი წარმატებები შედეგია არა 16 წლის ჭაბუკის გენიალობისა, არამედ იმისა, რომ იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოში კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ როგორ და საით წარემართათ სახელმწიფოს პოლიტიკა და რაც მთავარია, არსებობდა ხალხი, ვინც ერთგულად და თავგამოდებით იბრძოდა ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის; ბ) თუ „დავით ამაღშენებელი იმ პოლიტიკას არ გაატარებდა, რაც „დარბაზის ერის" მიერ იყო შემუშავებული, მასაც მოუწევდა მამამისივით ტახტის დატოვება; გ) „ამგვარად დავით აღმაშენებლის პიროვნება დიდია იმდენად, რამდენადაც მას უნარი აღმოაჩნდა გაემართლებინა „დარბაზის ერის" გადაწყვეტილება;



დაინტერესებული მკითხველი კალენდრის ფურცლებზე ვერ აღმოაჩენს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ვერც ერთ სხვა წახნაგს. ავტორი დუმს და მასობრივ მკითხველს ორიოდე სიტყვითაც არ ახსენებს, რომ აღმაშენებელმა ქვეყანა იხსნა თურქ-სელჩუკთა ბატონობის გამანადგურებელი უღლისაგან, დაასრულა საქართველოს გაერთიანება, თბილისი დაუბრუნა სამშობლოს, მტრისგან გაწმინდა რუსთავი, სამშვილდე, გიში და ლორე, შექმნა მუდმივი ჯარი, ჩაატარა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და ერის სულიერი სიძლიერის ბურჯი ეკლესია გაანთავისუფლა უღირს პირთაგან, აღაშენა გელათი და შექმნა გელათის აკადემია, გადაიხადა „ძლევა საკვირველი", დიდგორის ბრძოლაში დაამარცხა მუსულმანური უზარმაზარი კოალიცია, მაჰმადიანთაგან გაანთავისუფლა ანისი და 52 წლის ასაკში შექმნა კავკასიური მასშტაბის უძლიერესი ქართული სახელმწიფო.

ამის სანაცვლოდ, რ. ბურჭულაძე გვთავაზობს ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებულ შეფასებებს, რომლებიც განაჩენად უფრო აღიქმება, ვიდრე პიროვნების ობიექტურ შეფასებად. დიდი შეცდომაა, მკითხველს არ შეახსენო დავითის ღვაწლი და შემოიფარგლო მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ პოლიტიკა, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე დაყინებით და გეგმაზომიერად ხორციელდებოდა საქართველოში, ქართველ მეფეთა პოლიტიკა იყო და მიზანს მხოლოდ იმიტომ მიაღწია დავითის მეფობის დროს, რომ ასეთი იყო „დარბაზის ერის" ნება. ეროვნულ ცნობიერებაში დამკვიდრებული აღმაშენებლის სახე, „უშიში, ვითარცა უხორცო", ისტორიის კალენდრის ფურცლებიდან გვესახება პიროვნებად, რომელიც ყველაზე უკეთეს შემთხვევაში აღასრულებს „პროგრესულად მოაზროვნე ფეოდალური არისტოკრატიის" ნებას.

კალენდრის ფურცლებზე, რომელიც საეროსთან ერთად საეკლესიო კალენდრის ფუნქციასაც ასრულებს. მართალია, 8 თებერვალი დავითის ხსენების დღედაა აღნიშნული, მაგრამ თვით სტა-

გაგრძელება მე-9 გვ.

# მორიგი სესხი ქართული მასმედიისათვის

## ვის შეხვდება მსოფლიო ბანკის 1,3 მილიონიანი „შემოწირულობა"

საქართველოში განხორციელებული „სამართლებრივი რევოლუციით", როგორც ჩანს, განსაკუთრებით უცხოელები მოხიბლულან. ამერიკელ ექსპერტთა აზრით: „ქართველ რეფორმატორთა იდეები ბრწყინვალეა, განხორციელების გზები — შესანიშნავი", „საქართველომ ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია სასამართლო რეფორმის განხორციელებაში".

ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას მიშა სააკაშვილმა იმასაც გაუსვა ხაზი, „თუ როგორ ითხოვენ დასავლეთში ქართული დემოკრატიისა და საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის გამოცდილების გაზიარებას", მანამდე კი „რეფორმის მამამ" ე. წ. მეოთხე ხელისუფლების პროგრესზე გვაუწყა ჩვეული რიხით. თურმე: „თავისუფალმა მასმედიამ ბოლო მოუღო მონოპოლიის ერთ-ერთ ამორალურ ფორმას — სამართალზე ორუელისეულ მონოპოლიას, ჯებირი აღმართა სიცრუის დაუბრკოლებლად გავრცელების გზაზე და ამით შიგ გულში ჩასცა ლახვარი ამ სიცრუეს".


მალხაზ მაჭავარიანის ფოტო

ამდენად, დარწმუნებული ვიყავი კიდევ მრავალი „ბრწყინვალე იდეა" გაჩნდებოდა და მორიგ „ფანტასტიკურ შედეგებზე" მსოფლიოს ავალაპარაკებდით. მართლაც, მასმედიის საშუალებებში ფართოდ გაშუქდა მორიგი „შესანიშნავად განხორციელებული აქციაც. ამჯერად „რეფორმატორებმა, როტარებმა და ამერიკელ იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა" 15 მაისს ამოქმედებულ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში განახორციელეს შედარებით მცირე მასშტაბის „რევოლუციური ცვლილება" და სხდომათა დარბაზი შავ-თეთრად გადაღებეს. როგორც შევიტყვეთ, რაიონული სასამართლოსათვის 600 დოლარი ქართულ „როტარი კლუბს" „შეუწირია" და სამომავლოდ თურმე ამ აქციაში საერთაშორისო „როტარების" ჩართვასაც აპირებს (კლუბი „როტარი" ამ საუკუნის დასაწყისში ჩიკაგოში დაუარსებიათ შეძლებულ ამერიკელებს).

ახალი სისტემის სასამართლოს გაპარტახებულ შენობაში მოწყობილმა პოლიტიკურ-სამართლებრივმა „მალიარ შოუმ", ეტყობა, საზღვარგარეთელ მეგობრებზე ისეთივე ეფექტი მოახდინა, როგორც პირდაპირმა ტელეტრანსლიაციებმა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებიდან. მსოფლიო ბანკმა, გარდა იმისა, რომ უმალ გამოგვიყო 13 მილიონი დოლარი „სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის", ამ თანხის 10%-ც (1 მილიონ 300 ათასი) გამოძებნა „რეფორმის პროპაგანდისათვის" და სახელდახელოდ შექმნილ არაკომერციულ იურიდიულ პირს „შესწირა" გრანტის სახით.

„სგია"-ს (სამართლებრივი განათლებისა და ინფორმაციის ასოციაცია) მომავალი წარმატებების გარანტად კი ამ ახალი „არასამთავრობო" ორგანიზაციის დამფუძნებლები მოგვევლინენ. უშუალოდ პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს — იუსტიციის საბჭოსთან და „სამთავრობო" იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან" საერთო ინტერესები ამჯერად „თავისუფლების ინსტიტუტმა" („დემოკრატიის მესაფლავეების" ფიტულებს რომ წვავს და არც „ოროსანი" მოსამართლეებისა და მლებრიშვილის არ ეშინია...) და სოროსის ფონდის ადგილობრივმა წარმომადგენლობამ „ღია საზოგადოება — საქართველომ" გამონახეს. (ამ უკანასკნელს, ბატონი ნოდარ წულეისკირი „ყველაზე ბნელ და დახურულ საზოგადოებას" უწოდებს...).

თუ მეხუთე პარტნიორის — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრთა შემართებას და ინტელექტუალურ პოტენციალს გავითვალისწინებთ (თუნდაც, მათი ერთ-ერთი ლიდერის, ადვოკატ კობა დავითაშვილის შესაძლებლობებს...) უდავო ხდება, რომ XX საუკუნის მიწურულის განმანათლებელ-ინფორმატორთა ამ ასოციაციას ვერც „რევოლუციური" კოდექსების კომენტარების უქონლობა შეაფერხებს და დაფუძნების დღიდანვე ფართო ფრონტით გაშლის „სააგიტაციო-პროპაგანდისტულ" მუშაობას მოსახლეობაში (განსაკუთრებული აქცენტი ალბათ მაღალმთიან ზონაზე და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე გაკეთდება...). განაცხადეს კიდეც: „ორი კვირის შემდეგ სრულყოფილი მუშაობის საშუალება მოგვეცემაო.."

ისიც უდავოა, რომ „სგია"-ს ახლადდანიშნულ აღმასრულებელ დირექტორთა საქმიანი და მორალური თვისებები, სწორედ ის საწინდარია, რომელზეც კიდევ მრავალი „ბრწყინვალე იდეა" აღმოცენდება და „სრულყოფილი მუშაობის" მეოხებით მორიგ „ფანტასტიკურ შედეგებად" იქცევა...

ერთი მათგანი, ტელემაყურებლისა და რადიომსმენელისათვის კარგად ნაცნობი ჟურნალისტი — დოდო შონავაა, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებას თუ რეფორმის სხვა „გამარჯვებებს" ყოველწლიურად „გეგმიურ ვადებში" გვილოცავდა. სხვათა შორის, ამ ქალბატონმა, რომელმაც სემინარ-კონფერენციები იურისტებზე ხშირად დაამშვენა, 666 თუ არა, 66 გადაცემა მაინც მიუძღვნა „რეფორმების მამებს", ხოლო „რეტროგრადებისათვის" საეთერო დრო ვერა და ვერ გაიმეტა. მოკლედ, სულ რეფორმების წინა ხაზზე — ავანგარდში იმყოფებოდა

გაგრძელება მე-10 გვ.

### აფხაზეთი

# „იცოცხლე" – თქვი, „გაგიმარჯოს" – არ წამოგცდეს!!!

„ნამდვილი აფხაზები გაწყდნენ, ამოწყდნენ. თქვენ რომ აფხაზებს ეძახით, იმათ შეაკლეს თავი. ამაზე დიდი ულმერთობა იქნება? კაცის მკვლელს ამ მოკლული კაცის სახელი დაუძახო? მაგათ რომ ეკადრებათ, ის ჰქვია მათებურად. ჩვენ გვრცხვენოდა, გვერიდებოდა ამ სიტყვის ხმამაღლა თქმა. ამიტომ მაგათ აფხაზეთში მაცხოვრებლებს ვეძახდით. თუ მოკლედ, „აფხაზს" იტყოდა ვინმე, მაშინვე შეკითხვას მივაყოლებდით: „ქრისტიანია?" თუ ქრისტიანი იყო, ნამდვილი აფხაზი იყო, თუ არა და, აფხაზის მკვლელის ნაშიერი და სისხლი მართებდა ჩვენი, ვიცოდით, მტერი იყო. ეგენი ტყიდან ჩამოცვენილი, ტყიური, წერა-კითხვის უქონელი და უცოდინარი არიან, სისხლისმსმელები, დაუნდობლები. ქალის და ბალანას შებრალება არ იციან. ერთიანად ამოწყვიტეს აფხაზური ოჯახები, ლამ-ლამობით მიესეოდნენ მძინარეს. მთელი სოფლები რომ გაწყვიტეს და სამაგიეროს გადამხდელი აღარავინ დარჩა, დაეპატრონენ აფხაზების ნასახლარს. მათი გვარები და სამოსახლო, კარ-მიდამო დაისაკუთრეს.

მეგრელები აფხაზობენო, რომ ამბობენ, თუ ვინმეა აფხაზის ახლობელი და ჩამომავალი, მეგრელებია. მეგრული გარდამავალი ენაა აფხაზურიდან ქართულში. აფხაზეთი რომ გამოყვეს, მაშინ სამეგრელოს გამოყოფასაც აპირებდნენ, მაგრამ ერთიანი მეგრული ვერ დაადგინეს. რამდენი სოფელიცაა, იმდენნაირი მეგრულია. ძველი აფხაზეთის მახლობლად უფრო აფხაზურის მსგავსია. ნამდვილი აფხაზური ის ენა არ არის, რაზედაც აფხაზების მკვლელები ლაპარაკობენ. მე ვიცი აფხაზური და, ალბათ, ეგერ-აგერ შემორჩენილმა ძველებურად ნასწავლა კაცებმა. უწინ ნამდვილ აფხაზურ ენაზე მთელი საქართველო ლაპარაკობდა. ის ანბანი, მხედრულს რომ ეძახიან, კოლხეთიდან გადაიღეს მაშინ, როცა აღმოსავლეთიდან გადმოსულმა ქართველებმა მთელი საქართველო გააერთიანეს. ამიტომაც უძახიან მას „მხედრულს". ამის ლაპარაკის ნებას რატომლაც არ იძლევიან. რაა ამაში დასამალი? აფხაზური ენა ჩვენთვის იგივეა, რაც ლათინური იტალიელებისათვის. ძველისძველი, ძირი ენა. მეორედ მოსვლის დროს ამ ენაზე იქნება ცოდვა-მადლის განკითხვა. მეგრული, ლაზური, ჭანური, სვანური, ქართული იმ ძველი აფხაზურის ჩამომავალია...

ამ ცოდვილიან ხალხს პირველს მოეკითხება აფხაზების სისხლი. დადგება დრო, როცა ეგენი ისევე ერთიანად ამოწყდებიან, როგორც მაგათ გაწყვიტეს აფხაზები.

ხანი რომ გავიდა და მშვიდობიანობა ჩამოვარდა, ჩვენი შიშით ეგენი გზაზე ვერ გამოჩნდებოდნენ. სადაც წავაწყდებოდით, მიზეზს ვუპოვიდით, წავეჩხუბებოდით, ვცემდით, მივასიკვდილებდით. თვალს თუ მოგვკრავდნენ, გარბოდნენ, თხებივით გადაახტებოდნენ ღობეს, იმალებოდნენ. რა დაავიწყებდათ, ჩვენს წინაშე რა დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი... თუ გაქცევას ვერ მოასწრებდნენ, უცებ შეგვეჩხებოდნენ, დაფეთდებოდნენ, საქციელი წაუხდებოდათ. თავს ჩალუნავდნენ, გასაცოდავდებოდნენ. ჩქარა-ჩქარა ამბობდნენ: „კარგად გამყოფს", „გაგიმარჯოს"... შიშით ენააბნეულებს, რაც გაახსენდებოდათ, ისე საწყლად ამბობდნენ, თავს შეგაცოდებდნენ. ჩვენ გაბრაზებით ჩავუვლიდით, პასუხს არ ვაღირსებდით. თუ მაინც უხერხულად ვიგრძნობდით თავს, „იცოცხლეს" მივუგდებდით.



კარგად დაიხსომე, რაც გითხარი. ამის მთქმელი აღარავინ დატოვეს ბოლშევიკებმა. მე თუ არ გითხარი, სხვა ვინ გეტყვის სიმართლეს?! გავა დრო, იმასაც გაიგებ, რაც მაგათ ჰქვია. მართალი რომ ვთქვა, საკადრისი სახელი აკუთვნა გამჩენმა (რამდენჯერ არ ჩავეკითხე, არაფრით არ იკადრა და არ თქვა „აფსუა"). არ შეგეშალოს, მტერი და მოყვარე ერთმანეთში არ აგერიოს. შენიანი და შენიანის მომსპობის გარჩევა უნდა შეგეძლოს. ყველაფერს თავისი ჯიში და ჩვეულება მოსდგამს. ვინც ერთხელ გიმტრო, მისგან ისევ უნდა მოელოდე მტრობას და მუხანათობას. ეცადე, მშვიდობიანად იყო, მაგრამ მტრის ნაშიერს ფრთხილად უნდა მოეპყრო, არ ენდო. კიდევ, ერთი რამ არაფრით არ შეგეშალოს: თუ აუცილებელია მაგათ უპასუხო, „იცოცხლე" უთხარი, „გაგიმარჯოს" არ წამოგცდეს!!! რა დღესაც „გაგიმარჯოს" წამოგცდება, იმ დღიდან წახდება ჩვენი საქმე. ეს წესი ყველამ იცის. შენ უცხოდ ხარ, ქალაქელი, იმ მხარეში რომ მოხვდები, გაფრთხილდი. ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრწყინავსო — გამაფრთხილა დედის ბიძამ, დიმიტრი (ბიჭიკო) ჩიქოვანმა, აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნის მკვიდრმა.

ჩემის მხრივ, მის ნათქვამს დავუმატებ: მართლაც, შენიანის და უცხო ტომის გარჩევა უნდა შეგვეძლოს. როცა ეროვნების ჩანერას „აფხაზს" მოითხოვენ, უნდა პასუხი ვაგებინოთ! მე არ მერიდება მათი სამარცხვინო სახელის გამოთქმა და პირდაპირ ვიტყვი: დროა აფსუას აფხაზებს აღარ ეძახდნენ. ჩაწერონ: „აფხაზეთში მცხოვრები აფსუა". თავის აფსუობას, რამდენადაც ვიცი, არც თვითონ არ უარყოფენ. ჩვენ რატომ უნდა ვუწოდოთ მათ ის სახელი, რისი ღირსნიც არ არიან?!

**ჟულიეტა გუჯაბიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიტლერის ანდერძი, ანუ „საუბრები ბუნკერში“

*გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №№ 15,18,19,20,22,23,25*

ნაციონალ-სოციალიზმის ქურაში გალღვება და შედუღაბდება გერმანული სულისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება და მისგან წარმოსდგება თანამედროვე გერმანელი, შრომისმოყვარე, შეგნებული, თავის თავში დარწმუნებული, ამასთან ერთად, უბრალო, ამაყი, არა თავისი თავით, არამედ დიდი ერთიანობისადმი კუთვნილებით, რაც სხვა ხალხების ალტაცებას გამოიწვევს. კორპორაციის უპირატესობის ეს გრძნობა ჰრანაირად არ ნიშნავს სხვა ხალხების შემუსვრისა და დათრგუნვის უმცირეს სურვილსაც კი. ვიცი, რომ ჩვენ ზოგჯერ ვაჭარბებდით ასეთი მისწრაფებების ჩვენეულ კულტს, თუმცა იგი აუცილებელი იყო თავდაპირველად, როდესაც გვჭირდებოდა გერმანელების საფუძვლიანი შენჯღრევა ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად... ამ მიმართულებით ძალიან ძლიერი დაწოლა აუცილებლად გამოიწვევს თანაბარი ზომის წინააღმდეგობას. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამის მიღწევა ერთ დღეში არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა დროის თანდათანობითი დაწოლა. ფრიდრიხ დიდი პრუსიელის ჭეშმარიტი შემქმნელი იყო. ორი, სამი ასწლეული დასჭირდა, ვიდრე გამოკრისტალდა პრუსიელის ტიპი და პრუსიული ხასიათის თითოეული პრუსიელის განუყრელ კუთვნილებად იქცა.



ჩვენი რასობრივი სიამაყე არაა აგრესიული, გარდა ებრაელების მიმართ... მე ყოველთვის აბსოლუტურად პატიოსანი ვიყავი ჩემს პოლიტიკაში ებრაელების მიმართ. ომის დაწყების წინ მე ისინი საბოლოოდ გავაფრთხილე. მე მათ განვუცხადე, რომ თუ ისინი კიდევ ერთი ომის პროვოცირებას მოაწყობდნენ, მაშინ მათ არ დავინდობდით და მე ერთხელ და სამუდამოდ მოვსპობდი ჭირს მთელს ევროპაში. ამ გაფრთხილებაზე მათ ომის გამოცხადებით მიპასუხეს, თან ამით ცხადყვეს, რომ მსოფლიოში, სადაც არ უნდა ყოფილიყო ებრაელი, იგი ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის შეურიგებელი მტერია“.

10 თებერვლის ჩანაწერებში ჰიტლერი ლაპარაკობს ლათინური ქვეყნების ხალხებზე, რომელთა ერთი ეპიზოდი ზევითაც მოვიხსენიეთ. 20 თებერვლის ჩანაწერში იგი ამბობს:

„ლათინური ქვეყნები ჩვენ ბედნიერებას არ მოგვიტანენ. მათი ქედმაღლური ყოყოჩობა პირდაპირპროპორციულია მათი სისუსტისა, და ეს ყოველთვის რევს კარტებს...“

ჩვენთან შედარებით კიდევ უფრო ღრმა შეცდომაში შეიყვანა ინგლისელები თავიანთმა ლათინურმა მოკავშირემ. სავსებით ნათელია, რომ ჩემბერლენი არასოდეს გამოგვიცხადებდა ომს, მას რომ სცოდნოდა საფრანგეთის დემორალიზაციისა და არასრულფასოვნების ნამდვილი მასშტაბები. ინგლისელები იმედოვნებდნენ, რომ ფრანგები თავის მხრებზე გადაიტანდნენ სახმელეთო კამპანიის უღელს. ჩემბერლენისათვის არაფერი სიძნელე იყო ნანგის რამდენიმე ცრემლი დაეღვარა პოლონეთისათვის, შემდეგ კი ჩვენთვის სრული თავისუფლება მოენიჭებინა ამ ქვეყნისთვის ანგარიშის გასასწორებლად.

ლათინური ქვეყნების ფიზიკურ სისუსტეს უნდა დავუმატოთ მათი მართლაც ფანტაზიური პრეტენზიები. მეგობრულ იტალიასა და მტრად მოკიდებულ საფრანგეთს შორის არავითარი გადამწყვეტი განსხვავება არ არსებობს. ორივე ამ ქვეყნის სისუსტეს ერთნაირი ფატალური შედეგი ჰქონდა ჩვენთვის.

ეჭვგარეშეა — ჩვენ მხოლოდ უბედურებას განვიცდიდით ლათინურ რასასთან კავშირში. იმ დროს, როდესაც მე დაკავებული ვიყავი, ჯერ მონტუარში საფრანგეთთან უშედეგო თანამშრომლობის მოგვარებით, შემდეგ ხენდეში, სადაც იძულებული ვიყავი პატივი მიმელო მერყევი მეგობრისაგან, (ფრანკოსაგან გ.ბ.) ლათინური რასის მესამე წარმომადგენელმა (მუსოლინმა გ.ბ.), რომელიც მართლაც ჩემი მეგობარი იყო, ისარგებლა ჩემი დაკავებულობით და თავისი კატასტროფული კამპანია წამოიწყო საბერძნეთის წინააღმდეგ“.

ჰიტლერი ყოველთვის განიცდიდა განსაკუთრებულ სიძულვილს საფრანგეთისა და ფრანგებისადმი. „მე არასდროს არ მიყვარდა საფრანგეთი და ფრანგები და არასდროს არ ვიღლებოდი ამის გამეორებით, — ამბობს იგი 15 თებერვალს, — მე ვთვლი, რომ მათ შორის არის ზოგიერთი ღირსეული ადამიანი. ეჭვგარეშეა, რომ ბოლო წლებში მთელი რიგი ფრანგების გულითადად და დიდი შემართებით მხარს უჭერდა ევროპის გაერთიანებას. მკაცრი მოპყრობა, რაც ამ ხალხმა თავიანთი თანამემამულეებისაგან იწვნიეს თავიანთი ნათელი აზრებისათვის, ამ ადამიანების კეთილი ნების დადასტურებაა“.

ჩვენი უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იყო ჩვენი პოლიტიკა ფრანგების მიმართ. უკეთესი იყო საერთოდ არ გვეთანამშრომლა მათთან. ეს პოლიტიკა სავსებით სასარგებლო გამოდგა მათთვის, მაგრამ გამოუსადეგარი იყო ჩვენთვის. აბეცმა (გერმანიის ელჩი პეტენის მთავრობაში გ.ბ.) დიდ ვინმედ მოგვაჩვენა თავი, როდესაც აზრი გამოთქვა თანამშრომლობის სასარგებლოდ და, როცა ჩვენც ამ პოლიტიკის გატარებაში დაგვარწმუნა. ის ფიქრობდა, რომ მოვლენების განვითარებას ხელმძღვანელობდა მაშინ, როდესაც სინამდვილეში კუდში მისჩანჩალებდა მათ. მას, ალბათ, ეგონა, რომ საქმე გვქონდა ნაპოლეონის დროინდელ საფრანგეთთან ერთად, რომელსაც უნარი აქვს შეაფასოს კეთილშობილური ჟესტის მნიშვნელობა და შორს გამიზნული შედეგები. აბეცმა ვერ შეამჩნია ის უდავო ფაქტი, რომ უკანასკნელ ასწლეულში საფრანგეთი სავსებით შეიცვალა.

ჩვენ, ალბათ, უნდა გაგვეთავისუფლებინა მშრომელი კლასი და დავხმარებოდით ფრანგ მუშებს საკუთარი რევოლუციის განხორციელებაში. უხეშად და შებრალების გარეშე უნდა გადაგვეყენებინა ხავსმოკიდებული ბურჟუაზია, რომელსაც თანაბარზომიერად არც სული გააჩნდა და არც პატრიოტიზმი. ერთი შეხედეთ, როგორი მეგობრები მოგვიძებნეს საფრანგეთში ჩვენმა ვილჰელმშტრასერელმა (ქუჩა ბერლინში, სადაც მდებარეობდა ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გ. ბ.) გენიოსებმა — წვრილმანი, ანგარებიანი, უბადრუკი სპეკულიანტები, რომლებიც ჩვენთან მოწებებას ჩქარობდნენ, როდესაც საფრანგეთის ოკუპაცია გადავწყვიტეთ. იმ მიზნით, რომ ბანკებში მათი ანგარიშები შეგვენარჩუნებინა, მაგრამ, რომლებიც მზად იყვნენ პირველი შესაძლებლობისთანავე გავეყიდეთ, თუკი თავად საფრთხეში არ ჩაიგდებდნენ თავს!“

**მოამზადა**
**გიორგი ბეჟუაშვილმა**

გაგრძელება იქნება

# ბატონებო, მიხედეთ თქვენს საქმეს!

დემოკრატიული ქვეყნების პრესა, განსხვავებით კომუნისტური, დიქტატორული რეჟიმების ბეჭდვითი ორგანოებისაგან, გამოირჩევა საჯაროობით, ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს ობიექტური გაშუქებით, განსხვავებული აზრების, პოზიციების გამოხატვის საშუალებით. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც ქართული პრესაა და არც გაზეთი „საქართველო“, როგორც ქართული მასმედიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

სწორედ დემოკრატიული პრესის პრინციპებით ვხელმძღვანელობდით, როცა ბ-ნ გურამ ყორანაშვილისა და მისი ოპონენტების წერილებს ვაქვეყნებდით ისტორიის ინსტიტუტისა და მისი ყოფილი დირექტორის, ბ-ნ გიორგი მელიქიშვილის საქმიანობის შესახებ. მკითხველმა იცის, რომ ბ-ნი გიორგი საკუთარი ნებით გადადგა ამ თანამდებობიდან. სანამ ბ-ნი გიორგი ამ ნაბიჯს გადადგამდა, მანამდე, თუ არ ვცდებით, ორი თუ სამი კვირით ადრე რედაქციაში ისტორიის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა, ბ-მა ალეკო დაუშვილმა მოიტანა 20 თუ 24 გვერდიანი წერილი სათაურით „არ გათეთრდების ყორანი“..., რომელიც ბ-ნ გ. ყორანაშვილის პიროვნების და მისი მეცნიერული საქმიანობის მძაფრ კრიტიკას შეიცავდა. ჩვენ მის გამოქვეყნებას ვაპირებდით, მაგრამ ბ-ნი გიორგის თანამდებობიდან გადადგომის შემდგომ მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ მისი დასტამბვა, რადგან მივიჩნიეთ, რომ ბ-ნი გურამ ყორანაშვილის კრიტიკული წერილებისა და მისი ოპონენტების მთავარი ადრესატის ინსტიტუტიდან წასვლის შემდეგ ეს მეცნიერული პაექრობა აზრს კარგავდა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მაინც).

ჩვენ კი ასე მივიჩნიეთ, მაგრამ თურმე სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ ბ-ნი გიორგი მელიქიშვილის თანამებრძოლები და ფაქტიურად, მისი ადვოკატები — ბ-ნები: გ. გიორგაძე, მ. სამსონაძე და ა. დაუშვილი. ამ რამდენიმე ხნის წინათ შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში მათ მიერ გამოცემული ბროშურა „ტერორიზმი მეცნიერებაში“, რომელიც: ფაქტობრივად, გ. ყორანაშვილის წინააღმდეგ მათი ავტორობით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილებისა და გამოსაქვეყნებელი, ანუ ჩვენს მიერ ზემოთხსენებული გამოუქვეყნებელი წერილების ნაკრებია. ამ თემას, მით უფრო, ამ ულიმღამო ბროშურას არც შევეხებოდით, რომ არა ერთი გარემოება: ჩვენს მიერ გამოუქვეყნებელი წერილისთვის („არ გათეთრდების ყორანი“...) ამ ბატონებს ასეთი შენიშვნა დაურთავთ: „გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ნ. ნათაძემ და გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორმა ს. ჯანაშიამ ამ წერილის გამოქვეყნება არ ისურვეს, რითაც უხეშად ხელყვეს ჟურნალისტური და ადამიანური ეთიკის ნორმები. ამ ბატონებმა თავისი საქციელით კიდევ ერთხელ დაადასტურეს ბიოლოგიური სიძულვილი ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და საერთოდ, ისტორიკოსებისადმი, ამასთან, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ის ნაზი სიყვარული, რასაც ისინი ფილოსოფოს ყორანაშვილისადმი განიცდიან. ვეჭვობთ, გრძნობების ამგვარმა პოლარიზაციამ გაზეთ „საქართველოს“ მკითხველი, ხოლო რესპუბლიკურ პარტიას ელექტორატი გაუმრავლოს!“

ბატონებო! რა შუაშია გაზეთთან ბატონი ნოდარ ნათაძე. გაზეთს ყავს რედაქტორი და ის წყვეტს, დაისტამბოს თუ არა ესა თუ ის წერილი. რაც შეეხება ჩვენს „ნაზ სიყვარულს“ გურამ ყორანაშვილისადმი, გვიყვარს ჩვენი გაზეთის ყველა ავტორი, მათ შორის თქვენც და არავითარი ბიოლოგიური სიძულვილი თქვენს მიმართ არ გვამოძრავებს. უფრო ის გვაწუხებს, რომ იმ ინსტიტუტს, სადაც თქვენ მუშაობთ, აქამდე ვერ დაუდგენია აფხაზეთის, სამაჩაბლოს ისტორია და უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიაც თავიდან არის დასალაგებელი. თქვენ კი გეტყობათ ეს სიძულვილი ოპონენტების მიმართ და ეს კარგად ჩანს თქვენს ბროშურაში.

დალოცვილებო! ერთმანეთის ლანძღვა-გინებას ის არ სჯობს, დაჯდეთ და ჩაუღრმავდეთ ქვეყნის ისტორიას, მიამატოთ მას ახალი ფურცლები, დაალაგოთ სამაჩაბლოს, აფხაზეთის ისტორია და მსოფლიოს გააგებინოთ, რომ ესენი საქართველოს ძირძველი კუთხეებია. თქვენ ამას არ ან ვერ აკეთებთ. სამაგიეროდ აკეთებენ არძინბა-ჩიბიროვი და მათი „მეცნიერები“. რაც შეეხება კიდევ ერთ შენიშვნას თქვენს ბროშურაში, რომელიც პრესას, სიტყვის თავისუფლებას შეეხება და სადაც ამბობთ, რომ „ყალბად გაგებული სიტყვის თავისუფლება და სამართალდამცავი ორგანოების უგერგილობა უსაზღვრო საშუალებებს აძლევს“ პრესას უსაფუძვლო ლანძღვა-გინების ნიაღვარი, პასკვილები და ინსინუაციები ბეჭდოსო, ერთ რამეს გეტყვით: გ. მელიქიშვილის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიებში ლანძღვა-გინება, მით უფრო, უსაფუძვლო არსად არ იყო. იყო მხოლოდ მეცნიერული დავა. ეს თქვენ კარგად იცით, მაგრამ შენიშვნაში რომ უგერგილო სამართალდამცავებს ახსენებთ, ეს თქვენი კომუნისტური სულისკვეთების გამოხატულება უფროა ალბათ, რადგან, გეტყობათ, თავისუფალი პრესა გულზე არ გეხატებათ და იგი არტახებში მოქცეული გსურთ იხილოთ. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიგოთ ერთი რამ: დემოკრატიის მახასიათებელი ნიშანია თავისუფალი პრესა, აზრის თავისუფლად თქმის საშუალება და ამ შემთხვევაში განსხვავებული აზრები არათუ გ. მელიქიშვილზე და მის ინსტიტუტზე, თავად პრეზიდენტზე, პარლამენტის თავმჯდომარესა თუ სხვა მაღალჩინოსნებზეც ხშირად იბეჭდება და ნუ ეცდებით, წაგვართვათ ეს უფლება.

ბ-ნო გიორგაძევ, პატივცემულო სამსონაძევ, ძმაო დაუშვილო, მიხედეთ თქვენს საქმეს, თუ, რა თქმა უნდა, გაქვთ ამისი უნარი და ნიჭი. თუ არ გაქვთ და თქვენი ყოფილი დირექტორის, ღრმადპატივცემული ბ-ნი გ. მელიქიშვილის მაგალითი სახეზე გაქვთ (ბოდიშს ვიხდით ღვაწლმოსილი მეცნიერის თქვენთან შედარებისათვის).

*გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია*

# წმინდანებსაც დაცვა სჭირდებათ?!

*მერვე გვერდიდან*

ტიაში არაა მითითებული, რომ აღმაშენებელი წმინდანია. ნუთუ ისიც ეჭვს იწვევს, რომ წმინდანობა სულიერების უზენაეს სიმაღლეს ითხოვდა და „გალობანი სინანულისანის“ ავტორი ამ ღირსებასაც ფლობდა?

ბ-ნი რ. ბურჭულაძეს არც თამარ მეფე დაუტოვებია „ყურადღების“ გარეშე: ა) „ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში თამარის მეფობის პერიოდი ოქროს ხანად არის მიჩნეული... თუ იმ მრავლისმეტყველ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მიერ ძლევამოსილად ჩატარებული მრავალი ბრძოლიდან აღებული ალაფი მთლიანად ფეოდალებს რჩებოდათ და სამეფოდ კი არაფერი მიჰქონდათ, ფეოდალებისათვის ნამდვილად ოქროს ხანა ყოფილა“; ბ) „დავუმატოთ ამას ისიც, რომ ყველა შერისხული ფეოდალი, ვინც თამარის მამა გიორგი III-ის დროს საქართველოდან გააძევეს, თამარის დროს დაბრუნდა საქართველოში და კვლავ ძველი ადგილები დაიკავეს... ძლიერი მეფე და ძლიერი სახელმწიფო, ქა გიორგი III-ის დროის საქართველოა. თამარის ზეობის დროს სახეზე გვაქვს დამცრობილი ცენტრალური ხელისუფლება?

ბ-ნი რ. ბურჭულაძე არაფერს ამბობს, თუ რა სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პოტენციალს ფლობდა „ოქროს ხანის“ საქართველო, რას ნიშნავდა მაჰმადიანთა ორი კოალიციის დამარცხება შამქორსა და ბასიანში, ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, კავკასიური სახელმწიფოს შექმნა, იმ სიმაღლისთვის მიღწევა, რომ ბიზანტიას პირველობას შეცილებოდა ამიერკავკასიაში და „მესამე რომად“ გადაქცევისათვის მომზადებულიყო...



ბ-ნი რ. ბურჭულაძისგან, რომელმაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის გენიალობა მხოლოდ „დარბაზის ერის“ გადაწყვეტილებების განხორციელებაში, ხოლო თამარის როლი დამცრობილ მეფის ხელისუფლებაში დაინახა, ალბათ, არ უნდა გაგვკვირვებოდა, რომ ყურადღება დემეტრე თავდადებულის მიერ ქართული საოჯახო კანონების უგულებელყოფაზე გადაიტანა და ამ ფაქტზე დაყრდნობით უმძიმესი საბრალდებო დასკვნა გამოიტანა: „მას (დემეტრე II) შეეძლო ირანში გამგზავრებაზე უარი ეთქვა. ასეთ შემთხვევაში ხმალი უნდა აელო ხელში და ებრძოლა მონღოლთა წინააღმდეგ, მაგრამ მას ამის გაკეთება არ შეეძლო იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ საქართველოში გაძნელდებოდა ვინმეს პოვნა, ვინც დათანხმდებოდა მისი დროშის ქვეშ დადგომას... ქართული საოჯახო კანონების არაფრად ჩაგდებამ ხალხს მისდამი პატივისცემა დააკარგვინა, ხოლო დიდი ფეოდალების უმრავლესობა მისი ამორალური ქცევის გამო უალრესად შეურაცხყოფილი იყო და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ მისთვის ებრძოლათ“.

ვინ უფრო მკაცრი ზნეობრივი კანონებით უნდა სჯიდეს დემეტრე თავდადებულის ყველა ნაბიჯს, შუა საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე აღზრდილი ჟამთაალმწერელი, რომელიც წერს, „და უკეთუ წარვიდე ყაენის წინაშე დასტურობით უწყი მომკლავს... მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არ დავიშლი ურდოს წასვლას“, პატივცემული მკვლევარი, XIXს-ის ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭე, ილია ჭავჭავაძე, ქრისტიანული ეკლესია, დემეტრე II წმინდანად რომ შერაცხა, თუ ბ-ნი რ. ბურჭულაძე? საინტერესოა, რა წყაროებზე დაყრდნობით უწყის „დასტურობით“ ბატონმა როლანდმა, რომ ცდებოდა ქართველი ხალხი, როცა დემეტრე II-ს „თავდადებული“ უწოდა?

ჩვენ ამჯერად დავით აღმაშენებლის, თამარისა და დემეტრე თავდადებულის ავტორისეული შეფასებების ჩვენეული ანალიზით შემოვიფარგლეთ, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს ერეკლე II-ის უარყოფითი პორტრეტის კლასიკურ ნიმუშს. ჩვენთვის ცნობილია ურთულესი დროის შვილის არაერთგვაროვანი შეფასება, მაგრამ ისტორიის კალენდრის ფურცლებზე მათ შორის ერთ-ერთ უმძიმეს საბრალდებო დასკვნას ვკითხულობთ: „ამ ტრაქტატის (1783წ.) პირობების შემუშავების დროს მისთვის (ერეკლე II-თვის) მთავარი იყო რუსეთს ეცნო მისი ოჯახის უფლებები სამეფო ტახტზე, მეტი არაფერი! ეს იყო არა მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯი სამეფოს სიძლიერისა და კეთილდღეობისათვის, არამედ სახელმწიფოს სათავეში სხვადასხვა გარემოებათა გამო მოხვედრილი ფეოდალის ზრუნვა ფეოდალური იმუნიტეტის შეუნარჩუნებლად“...

დღემდე უეჭველი პატარა კახის სამხედრო ნიჭიც კი უარყოფილია. „რაც შეეხება ერეკლე II-ის მიერ გადახდილ „ას ომს“, ეს ყველაფერი მხოლოდ პოეტური გამონაგონია“...

ბ-ნი რ. ბურჭულაძე დიდი ილიას სიტყვებით მოგვმართავს: „მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით, გეტყვით გულის გასათბობსა, — ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა“. ნუთუ მართლაც ეს ვიყავით, ასეთი დავით აღმაშენებელი, თამარი, დემეტრე თავდადებული და ერეკლე II გვყავდა? ნუთუ ეს არის გულის გასათბობი დროის ექო? განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია...

**მედეა კეზელავა**

# მორიგი სესხი ქართული მასმედიისათვის

## ვის შეხვდება მსოფლიო ბანკის 1,3 მილიონიანი „შემოწირულობა“

*მერვე გვერდიდან*

და მართლაც „გმირულად“ იცავდა მისთვის მინდობილ „ზონას“.

მეორე კი, სააკაშვილის „მარცხენა ხელი“ — ზურაბ ადეიშვილია. („მარჯვენა ხელი“ დავით სულაქველიძე იყო, ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე. როგორც ამბობდნენ, ადეიშვილს იუსტიციის საბჭოში უპირებდნენ „დაწინაურებას“, მაგრამ თავად უთქვამს უარი და დირექტორის, „უზენაესის“ მოსამართლეზე ორჯერ მეტად მაღალანაზღაურებადი თანამდებობა აურჩევია). ამ ახალგაზრდა „ღრმადგანსწავლული ინტელექტუალის“ შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობებს ცნობილი მეცნიერები, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები ოთარ მელქაძე და ბესარიონ ზოიძე იძლევიან. კერძოდ, უნივერსიტეტის პროფესორის ხელმძღვანელობით წიგნზე დაუწყია მუშაობა და „გაუჩინარებულა“, ხოლო სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მას მერე აღარავის უნახავს, რაც ასპირანტურაში ჩაუბარებია... ჰოლანდიაში თვეობით მივლინებულმა თუ რა შინაარსის ადმინისტრაციული კოდექსები ჩამოგვიტანა ან სოროსის ფონდში როგორ უტარებდა „ექსპერტიზას“ კვალიფიციურ იურისტთა მიერ წარდგენილ პროექტებს, ცალკე მსჯელობის თემაა...

ამასთან, ქ-ნ დოდოს სამართლებრივ „განსწავლულობაზე“ და მის გულმავიწყობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფაქტია, მისი იუმორი (თუ იუმორის გრძნობის აშკარა დეფიციტი...) მართლაც ბევრს ამხიარულებს (განსაკუთრებით შთამბეჭდავია, ამერიკელ თუ ადგილობრივ რეფორმატორებთან ხშირი კონტაქტების გავლენით „ბედნიერ უიკენდს“ რომ გვისურვებს ხოლმე ტელეეკრანიდან...). სამაგიეროდ, ბატონი ზურაბი „მოღვაწეობს“ სრულიად სხვა ჟანრში და მის მიერ დაშვებული ლაფსუსების თუ ხელმოწერილი „უტყუარი“ საბუთების შემხედვარე იურისტებს მაინც ნამდვილად არ უნდა ჰქონდეთ საქმე სასაცილოდ...

რეფორმატორები და მათი უცხოელი მეგობრები (თუ „სპონსორები“...), როგორც ჩანს, მიმდინარე პროცესებს სხვა თვალით უყურებენ და პროფესიონალიზმზეც ერთობ „სპეციფიკური“ შეხედულება უნდა გააჩნდეთ. შთაბეჭდილება რჩება, რომ პირველ პლანზე ინგლისურის ან გერმანულის ცოდნასთან ერთად კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს აყენებენ და ცოტაოდენი დამახსოვრების უნარსაც ითხოვენ. მაგ. სააკაშვილის აზრით, „ტესტები შეიძლება გამოვაქვეყნოთ კიდეც წინასწარ და თუ ადამიანმა ისწავლა 2000 ტესტის ამოხსნა, მაშინ ისედაც უნდა დანიშნო მოსამართლედაც და პროკურორადაც“ (!)

როგორც ჩანს, დაუნიშნია კიდეც... იუსტიციის საბჭოს წევრმა, მინდია უგრეხელიძემაც კი შენიშნა: „დრო გვიჩვენებს, რომ იმ მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი, რომლებმაც გამოცდა ჩააბარეს, ცოდნის მხრივ ამ თანამდებობას არ იმსახურებდა“. მეორემ კი ისიც აღიარა: „ცალ-ცალკე იუსტიციის საბჭოს თითოეულმა წევრმა ვიცოდით ზოგიერთი კანდიდატის კორუმპირებული წარსულის შესახებ და მაინც მივეცით ხმა მათ გამოსამართლებასო...“. იუსტიციის საბჭოს მდივნის განცხადებით კი, მოსამართლეების თანაშემწეებად და სხდომის მდივნებად შერჩეულებიდან ზოგიერთს სამი ენაც კი ცოდნია...

მძიმე მოსასმენია, მაგრამ ეგ არაფერი... სამაგიეროდ, უცხოელი მეთვალყურეები ხომ აღვაფრთოვანეთ „ფანტასტიკური შედეგებით“ (თუ დამკვირვებლებს... ისე, მერჩივნა ექსპერიმენტები და დაკვირვებები ჩვენზე არ ეწარმოებინათ...). რაც მთავარია, დამატებით 1,3 მილიონიც გამოგვიყვეს, კიდევ ერთი „არასამთავრობოც“ შევქმენით და „შემოწირულ“ დოლარებსაც ერთობლივად ავითვისებთ, ალბათ, ისევ „მიზნობრივად“...

ცხადია, „საგანმანათლებლო-საინფორმაციო“ ღონისძიებებს ისევ „შერატონ-მეტეხი პალასში“ ან მთისა თუ ზღვის პრესტიჟულ კურორტებზე მოვაწყობთ, „თავისუფალი“ მასმედიის (აგრეთვე, მასმედიის ზოგიერთ „თავისუფალ“...) წარმომადგენელთან ერთად „აქციებსაც“ ჩავატარებთ და კიდევ მრავალ „ბრწყინვალე იდეას“ განვახორციელებთ „შესანიშნავად“.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი განვლილითაც კმაყოფილი ყოფილა და როგორც ჩანს, მომავალსაც ოპტიმიზმით უყურებს: „უკვე წელიწადნახევარია ვმუშაობ ეკონომიკური რეფორმების პროგრამაში. ეს არის ყველაზე წარმატებული პროექტი საქართველოში. ძალიან კარგად მუშაობს იქ ხალხი. გვყავს უამრავი თანამშრომელი. ვფიქრობ, რომ იგივე მოხდება სასამართლო რეფორმის კუთხითაც. იგივე წარმატებას მივაღწევთ“.

გმადლობთ, ბატონო კერ! ძალიან საინტერესო და „ნათელი“ პერსპექტივები დაგვიხატეთ... სწორედ ეს მაფიქრებს, სასამართლო რეფორმის კუთხითაც იგივე რომ მოხდება და სამწუხაროდ, არც მე მეპარება ეჭვი, რომ ისეთივე „წარმატებული“ იქნება, როგორც ეკონომიკური...



ზვიად კასრაძის ფოტო

მას შემდეგ, რაც „ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრმა“ ყოველდღიურ გაზეთებში დაიწყო რეკლამების განთავსება (ქართველი „სიზიფე“ რეფორმების ლოდს მწვერვალისაკენ ეზიდება...), მოსახლეობამ ნამდვილად იგრძნო, რომ თურმე „მკვდარი წერტილიდან დავიძარით“!

ამდენად, პრესის მეშვეობით რეფორმის „ფანტასტიკური შედეგების“ აგიტაცია-პროპაგანდასთან ერთად, უახლოეს მომავალში, ალბათ, ტელეტრანსლიაციებსაც მოვაწყობთ სასამართლოების სხდომათა დარბაზებიდან (თავიდან, უფრო სამღებრო სამუშაოები გაშუქდება, შემდეგ კი გარემონტებულ დარბაზში შემოსული მოსამართლის მანტიას ვაჩვენებთ მსხვილი პლანით. ყველა დაინახავს, რომ ჯიბე არ აქვს და ახალ მოსამართლეებს სულაც რომ ვერ მივცეთ დაპირებული ხელფასი, ქრთამს მაინც არ აიღებენ...). რუსთავი-2-ის პოპულარულ წამყვანებთან ერთად ზოგიერთ „ფრიადოსანსაც“ ვესტუმრებით ოჯახში და მის შეჭირვებულ ყოფაზეც აგვიჩუყდება გული. უთუოდ ამერიკიდანაც მივიღებთ რეპორტაჟს, თუ როგორ ასწავლიან იქაური მოსამართლეები აქედან „გამოცდილების გაზიარებისათვის“ წარგზავნილებს, ხოლო გამოყოფილი სახსრები თუ გვეყო, ქართველი ტელემაყურებელი უთუოდ იხილავს ქართული სასამართლოების ყოფის ამსახველ სერიალს პირობითი დასახელებით: „გვეკუთვნის, მაგრამ არ გვეკუთვნის...“ (ან „რეფორმები სრული სვლით...“).

გრანდიოზული „სუპერშოუ“ კი 2000 ან 2001 წლის 12 მაისს „მოსამართლის დღეს“ გველოდება. გმირთა მოედანზე „რეფორმატორთა“ მონუმენტი აღიმართება (ბუნებრივია, ზურაბ წერეთლისეული...). რეფორმირებული სასამართლოს თვითშემოქმედებითი კოლექტივები საკონცერტო ნომრებით წარსდგებიან მოსახლეობის წინაშე ვაკის — „გამარჯვების“ პარკში, ხოლო მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის წარმომადგენელთა (აგრეთვე სხვა საზღვარგარეთელ მეგობართა) წინაშე ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. განსაკუთრებულ მოწონებას სხვადასხვა ინსტანციათა სასამართლოების ვაჟთა შავი, შინდისფერი და მწვანე „ტრიოები“ და ქალთა „სამაიები“ დაიმსახურებენ. იმავე საღამოს თავისუფლების ინსტიტუტი „რეტროგრადების“, „ნეორეტროგრადების“ და „ოროსანთა“ ფიტულებს დაწვავს „საზეიმოდ“, ხოლო სახალხო სეირნობა „სამართლებრივი რევოლუციის სრული და საბოლოო გამარჯვებისადმი“ მიძღვნილი ფეირვერკით დაგვირგვინდება...

მასმედიის ის საშუალებები, რომლებმაც თავის დროზე „შიგ გულში ჩასცეს ლახვარი სიცრუეს“, როგორც ჩანს, რეფორმების მომავალ წარმატებებსაც დღეიდანვე უყრიან საფუძვლებს. მაგ. ტელევიზიის პირველი არხი „ალიონიდანვე“ შთაგვაგონებს (გვამცნობს), რომ თურმე ამომრჩეველთა 38%-ს მიშა სააკაშვილი მომავალ პარლამენტშიც სურს იხილოს, ხოლო გამოკითხულთა 43%-ს ელენე თევდორაძეზე უკეთესი „სახალხო დამცველი“ ვერ წარმოუდგენია. (ალბათ, უფრო „დიდების ზღაპარი“ ვერ წარმოუდგენიათ ამ პერსონაჟების გარეშე...)

სამაგიეროდ, თუ პირველსა და სხვა „ცენტრალურ“ არხებს დაევჯერებათ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, მიხეილ ჯიბუტის პროფესიონალიზმი მოქალაქეთა თურმე მხოლოდ 3%-ს აკმაყოფილებს, ხოლო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ოთარ მელქაძე დეპუტატთა შორის ფაქტობრივად არავის სჭირდება.

ამდენად, დარწმუნებული ვარ, „სგია“-ს სრულად ამოქმედების შემდეგ ახალი სასამართლოების ეფექტურობაც და მიუკერძოებლობაც გაასმმაგდება და სამართლებრივი რეფორმის იდეოლოგიური უზრუნველყოფის მხრივ კიდევ უფრო „ფანტასტიკურ შედეგებს“ მივაღწევთ...

ვშიშობ, ჯანდაცვის რეფორმასავით არ გამოგვივიდეს, ექიმებისა და საავადმყოფოების რიცხვი რომ გავანახევრეთ, სოციალურად დაუცველი ავადმყოფები „ხალხური საშუალებების“ ამარა რომ დავტოვეთ, მასმედიით კი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი რამოდენიმე კლინიკის და მკურნალობის ეფექტური საშუალების რეკლამით რომ ვართ დაკავებულნი.

მერჩივნა, გრანტები უშუალოდ დამოუკიდებელი მასმედიის საშუალებებისათვის მიზნობრივად გამოგვეყო და რედაქტორები თავად გადაწყვეტდნენ რეფორმები როგორ გაეშუქებინათ (ამ შემთხვევაში კი ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო თუნდაც იგივე ამერიკული მექანიზმები გამოგვეყენებინა. კერძოდ, „თანაბარი შესაძლებლობების“ თუ „ ეთერის გამოყენების შესაძლებლობების“ წესები, რომელთა მიხედვით, თანაბრად და ერთნაირი პირობებით ეთმობა დრო ყველა სახის განსხვავებულ მოსაზრებას).

ამასთან, შეიძლებოდა, თანხები უშუალოდ იმ პროფესიონალებისათვის გამოგვეყო, რომლებიც „რევოლუციური“ კოდექსების დახვეწას შეძლებდნენ და ოფიციალური კომენტარების შედგენაზეც იმუშავებდნენ. ისიც გამართლებული იქნებოდა, მიზნობრივი გრანტები დამოუკიდებელ იურისტთა (ადვოკატთა) ან მათი ასოციაციებისათვის გამოგვეყო და უზრუნველგვეყო პროფესიონალების გამოსვლა თუნდაც ტელევიზიით, რისი აუცილებლობაც აშკარაა (მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც მორიგი არჩევნები კარს მოგვადგა, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის გათვითცნობიერება სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში უაღრესად არადამაკმაყოფილებელია).

უცხოელ მეგობართა „შემოწირულობებიც“ მეტად გონივრულად უნდა გამოვიყენოთ, მითუმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენი მასმედიისთვისაც კი გახდა ცნობილი „ფულისა და კარიერის კეთების მარტივ მეთოდებზე“, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელშეწყობით ხორციელდება. მაგ. ჟურნალისტმა ქეთი ხატიაშვილმა დიდი ხნის წინ შენიშნა, რომ „საქართველოში ფულის ჩადებით დონორები იმიჯს ყიდულობენ, საკონსულტაციო ფირმები ანუ ბიუროკრატია საარსებო წყაროს“. „ბიუროკრატიზმით ყველაზე მეტად ევროკავშირი გამოირჩევა. ისინი ხელისუფლებას არც არაფერს ეკითხებიან, საქართველოში მზა პროგრამები ჩამოაქვთ. მსოფლიო ბანკის მოხსენებაში სასამართლო რეფორმას გაბედულსაც კი უწოდებენ, ამიტომაც, ისინი მზად არიან ამ სფეროს ფინანსური დახმარება გაუწიონ“ („ალია“ 8.12.97). ამის შემდეგ საყურადღებოა, რომ იუსტიციის სამინისტროში „სგია“-ს პრეზენტაციის შემდეგ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სასამართლო რეფორმისათვის თანხა გრანტის სახით გამოიყო („რეზონანსი“, „ახალი თაობა“. „ეკო-დაიჯესტი“ და სხვა), იუსტიციის საბჭოს მდივანმა მოგვიანებით „ვილაცის არასწორ თარგმანს“ დააბრალა. მისი განცხადებით 1 მილიონ 300 ათასი დოლარი ის კრედიტი ყოფილა, რომელიც მსოფლიო ბანკის პროექტის ნაწილს შეადგენს და მათივე „პირობებით დაფინანსდება“. დავით მუმლაძემ იმასაც კი გაუსვა ხაზი, რომ „ეს არ არის გრანტი. 1,3 მილიონი არ იხარჯება მხოლოდ პროექტებზე. ეს მიდის უცხოელი კონსულტანტების ჩამოყვანაზე, აქაური კონსულტანტების ხელფასებზეც“ („ახალი თაობა“ 12.07.99).

გასაგები ხდება, რომ საზღვარგარეთელ მეგობრებთან ერთად რეფორმების წარმატებაში მრავალი აქაური „კონსულტანტიც“ შეიტანს აქტიურ წვლილს და მათ სახელებსაც მადლიერი მოსახლეობა არ დაივიწყებს, მაგრამ არც უცხოელებს უნდა მოვეკიდოთ უგულისყუროდ.

ბატონი დავითი, თავის ინტერვიუში, თუ მსოფლიო ბანკის კონსულტანტის, ვინმე „ჯენი რიქსის“ სიტყვებს უკეთებს კომენტარს, გაზეთები „ახალი თაობა“ და „ეკო-დაიჯესტი“ მსოფლიო ბანკის ექსპერტის „ქენ ჯეიქსის“ მოსაზრებებს გვამცნობენ, ხოლო „რეზონანსის“ ჟურნალისტი ამავე ბანკის წარმომადგენელს, „ბატონ კერს“ გასაუბრებია (მე კი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ან გამოყოფილი თანხის ძირითადი ნაწილი მოხმარდება მსოფლიო ბანკის წარმომადგენელ-ექსპერტ-კონსულტანტების „ექსკურსიებს“ ან თუ ეს სამივე ერთი პირია, შეიძლება ჩვენს „კონსულტანტებსაც“ შეხვდეთ რაიმე...)

მართალია, დავით მუმლაძის განცხადებით „იდეაში ვინმესთან ამ თანხის გაცემა წინასწარ განსაზღვრული არ არის“ და „სგია“-ს დირექტორატი „წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე გააფორმებს კონტრაქტებს და დააფინანსებს კონკრეტულ ობიექტებს“, როგორც ჩანს, „არასამთავრობო“ ასოციაცია სხვა მიმართულებებითაც ოპერატიულად იმოქმედებს და შესაძლოა „ფანტასტიკურ შედეგებსაც“ მიაღწიოს. მაგ. რით არ არის „ფანტასტიკური შედეგი“, როდესაც ჯერ კიდევ „სრულყოფილ ამუშავებამდე“ არ გამორჩათ ერთ-ერთი „ახალი“ მოსამართლის შესახებ გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია და იმავე დღეს ფაქსით გაუგზავნეს რედაქციას საპროტესტო მიმართვა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტმა გია იაკობაშვილმა ზოგადად აღნიშნა, რომ „მოსამართლის „გაჯეჯილება“ მისი და სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ახალგაზრდა მამის ახლო ნათესაობით არის გამოწვეული“. ასოციაციამ ქვეყანას ამცნო, რომ სააკაშვილი აქ არაფერ შუაშია. გამოდის, რომ „სგია“ მოსამართლეთა ახალი კორპუსის, სასამართლო რეფორმის იმიჯის დაცვასთან ერთად „რეფორმების მამების“ ადვოკატობასაც იტვირთებს...

ყველა შემთხვევაში, სასამართლო რეფორმას „კომუნიზმის“ იდეასავით არ უნდა სჭირდებოდეს მმართველ პარტიასთან სპეციალიზებული „აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების“ შექმნა („სგია“ სწორედ ასეთად წარმოგვიდგება...), მითუმეტეს კი საზღვარგარეთიდან, თუნდაც მეგობარი ქვეყნიდან დაფინანსებულის.

დარწმუნებული ვარ, რეფორმების ტვირთი, ძირითადად, თავად უნდა ვზიდოთ, ხოლო რეფორმირებულმა სასამართლომ ხალხის ნდობა, პატივისცემა და ავტორიტეტი მხოლოდ საკუთარი საქმიანობით, მიუკერძოებელი და სამართლიანი გადაწყვეტილებებით უნდა მოიპოვოს.

**ავთანდილ კახნიაშვილი**
*იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი*

# კიდევ ერთი უგუნური ნაბიჯი, ანუ რუსეთთან ერთად ისევ ვაშენებთ საბჭოთა კავშირს?!

მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესი დიდ და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებისათვისაა მომგებიანი, ხოლო ისეთი პატარა სახელმწიფოსათვის, როგორიცაა საქართველო, იგი მეტად საშიშია. სუპერსახელმწიფოები ეცდებიან თავს მოგვახვიონ მათთვის სასარგებლო წესები, გვიკარნახონ საკუთარი იდეები, ზნეობრივი ნორმები, ესთეტიკური გემოვნება, რაც დაანგრევს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ეროვნულ ხასიათს, ადათს, თითქმის ყველაფერს.

მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე



ინტეგრაციული პროცესების განვითარების პრაქტიკა მიგვანიშნებს მათი ჩამოყალიბებისა და სრულყოფის რამდენიმე ეტაპის არსებობაზე, სახელდობრ:

— თავისუფალი სავაჭრო ზონები. ინტეგრაციის ეს ეტაპი მოითხოვს წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადების გაუქმებას, ე.ი. საბაჟო საზღვრების გამჭვირვალობას. ინტეგრაციის ეს ეტაპი მტკიცე საფუძველს ქმნის შემდგომი უფრო ღრმა ინტეგრაციული ეტაპის განვითარებისათვის;

— საბაჟო კავშირი, შიდა ტარიფები ერთიანი საგარეო ტარიფებით იცვლება, რაც ნიშნავს იმას, რომ წევრ ქვეყნებმა უნდა გაატარონ ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა. ინტეგრაციის ეს ეტაპი კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციის ანუ საერთო ბაზრის ჩამოყალიბების საფუძველია;

— საერთო ბაზარი. საბაჟო კავშირის ყველა მახასიათებელს ემატება სამუშაო ძალისა და კაპიტალის შეუზღუდავი გადაადგილება. ეს არის სრული ინტეგრაცია, რომელსაც საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი მართვის სისტემის მქონე ინტეგრაციული სისტემის დაფუძნება მოჰყვება, რომელიც ცნობილია სრული ეკონომიკური ინტეგრაციის სახელით. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს სოციალურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და საგადასახადო სისტემის უნიფიცირებას, აგრეთვე იქმნება მმართველობის ერთიანი ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებები სავალდებულოა ინტეგრაციული კავშირის წევრებისათვის.

საქართველო დიდი ხანია იძირება დსთ-ს ინტეგრაციის ჭაობში, საიდანაც ამოსვლას, ალბათ, ბევრი 9 აპრილი დასჭირდება, მითუმეტეს, ისეთი ყოფილი კომკავშირლების და რაიკომის მდივნების ხელში, რომლებიც თვალდახუჭული აწერენ ხელს ისეთ უგუნურ შეთანხმებას, როგორიცაა შეთანხმება დსთ-ს თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

რას მოგვცემს იგი? მხოლოდ ცუდს. პირველ რიგში, გაიზრდება იმპორტი, რაც კიდევ უფრო გაზრდის რუსეთის ეკონომიკის ზეგავლენის ფაქტორს საქართველოს ეკონომიკაზე. საკმარისია ამისათვის გავიხსენოთ საქართველოზე რუსეთის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის შედეგები, მეორე — რუსეთისა და სხვა დსთ-ს წევრი ქვეყნების იაფფასიანი (უხარისხო) საქონელი განდევნის ადგილობრივი ბაზრიდან სამამულო წარმოების საქონელს, რაც შეაფერხებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და, შესაბამისად, შეარყევს ეროვნული ვალუტის — ლარის სიმტკიცეს. დაბოლოს, მესამე: — ამ ხელშეკრულებასთან მიერთებამ შესაძლოა შეაფერხოს საქართველოს გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რასაც ადასტურებს ГАТТ-ის პირველი მუხლი. ეს მუხლი, მართალია, ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს, რომლებიც ეხება თავისუფალ სავაჭრო ზონებს, მაგრამ „უპირატესი ხელშემწყობი რეჟიმი“ ძირითადად მიმართულია გლობალური ეკონომიკური გავლენის არმქონე ქვეყნებისაკენ.

გარდა ამისა, შეთანხმების ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი იყო, რომ ამ შეთანხმებას (თავისუფალი სავაჭრო ზონა) გააჩნია უპირატესობა სხვა შეთანხმებების მიმართ, რაც ზღუდავს სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს და ამცირებს ქვეყნის სუვერენიტეტის ხარისხს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, გაუგებარია, რა ხდება? ისევ ვაშენებთ რუსეთთან ერთად საბჭოთა კავშირს, თუ მივისწრაფით, დავამყაროთ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები დასავლეთის ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებსაც ახასიათებს საგრძნობლად უფრო დემოკრატიული მართვის სტრუქტურები?

*გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №7*

# „...ამიტომ შეარქვეს „ჩუმა“...

გაგვანაწილეს და ყველა კინწისკვრით შეგვყარეს ორივე ვერტმფრენის სალონებში. სალონის კედლებზე გაბმულ მავთულებზე ხელბორკილებით ჩამოგვაბეს ისე, რომ იატაკზე თავისუფლად ვმდგარიყავით, მაგრამ ხელები არ გვეხმარა არავითარ შემთხვევაში. გისოსებიანი კარი მძიმე ბოქლომით ჩაგვიკეტეს და ამის შემდეგ ალბათ ამ ოპერაციის დამთავრებას სადღაც აცნობეს სამი მწვანე რაკეტის გასროლით. ასე საბედისწერო გამოდგა ჩვენი ბოლო „ტრიუმფი“. 1948 წლის სექტემბერში ვერტმფრენებით ქ. მინვოდში ჩაგვიყვანეს. იქ კი „სტოლიპინის“ ვაგონში გვიკრეს თავი ისე, რომ ბორკილებიც არ შეუხსნიათ და უმალვე სპეცეტაპით ქ. როსტოვში გადაგვაგზავნეს. აქ ციხის ზედამხედველებმა გაგვჩხრიკეს და რაოდენ დასანანია, რომ უგულოდ გადამიყარეს დედის საფლავიდან წამოღებული მიწა, რომელიც ძვირფას რელიქვიად მქონდა შემონახული.

გამომრჩა მეთქვა, სტოლიპინის ვაგონით მგზავრობისას დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა ჩვენ შორის, გვინდოდა ამოგვეცნო, თუ ვინ გათქვა ეს საიდუმლო. ზოგნი დარაჯად დარჩენილ ორ კაცს აბრალებდნენ, ისინი კი თავს იმართლებდნენ იმით, რომ როგორც კი ჩვენ გამოქვაბულში დავშვებულვართ, მაშინვე აუყვანიათ სამხედროებს ეს ორეული. დანარჩენი, რაც, მოხდა, ეს უკვე ვიცით ყველაფერი.

როსტოვში დაიწყო ჩვენი საქმის გამოძიება (გროზნოში ვერ გაბედეს ჩვენი დატოვება, ისე ეშინოდათ ხუჩბაროვისა), პირადად მე ბრალად მედებოდა მაგრეზ ხუგაევის ოჯახის განადგურება ნალჩიკში, ვინმე გენადი როსმანის ოჯახის მოსპობა გროზნოში და გარდა ამისა, მონაწილეობა სხვადასხვა დივერსიულ აქტებში.

თავის გამართლებას არც ვცდილვარ, უფრო მეტიც, მსიამოვნებდა ის ამბავი, რომ ასე დაწვრილებით განიხილავდნენ ჩემს ნამოქმედარს.

აქ კიდევ ერთხელ მინდა დავუბრუნდე იმ საკითხს და ვთქვა, რომ ჩემი ხელით რომ გამესტუმრებინა საიქიოში მაგრეზ ხუგაევი, ასეთი კაცთმოძულე და სისხლგაყინული აღარ ვიქნებოდი, ალბათ, მექნებოდა ცოდომადლის გარჩევა. მაგრამ რას ვიზამთ, ყველაფერი ღვთის განგებით ხდება და არა ჩვენი ნება-სურვილით.

სასამართლომ ჩვენი საქმის ირგვლივ დიდი დრო დახარჯა და ბოლოს ყველას შეგვიფარდა სათანადო სასჯელი (მაშინ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა გაუქმებული იყო, თორემ, ალბათ, ყველა ჩვენგანს უყოყმანოდ გაისტუმრებდნენ საიქიოში).

პირადად ჩემი სასჯელი ასე გამოიკვეთა: თავისუფლების აღკვეთა — 25 წელი. გადასახლება 5 წელი, და ხმის უფლების ჩამორთმევა 5 წელი. სულ 35 წელი. უფრო მეტი სასჯელი ჩემთვის პატარა იბრაჰიმის სიზმრად ხილვა იყო. ამიცხადდა გაჯიევის სიტყვა: ჯოხი ისე მოვიქნიე, რომ სამუდამო წყლული გავუჩინე ჩემს თავს.

მთელი ჩემი აბრაგობის მანძილზე სულ ორჯერ დამემართა სიზმარში ასეთი კოშმარი, რისი მოწმეც შენ თვითონ გახდი წუხელ. მერე კი, როცა პროფესიონალი გავხდი, ადამიანის სისხლის დაქცევაში, სხვადასხვა ამბებმა გააფერმკრთალა პატარა იბრაჰიმის სიკვდილი. აქ კი პატიმრობაში რადგანაც ბევრს ვფიქრობ, კვლავ მესიზმრება, რომ მარგილზე ჩამოგებული ჩემსკენ იწვდის ხელებს და საშველად მიხმობს, მეც ვითომ გავრბივარ მოსახმარებლად, მაგრამ ახლოს მისულს მისი სისხლი მეშხეფება თვალებში და უკვე რომ ველარაფერს ვხედავ, მაშინ ვიწყებ სასოწარკვეთილ ყვირილს. როსტოვის ციხეში ყოფნისასაც დამემართა ასეთი რამე, ეს იმიტომ, რომ სასამართლოს მსვლელობა მახსენებდა იმ საბედისწერო შეხვედრას ბავშვთან.

მართალია, ეს ამბავი საშინელ წამებად მექცა, მაგრამ მე მაინც მართალი ვარ მაგრეზის წინაშე და იმით მივუზღე ბოროტება, რისი საშუალებაც მქონდა. პირადად შენც, ჩემო შალვა, ამიტომ დაგიძრახე ვაჟკაცობა, რომ მამაშენის დამღუპველს ვერ მიუზღე სამაგიერო და ვერაფრით ატკინე გული, თუმცა შენი საქმისა შენ, ალბათ, უკეთ იცი.

მისჯილები დიდხანს აღარ გავუჩერებივართ როსტოვის ციხეზე და მალე ყველას ჩრდილოეთისაკენ გვიკრეს თავი, ოღონდ დაგვაცალკევეს, მე ჩემი ძმადნაფიცი ოსმანის ბედი უფრო მაინტერესებდა, ისე კი ნამდვილად სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, რომ აქვე უნჟლაგის მერვე ლაგერში ყოფილა, ვცდილობ, როგორმე ხმა მივაწვდინო, ვაცნობო ჩემი აქ ყოფნის ამბავი.

აი, ეს არის ჩემი ცხოვრების მოკლე ისტორია. მე კი არ გიმალავდი მას, უბრალოდ, მზარავს ასეთი საშინელების გახსენება. ახლა კი შენ თვითონ გამოიტანე დასკვნა, ვის რა დაუშავა ჩვენმა ოჯახმა, რომ ასე დასაღუპავად გაეწირა იგი.

მძიმედ ჩამაფიქრა იუსუფის ნაამბობმა და კარგა ხანს ვიჯექი ასე გაჩუმებული, ვფიქრობდი: — რამხელა ცოდვაა, როდესაც კაცი კარგს თესავს და ცუდს მოიმკის, ასე საბედისწეროდ რომ არ მომხდარიყო დღეს, ალბათ, იუსუფი, კარგი ოჯახის აღზრდილი, ცნობილი ჟურნალისტი ან საზოგადოებაში თითით საჩვენებელი ინტელიგენტი იქნებოდა და არა ის, რასაც ამჟამად ვხედავ, გალიაში გამომწყვდეული ფოცხვერივით რომ აბრიალებს თვალებს.

მძიმე სიტუაცია რომ განმემუხტა, ვიფიქრე, ლაპარაკს სხვა თემაზე გადავიტან-მეთქი, და ისე სხვათაშორის, ვკითხე: თუ საიდუმლო არ არის, ბარემ ისიც მითხარი, მეტსახელი „ჩუმა“ რა მიზეზით შეგარქვეს-მეთქი.

ამ კითხვაზე იუსუფს ნაღვლიანად გაეცინა და თქვა: — ოო, ეგ ძალზე სასაცილო ამბავია, ჩემო შალვა, და შენ ისე ჩაუღრმავდი მაგ ამბებს, რომ ოდესღაც, ალბათ, დაწერ რამეს ჩემს შესახებ. მაგრამ მე ზედმეტად მიმაჩნია მაგ საკითხზე ლაპარაკი და რახან ასე გაინტერესებს, აქ, ჩვენს ლაგერში არის ერთი პატიმარი, რომელიც უშუალო მოწმეა იმ ამბისა, რა მიზეზითაც შემარქვეს ეგ მეტსახელი, ამიტომ სჯობია ის მოვიწვიოთ და ვილაპარაკოთ, — ეს რომ თქვა, სტაციონარის მორიგე გამოიძახა და ინვალიდების ბარაკში წასვლა დაავალა, — ასეც უთხრა, — გენადი კირილენკო იკითხე და ასე გადაეცი, — იუსუფი გეძახის-თქო მორიგე მალევე დაბრუნდა, თან ერთი, ასე ოცდათხუთმეტი წლის კაცი მოიყვანა, კოჭლობდა, ჯოხის ბჯენით შემოვიდა სტაციონარში.

— აქეთ მოიწი, გენადი დავიდოვიჩ, აქეთ! — გასძახა იუსუფმა და ახალმოსულიც ხანხალით წამოვიდა ჩვენსკენ:

— ოო, სალამ ალეიქუმ, ჩუმა, — იუმორნარევი კილოთი მიესალმა იგი, იუსუფს და მარჯვენა ხელი მაღლა ასწია.

— ვა ალეიქუმ სალამ, გენადი დავიდოვიჩ, რას შვრები, როგორა ხარ? — უთხრა იუსუფმა და ჩამოსართმევად მარჯვენა გაუწოდა.

— ეხ, იუსუფ მაისეევიჩ, ჩემი ამბავი მანამდე უნდა გეკითხა, სანამ ჯანმრთელ კაცს ასე ჯართად მაქცევდი, აი, როგორა ვარ, ძლივს დავხანხალებ, — რა არი, რაზე დამიძახე, მოგენატრა ჩემი საფრთხობელა თავი თუ?

— მოიცა, შე ბრიყვო, რა თავს იმადლები, ან მე რას მაბრალებ შენს დამახინჯებას, როცა ყველაფერში შენ თვითონ მიგიძღვის ბრალი, მაგრამ ახლა მაგ ამბებს შევეშვათ, გაიცანი ეს ახალგაზრდა ქართველი კაცი, — უთხრა იუსუფმა და ჩემზე მიუთითა, გენადიმ უხალისოდ გამომიწოდა ხელი.

— აი, რა, გენკა, — დაიწყო იუსუფმა, — ეს ახალგაზრდა, რაღა თქმა უნდა, ჩვენსავით პატიმარია, მაგრამ ერთი დიდი უპირატესობა აქვს, ჩვენთან შედარებით, კალმის კაცია, წერს ყველაფერს, რაც აინტერესებს, სხვათა შორის, ახლა იმით დაინტერესდა, თუ რა მიზეზით შემარქვეს მეტსახელი „ჩუმა?“ — ამ საკითხთან დაკავშირებით შენ ყველაფერი კარგად იცი და უამბე, ეგებ სადმე ოდესმე მოგვიხსენიოს მე და შენ...

— ოო, ეგ ამბავი მართლაც არ უნდა მიეცეს დავიწყებას და თუ ეს ახალგაზრდა მართლა მწერალია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ჩემი მხრივ კი ვეცდები, ყველაფერი გავიხსენო, — ჩაილაპარაკა კირილენკომ თავის მწარედ ქნევით. იუსუფმა ჩვენი საუბრის მოსმენა აღარ ისურვა, წამოდგა და იქვე სტაციონარში დომინოს მოთამაშეებს შეუერთდა.

კირილენკომ თავისი სათქმელი ასე დაიწყო:

1948 წლის ნოემბერი იწურებოდა, მე იმ დროს უკვე მოსჯილი მქონდა სასჯელი და როსტოვის ციხეში ვიჯექი, ეტაპში გაგზავნას ველოდებოდი. „პერესილკა“ ისეთი რამეა, რომ ზოგი გაჰყავთ და ზოგი შემოჰყავთ ერთდროულად, იმ დროს კი, რაზეც ახლა მოგახსენებთ, საკანში სულ 18 კაცი ვიყავით. მათ შორის ორი ქურდი, „ბარსუკა“ და „პანტერა“, გეცოდინება, ძმაო, საკანში ქურდი რასაც მოისურვებს და ბრძანებს, ყველაფერი ულაპარაკოდ უნდა შესრულდეს, ვისაც სურდა, ამანათს ართმევდნენ, ვისაც კარგი რამე ეცვა, ხდიდნენ და თუ ვინმე თავმობეზრებული გაუძალიანდებოდათ, სულს ხდიდნენ ცემით, არავინ იყო განმკითხავი. პატიმარი კაცი ხარ და გეცოდინება ის ამბავი, რომ თუ ქურდმა საკანში ვინმეს დაარტყა, იმ საკანში მყოფმა ყველა პატიმარმა უნდა გამოიღოს ხელი და ქურდის მხარდასაჭერად თითო მუშტი ან წიხლი უთავაზოს იმ ახვარს, რომელიც ქურდის წინაშე ურჩობას გამოიჩენს.

ერთ დღეს ჩვენთან, საკანში, მოიყვანეს ვილაც ახალგაზრდა კავკასიელი („მხეცი“, როგორც რუსები ვუწოდებთ მათ) პატიმარი, კარგი ჯანიანი ვაჟკაცი ჩანდა და ლაზათიანადაც იყო ჩაცმული, „მამასახლისმა“ ადგილი მიუჩინა და საკნის წესრიგიც გააცნო, ახალმოსულმა ზრდილობიანად მოუსმინა, ყველაფერი გასაგებიაო, — უთხრა და თავის საწოლზე წამოწვა.



შალვა ქოლიაური

წარსულის გახსენება

საღამოს, ვახშმის შემდეგ, ქურდებმა თავისი შუსტრიაკი (მეტსახელად „სუსლიკა“) მიუგზავნეს ახალმოსულს და ტყავის ძვირფასი კურტაკი მოსთხოვეს.

— მერე და მე რაღა ჩავიცვა ამ სიცივეში? — გულუბრყვილოდ შეეკითხა ახალმოსული შუსტრიაკს.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, მითხრეს და უნდა გაიხადო.

— არა, მასე არ გამოვა, ჩემი საქონელი მე უნდა მქონდეს.

— რაო, რაო? შენ ვინ რას გეკითხება აქ, შე ვირიშვილო, გაიხადე კურტაკი დროზე, რომ გეუბნებიან, თუ არა და, სუსლიკ, გადმოუღე თვალები მაგ ახვარს — დაიგრგვინა პანტერამ, რომელიც ბანქოს თამაშობდა ბარსუკთან.

— ჰა, იხდი თუ არა? — საბოლოოდ ჰკითხა სუსლიკამ ახალმოსულს.

— არა, არ ვიხდი! — კატეგორიულად უპასუხა მან და, თითქოს საცეკვაოდ ემზადებაო, ისე უცნაურად შეათამაშა მხრები.

— არადა, შენი დედაც. — წამოიძახა სუსლიკამ და მარჯვენა ხელის ორი თითი გაუქანა თვალებში, მაგრამ აქ უკვე ელვის სისწრაფით მოხდა ყველაფერი, ახალმოსულმა სუსლიკას მარჯვენაში მარცხენა სტაცა და ისეთი ლონიერი მუშტი ხეთქა, რომ სუსლიკა უგონოდ დაებერტყა ძირს.

— რებიატა, პალუნდრა! ქურდების კაცზე ხელი ასწია ამ ახვარმა — დაიძახა ერთმა პატიმარმა და მეორე სართულის ნარიდან თავზე გადმოახტა ახალმოსულს, ამ უკანასკნელმა მოასწრო და საყელოში სტაცა ხელი, მერე თითქოს კიროული ილეთით წამოიღო და მთელი სიმძიმით საკნის დერეფანში მოისროლა.

ამის შემდეგ საკანში რა ხდებოდა, უკვე ძნელი იყო გარკვევა, ყველაფერი ჰაერში ფრინავდა, თუკი რამ გაგვაჩნდა, ყველა ვცდილობდით, ქურდების თვალში თავის გამოჩენას, მაგრამ ის დალოცვილი ისე მარჯვედ და ლაზათიანად გვიმასპინძლდებოდა ყველას, რომ გაოცდებოდი კაცი. გავსულელდი და როგორღაც ჩავუვარდი ხელში, ამ გიგანტმა ორივე მხრებში ჩამკიდა ხელი და თოჯინასავით მომისროლა საკნის ბოლოში. იმ დროს შევეჯახე ნარის რკინას და მუხლის ძვალი გადამემსხვრა. ველარც წამოვდექი, ესეც არ მაკმარა იმ ახვარმა, გამოქანებულმა საჯდომში ამომკრა წიხლი და ნარებქვეშ ამომაყოფინა თავი. ალბათ, იმან გადამარჩინა უფრო მეტ უბედურებას, თორემ მე ხომ ველარსად გავექცეოდი. ამასობაში პანტერამ როგორღაც მოახერხა და კოვზის ტარის ნატეხით ხელი დაუსერა ახალმოსულს და ამან ქნა ყველაფერი, იმ შეშლილმა წონასწორობა დაჰკარგა და თვითონვე დაუწყო დევნა პატიმრებს. ვისაც კი ხელში მოიგდებდა, თითო მუშტის დარტყმით შოკში აგდებდა ყველას, მუხლის გატეხილი ძვალი საშინლად მალონებდა, მაგრამ შიშით კრინტს ვერ ვძრავდი და ნარებქვეშიდან გასუსული შევცქეროდი ამ უჩვეულო სანახაობას.

კურდღლად ქცეული „პანტერა“ ნარიდან ნარზე ხტოდა, მაგრამ ვერც ამან უშველა, გამხეცებულმა ახალმოსულმა მაინც იგდო ხელთ და ცაციათი ერთი-ორი ისეთი ლონიერად ლეწა, რომ პანტერა უგონოდ გაიშოტა იატაკზე.

ვერ გეტყვი, თუ როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ უეცრად საკნის კარი გაიღო და ციხის რეჟიმის უფროსი შემოვიდა რამდენიმე ზედამხედველითურთ.

— რა ხდება აქ, რაშია საქმე? — იკითხა რეჟიმის უფროსმა და ძირს დავარდნილ პანტერას დაადგა თავზე — ქურდმა დასისხლიანებული თავ-პირი ზეზე წამოსწია და წელმოწყვეტილივით ძლივს წამოდგა იატაკიდან.

— რაშია საქმე, ვინ დაგარტყა? — შეეკითხა რეჟიმის უფროსი პანტერას, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ უპასუხა და კბილების ღრჭიალით გადააქნია თავი.

— ვინ დაარტყა? — საერთოდ იკითხა უფროსმა და გასუსულ ტუსაღებს მოავლო თვალი.

— მე დავარტყი! — უპასუხა ახალმოსულმა, რომელიც საკნის ბოლოში ფანჯარასთან ჩამომდგარიყო და მშვიდად შესცქეროდა თავის ნამოქმედარს.

— ახ, თქვენ დაარტყით, რა გვარი ხართ? — შეეკითხა რეჟიმის უფროსი.

— დერკიზანოვი იუსუფ მუსას ძე, — უპასუხა ახალმოსულმა.

(გაოგნებულს იუსუფისკენ გამექცა მზერა, მაგრამ ის უკვე გართულიყო დომინოს თამაშში, ასე რომ, ჩემი და კირილენკოს საუბარს აღარ აქცევდა ყურადღებას).

— როდის მოგიყვანეს ამ საკანში?

— დღეს, სამხრობის შემდეგ.

— რაზე ხართ გასამართლებული, ან სასჯელი რა გაქვთ?

— გამასამართლეს ბანდიტობაზე, სასჯელი 25+5+5 სულ 35 წელი.

— დღეს მოგიყვანეს და ალბათ, კურტაკი მოეწონა პანტერას, არა? ხომ მოსცხეთ გვარიანად, უნდა მოგეკლათ ეს შობელძაღლი, სასჯელი მაინც უმაღლესი გქონიათ და ველარაფერს დაგიმატებენ, ისე კი, ჩვენც დავისვენებდით და პატიმრებიც ამ ნაძირალისგან. — უთხრა უფროსმა ახალმოსულს, აწ უკვე დერკიზანოვს და თანაც ზიზღით შეხედა პანტერას, რომელსაც სილის გარტყმის შედეგად აშკარად ემჩნეოდა სახეზე ნათითრები.

მთელი ამ ხნის მანძილზე ნარებქვეშ ვიყავი შეყუჟული, ასე მეგონა, რომ გამოვმძვრალიყავი, ეს ვილაც ველური კვლავ დამესხმოდა თავს და წირვას გამომიყვანდა, თან მუხლიც მალონებდა საშინლად.

— სულ რამდენი კაცია თქვენთან საკანში? — ჰკითხა რეჟიმმა მამასახლისს.

— სულ ცხრამეტი კაცია, — მიუგო მამასახლისმა.

— აბა, მე აქ თვრამეტს ვხედავ მხოლოდ.

— მეცხრამეტე აქა ვარ! — ამოვიკნავლე საცოდავად ნარებქვეშიდან.

— რომელი ხარ? გამოძვერი მანდიდან! — შემომიტია მამასახლისმა.

როგორც იქნა, გამოვფოფხდი, მაგრამ მარჯვენა ფეხი ველარ გავმართე და საშინელმა ტკივილმა იძულებული გამხადა, რომ ნარზე ჩამოვმჯდარიყავი.

— რა დაგემართა, რაშია საქმე? — მკითხა რეჟიმის უფროსმა.

— ეშმაკმა დალახვროს მაგის თავი, „კაკუიუ ტო ჩუმუ ზაგნალი კნამ“, — ვუთხარი გამწარებულმა და დერკიზანოვზე მივუთითე.

— კი მაგრამ, შენ რაღას გერჩოდა?

— პანტერას მხარე დავიჭირე და იმის გულისთვის მომხვდა.

— ჰოო, თუ მასეა, მაშინ გამოწერილივით მოგიხდება ეგ მასაჟი, — მითხრა უფროსმა და იქვე გააგრძელა — ყველა საკანში რომ მყავდეს თითო მაგნაირი „ჩუმა“, წესრიგი დამყარდებოდა მთელს ციხეში. ხომ გიფრინათ ბეღურებივით თვრამეტი კაცი, შეგირცხვეთ ვაჟკაცობა და მეტი ხმაური აღარ გავიგონო, თორემ ყველას კარცერში გიკრავთ თავს, — ასე თქვა და თანმხლებ პირებთან ერთად დატოვა საკანი.

პანტერას უნდოდა იმ ღამეს მძინარე დერკიზანოვისთვის გაესწორებინა ანგარიში, მაგრამ შეშინებულმა პატიმრებმა აღარ აუბეს მხარი და ვერც მარტომ გაბედა რამე. თვით დერკიზანოვს კი მშვიდად ეძინა დილამდის.

ის ღამე ჯოჯოხეთად მექცა, როგორც იქნა, გავათენე, მეორე დღეს ციხის საავადმყოფოში გადამიყვანეს. იქ ოპერაცია გამიკეთეს და ძვლის ორი ნატეხი ამომიღეს, მუხლი თაბაშირში ჩამისვეს, მაგრამ საშველი არ იქნა და ჩემი უჭკუობის გამო დავრჩი ასე ინვალიდად.

ამ ლაგერში რომ მომიყვანეს, ჩემი „ამშენებელი“ იუსუფი აქ დამხვდა. მაშინვე ვიცანი, შევახსენე თავი, გულწრფელად შემიცოდა, ისიც მითხრა, — როცა გავნერვიულდები, წონასწორობას ვკარგავო. არ ვემდური, ჩემი ბრალი იყო. პანტერას რომც წაერთვა მისთვის კურტაკი, მე რა დედიჩემის დამრჩებოდა?

აქ დავმეგობრდით მე და იუსუფი, ეს მეტსახელი „ჩუმა“ ჩემგან გავრცელდა ამ ლაგერში და ზოგი თუ იუსუფს უძახის, პატიმრების მეტი წილი „ჩუმა“-დ იცნობს. ისე, ძალიან კარგი ვაჟკაცია, ამხანაგის გულისთვის თავს გასწირავს, ულალატოა ყველაფერში, — დაასრულა თავისი სათქმელი კირილენკომ.

— „სადაურსა სად წაიყვან, სად ალუფხვრი სადით ძირსო“, „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსო“.

ჩუმას უკუღმართმა ბედმა გამახსენა რუსთაველის სიბრძნე, თუმცა, ღმერთისგანაც განწირული ჩანდა ეს უბედური იუსუფი.

სტაციონარიდან ექიმმა მე და ჩუმა პირდაპირ „ოპეში“ (ოტდიხაუშაია პარტია) გადაგვაგზავნა ორი კვირით, მაგრამ ჩუმას ერთმა შემთხვევამ „ოპეს“ მაგიერ კარცერში ამოაყოფინა თავი.

ორი დღის მისულები ვიყავით „ოპეში“, დილით ცხელი სუპი შემოგვიტანეს, ერთ-ერთი მზარეული ახალბედა ვილაც ჩანდა, მოუქნელად იქცეოდა, სუპს არ ურევდა, რომ წვენს საჭმელიც რამე ამოჰყოლოდა, მხოლოდ კამკამა, ზედა წვენს ასხამდა ჯამებში. რა თქმა უნდა, ასეთივე ამღვრეული წვენი მიაწოდა ჩუმასაც.

— რა არის, ეს ხომ წყალია და მეტი არაფერი? — იკითხა ჩუმამ.

— რაც არის, ეგ არის, თუ არ მოგწონს, დააბრუნე უკან, — აგდებულად მიუგო მზარეულმა.

— აჰა, შენი იყოს, შე უნამუსოვ, — უპასუხა ჩუმამ და ცხელი სუპით სავსე ჯამი თავზე დააპირქვავა თავხედ მზარეულს.

ამ საქმის გამო ჩუმა პასუხისგებაში უნდა გაეგზავნათ, მაგრამ მას დაეხმარა ექიმი, რომელმაც მეტად საჭირო და სარისკო ცნობა გასცა იმის შესახებ, რომ იუსუფი დაავადებული იყო მეტისმეტი ნერვების მოშლით. თუმცა, სასჯელს ველარაფერს დაუმატებდნენ, მაგრამ გააწვალებდნენ.

ასე რომ, კარცერში გააგზავნეს ათი დღით.

გაგრძელება იქნება

 საინტერესო ამბები

# საბჭოეთის ძლიერებისათვის განკუთვნილი იარაღი მშვიდობიანი ადამიანებისათვის ტანჯვით სიკვდილად იქცა

ქ. სემიპალატინსკიდან 160 კმ-ით დაშორებულ, 20 კმ-ის რადიუსზე სამ წყებად შემოვლებული მავთულხლართების შიგნით, პირობითად „სამთო სადგურად“ წოდებულ პოლიგონს №52605 სამხედრო ნაწილი საიმედოდ იცავდა. სპეცგანყოფილებას ლ. ბერიას პირადი წარმომადგენელი, გენერალური შტაბის სახელმწიფო უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი ნ. მეშიკი ხელმძღვანელობდა.

ოპერმუშაკები პოლიგონზე მომუშავეთ: მშენებლობის განსაკუთრებული სამმართველოს სამშენებლო ბატალიონის ჯარისკაცებს, ლენინგრადელ დაპროექტებლებს, სამხედრო საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინრებს ყოველ დილით, სამუშაო ადგილებზე გასვლამდე განსაკუთრებული გულმოდგინებით ამოწმებდნენ. პოლიგონიდან 70 კმ-ით დაშორებულ ქ. კურჩატოვში მცხოვრები სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიმოწერა ისინჯებოდა, სატელეფონო საუბრები ისმინებოდა და ფირზე იწერებოდა, პირადი ნივთები იჩხრიკებოდა.

გამოცდამდე ერთი კვირით ადრე ყველასაგან მოულოდნელად პოლიგონს მსუბუქი მანქანების ლაშქარი მიადგა. საბჭოთა კავშირის მარშალმა ლ. ბერიამ და მისმა ამალამ ზედაწიშნულების ობიექტი სამი დღის მანძილზე ყურადღებით დაათვალიერეს, მოხსენებები მოისმინეს, პოლიგონი უმაღლესი რანგის (მაიორიდან პოლკოვნიკამდე) ოფიცრების ასეულით გააძლიერეს და მოსკოვს მიაშურეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ატომური ბომბის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. თვის მიწურულს იმავე პოლიგონზე 30 მ. სიმაღლის კოშკურაზე წყალბადის პირველი ბომბიც გამოიცადა.

1954 წლის გაზაფხულზე "სამთო სადგურზე" მორიგი „სახაროვისეული“ წყალბადის ბომბის გამოცდისათვის ემზადებოდნენ. ხალხის მტერი ლ. ბერია და მისი „თვალი და ყური“ ნ. მეშიკი ერთი წლის დახვრეტილები იყვნენ. პოლიგონი თავისუფლად სუნთქავდა. რკინის ხელი — დისციპლინა, მუდამ ფხიზლად ყოფნა აღარ იგრძნობოდა და... შედეგმაც არ დააყოვნა.

სათვალთვალო-საგუშაგო კოშკურიდან ადამიანთა ჯგუფი შენიშნეს. მათთან სასწრაფოდ მისულ რაზმს უცნაური სურათი დახვდათ. მავთულხლართების ზღუდიდან 800 მეტრის დაშორებით 35 მ სიგრძისა და 15 მ სიგანის ნახევრად დაჩუტულ საჰაერო ბურთს რამდენიმე მამაკაცი მისეოდა და ინაწილებდნენ. მალე ოპერმუშაკებიც გამოჩნდნენ. დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ღია ცისფერ ბურთს არავითარი გამოსაცნობი ნიშანი არ ეხატა, მის ქვეშ მოყოლილ, ორ გვარლზე ჩამოკიდებულ პორტატიულ რადიოაპარატურას საბჭოური ხელი არ ეტყობოდა. საჰაერო ბურთს გვერდებზე რამდენიმე ჯიბე გააჩნდა, რომლებშიც ალუმინის წყლით სავსე ოცი ქილა ეწყო. საჰაერო ნობათის თავსა და ბოლოში ავტომატური ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩამონტაჟებული, რომლებიც რატომღაც არ ამოქმედდნენ.

საჰაერო ბურთსა და ოპერატიულ მუშაკებს გარს განუხორციელებელი დივერსიით გულდამშვიდებული პოლიგონის პერსონალი შემოერტყა. „სათვალიანმა“ ფიზიკოსმა ისედაც გადარეული ფორმიანები მთლად გადარია. მისმა „ლინზებმა“ ბურთის ქვეშ ცერის სიმსხო გადაჭრილი გვარლი აღმოაჩინეს. ე. ი. ბურთს „პილოტი“ მართავდა. გვარლის ბურთთან შეერთების ადგილზე მინიატურული ყავისფერი ბლოკი — რადიოსადგურების გადამცემი და პატარა მეტეოხელსაწყო კომპლექტი იყო „ჩაკერებული“.

ობიექტის გარშემო პოლკი განლაგდა და წრიულად გაშლასთან ერთად „შპიონის“ ნაკვალევის აღმოსაჩენად მიწის ყოველი სანტიმეტრის გულდასმით შესწავლა დაიწყეს. რადგან საჰაერო ბურთის დაშვების დრო ვერ დადგინდა, პოლიგონიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის რადიუსით საგანგებო ზონა გამოცხადდა. ავტო და რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში თითოეულ ადამიანს საგანგებოდ ჩხრეკდნენ. მათი ვინაობის გადამოწმება ადგილებიდან ხდებოდა.

გამოითქვა ვარაუდი რომ პოლიგონზე გადაფრენისას „პილოტმა“ გვარლი გადაჭრა და ტერიტორიაზე ჩახტა. ბუნკერები, ბოქსები, ბლინდაჟები გადაჩხრიკეს, მაგრამ უშედეგოდ. აკადემიკოსმა ი. კურჩატოვმა გონება დაძაბა, თითებით წვერ-ულვაში რამდენჯერმე ჩამოივარცხნა და გამოსავალს მიაგნო — „ჩვენი „შპიონი“ ალბათ საცდელი მინდვრის რომელიღაც ხვრელში ჩაიმალა. ძალიან კარგი. ზეგამდე ფხიზლად იყავით. ტერიტორიიდან გამოსულები საგულდაგულოდ შეამოწმეთ. ზეგ კი ბომბთან ერთად მის გამძლეობასაც გამოვცდით“-ო და სიცილით ჩაბჟირდა.

მუდმივად კავშირზე მყოფმა მოსკოვმა ურანის პროექტის ხელმძღვანელის წინადადება მოიწონა. სხვა რა გზა იყო.

გასულ საუკუნეებში გერმანელ მონადირეთა რამდენიმე ჯგუფი არქიპელაგ ახალ მიწას ეწვია. კუნძულებზე პატარა, ძვირფასბეწვიანი ძუძუმწოვარა ცხოველები — ბელუხები ბინადრობდნენ. მონადირეებმა ერთ-ერთ წყნარ, მოხერხებულ უბეში გემები ჩააყენეს, ნაპირზე დროებითი კარვები გამართეს და კუნძულებს შეესივნენ. რუსმა ვაჭრებმა სარფიანი საქმის სუნი იკრეს, კუნძულები შეისყიდეს და გაძევებული გერმანელების დროებით სადგომზე სამონადირეო-სავაჭრო დაბა „ბელუხების უბე“ დააარსეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა წყალქვეშა გემები ატომური იარაღით აღეჭურვათ. ამ ნოვატორული აზრისა და ატომური პოლიგონისათვის იდეალური ადგილი — არქიპელაგი ახალი მიწა შეარჩიეს. კუნძულები დასახლებული ადგილებიდან საკმაოდ შორს იმყოფება. ამასთან ერთად ბარენცის ზღვიდან გასული გემები (მით უმეტეს წყალქვეშა) მოწინააღმდეგეებისათვის გაუკონტროლებადია.

სრუტე „მატოჩკინ შარ“-ი ახალ მიწას ორ ნაწილად ჰყოფს. სამხრეთ ნაწილში მდებარე, ორ რიგად გამწკრივებულ საცხოვრებელ-ადმინისტრაციულ სახლებსა და ერთადერთი ქუჩის მქონე დაბა „ბელუშკა“ არქიპელაგის დედაქალაქად გადაიქცა. ჩრდილოეთ კუნძულებზე, გარეშე თვალთათვის სპეციალურად მოუვლელ, ხრიოკ, უსიცოცხლო კუნძულებზე უზარმაზარი მიწისქვეშა ყაზარმებში, ბლინდაჟებსა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებში სპეცდანიშნულების სამხედრო ნაწილებია განლაგებული. რკინა-ბეტონის რამდენიმე ძაბრისმაგვარი ყელით, რომლებიც ირგვლივ უამრავი სამშენებლო თუ საოჯახო ნარჩენებითა და ნაგვით არის „შენიღბული“, მიწის სიღრმეში ატომის მუხტები ჩააქვთ და მორიგ აფეთქებებს აწარმოებენ. პოლიგონის ირგვლივ სამი სანიტარულ-დაცვითი ზონებია, რომლებშიც რადიაცია ნორმალურზე მაღალია. პირველი ორი საჰაერო და მიწის ზედა აფეთქებების შედეგია, ხოლო მესამე 1987 წელს მიწისქვეშა გამოცდისას გაჩნდა. მთის ქანმა აფეთქებას ვერ გაუძლო, გაირღვა, რის შედეგადაც რადიოაქტიური ნივთიერების გაჟონვა მოხდა.

1955 წლის 21 სექტემბრიდან 1990 წლის 24 ოქტომბრამდე ახალი მიწის პოლიგონზე 84 — საჰაერო, 42 მიწისქვეშა, 1 მიწის ზედა, 2 — წყლის ზედა და 3 — წყალქვეშა ატომური აფეთქებები განხორციელდა. ერთ-ერთი, 150 მეგატონიანი საჰაერო ბომბის გამოცდისას ზუსტად ვერ განსაზღვრეს, რაღაც შეეშალათ და საჰაერო ტალღამ საბჭოთა საპორტო ქალაქის დიქსონის სანაპიროს გაყოლებაზე მდგარი სახლების მინები შეამტვრია. თავზარდაცემული მცხოვრებლები მხოლოდ „მცირე ნაკაწრებით“ საავადმყოფოებში მოხვდნენ.

1957 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთის ფლოტის ბელომორსკის ფლოტილიის დახურული ბაზიდან, ე. წ. „მსროლელი-613“ წყალქვეშა გემი გავიდა, რომლის გვერდებზე პირადი ნომერი „111“ იყო აღბეჭდილი. რამდენიმე დღის შემდეგ სამხედრო ბაზიდან წყალქვეშა გემი „C-19“ ზარზეიმით გააცილეს, რომელმაც კურსი ახალი მიწისაკენ აიღო. ეკიპაჟი მთლიანად (ოთხი დაბალჩინოსანი ოფიცრის გარდა) ახალწვეულებისაგან შედგებოდა. ბიჭებმა არ იცოდნენ, რომ მათი „C-19“ 1955 წელს ატომური ბომბის აფეთქებისას ეპიცენტრის სიახლოვეს, რამდენიმე მეტრ სიღრმეში ტივტივებდა. ახალწვეულები გამოსაცდელ ობიექტებს წარმოადგენდნენ. ნორჩ სხეულებში რადიაციით გაჟღენთილი გემის მოქმედების შედეგები აინტერესებდათ. ბოცმანმა მხოლოდ არქიპელაგთან მიახლოვებისას, ისიც გადაკრული სიტყვებით რაღაც ექსპერიმენტზე, ატომურ იარაღზე, მის გასაოცარ ფაქტორებზე დაიწყო ლაპარაკი. მანამდე ახალბედა მეზღვაურებთან არც ატომურ იარაღსა და არც მისი აფეთქებისას თავდაცვის საშუალებებზე არავის უსაუბრია.

დანიშნულების ადგილზე მისვლისას მეზღვაურები ზღვის ნაპირზე გამართულ არმიულ კარვებში მოათავსეს, რომლებიც ე. წ. ლუმელ-ბურჟუიკებით თბებოდა. ბიჭებს მიწაზე დაგებულ ბრეზენტებზე ტანგაუხდელად ეძინათ. სასმელ წყალს 1955 წელს აფეთქების შედეგად ჩაქცეული წყალსატევიდან ეზიდებოდნენ, საჭმელს მასში ამზადებდნენ, ხელ-პირს მითი იბანდნენ.

7 სექტემბერს დილით, ბიჭებს სქელი ქაღალდისაგან შეკერილი მოსასხამები და შავი სათვალეები დაურიგეს. უბრძანეს არ მოეშორებინათ და მზადყოფნაში ყოფილიყვნენ, მაგრამ რისთვის, არ განუმარტავთ. ოფიცრები სადღაც გაქრნენ.

შუადღისას დაბალი, ტყვიისფერი ღრუბლებიდან თვითმფრინავი გამოძვრა და... ირგვლივ რამდენიმე შეერთებული მზის მაგვარი ძალის მქონე სიკაშკაშემ ყველანი დროებით დააბრმავა. შორს, გაშლილ ზღვაში წყალი ვერტიკალურად, ქვევიდან ზევით ავარდა. მის შუაში რაღაც ტრიალებ-



და და ანათებდა. ერთბაშად მოვარდნილმა გრიგალმა ყველაფერი მოხვეტა და შორს გააქანა. ბიჭები კლდეებისაკენ გასტყორცნა. 40 წუთის შემდეგ სადღაც შორიდან ხმამაღლა მოლაპარაკემ დაიგუგუნა — „ყურადღება, ყველაფერი დამთავრდა. ღრუბელი გაიფანტა“. გაოგნებულმა, დაბეგვილმა ბიჭებმა დანგრეული, ორი შემორჩენილი კარავი გაასწორეს, შიგ შეძვრნენ და ერთმანეთს ჩახუტებულები ერთბაშად ღრმა ძილს მიეცნენ. მეორე დღეს



სასწაულად გადარჩენილ „C-19“-ზე გადაბარგდნენ.

ერთი თვის მანძილზე წმენდნენ და აკრიალებდნენ ბიჭები გემს. 9 ოქტომბერს მოსკოვიდან ჩამოსულმა მაღალჩინოსნებმა მორიგი ცდისათვის სამი მოხალისე „მხოლოდ ერთი საათით“ მოინდომეს. კომკავშირლები — ვალერი პლეხანოვი, იური კაპლენკოვი და იური პოლკოლზინი წინ წარდგნენ. „C-19“ ბუქსირით ზღვაში შეაცურეს, სამეული ზედ დატოვეს — „ერთ საათში მოვალთ, არ მოიწყინოთ“-ო.

გავიდა ერთი, ორი საათი, დაღამდა, მაგრამ მოხალისეების წასაყვანად არავინ მოდიოდა. უეცრად ქვემოდან რაღაც უძლიერესი დარტყმა შეიგრძნეს



და აქეთ-იქით მიხეთქებულებმა გრძნობა დაკარგეს. როდესაც გონს მოვიდნენ, ირგვლივ უკუნეთი სიბნელე იდგა. სასოწარკვეთილებმა ყვირილი მორთეს. ვალერი პლეხანოვს, საბედნიეროდ, ჯიბის ნათურა ჰქონდა, რომელმაც ბიჭები გადაარჩინა. მეზღვაურებს თვალწინ საშინელი სურათი წარმოუდგათ. ირგვლივ ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულიყო. მძლავრი დარტყმის შედეგად გემის ცხვირი შიგნით შეჭყლეტილიყო, გაბზარულიყო და წყალს გემი სანახევროდ ჩაეძირა. მეზღვაურები ერთმანეთში ჩადუღებულ რკინებს შორის ძლივს გაძვრნენ და ზევით ავიდნენ. ვალერიმ ნათურა ნაპირის მხარეს მიმართა, ანთება-ჩაქრობა დაიწყო. ნაპირზე გასულებს მხოლოდ ამის შემდეგ „გაახსენდათ“ ბიჭები და 20 წუთში კატერი გემს მიადგა.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიღებული ბიჭები სხვადასხვა ნაწილებში გაამწესეს, საიდუმლოების გაუმხელობის ხელწერილები დაადებინეს და ერთი თვის შემდეგ, როდესაც მათ უცნაური დაავადებები აღმოაჩნდათ, „პატივი სცეს“, ვადაზე ადრე გაანთავისუფლეს, სახლებში გაუშვეს.

შეგნებულად, სახელმწიფოსათვის დიადი საქმისათვის დაინვალიდებული ვალერი პლეხანოვი, იური პოდკოლზინი, იური კაპლენკოვი და სხვები, რომლებიც საიდუმლოს დღესაც არ ამხელენ, ფლოტის ადმირალი მ. გორშკოვის მიერ შეპირებულ ფასიან საჩუქრებსა და სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მადლობას, რომელსაც ხელს კ. ვოროშილოვი აწერდა, ამაოდ ელოდებიან. უცნობი, უცნაური ავადმყოფობებისაგან დაავადებულებს ინვალიდობის ცნობა არ მიუღიათ. მათი ავადმყოფობა რომელ კატეგორიას მიაკუთვნონ, ექიმებმა არ იციან.

როგორც ბიჭებმა შემდეგ შეიტყვეს, მათთვის ტორპედო „T-S“-ი, მთელი თვის მანძილზე მათ გვერდით მოდრეიფე „მსროლელი-613“-დან გაუსვრიათ, წყალქვეშა ატომური აფეთქება გამოუცდიათ.

სიკვდილი №3103. ასე შეარქვეს შემადგენლობას, რომელიც უჩვეულო ტვირთს დღემდე აქეთ-იქით დაატარებს. 1997 წელს შუმერლინსკის რაიონის (ჩუვაშეთი) სადგურ მისლეტში სარკინიგზო კატასტროფა მოხდა. ტოქსიკური ნივთიერებით — ფენოლითა და დიზელის საწვავით დატვირთული ცისტერნები ლიანდაგებს აცდა. გვერდზე გადავარდნისას საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ სამგზავრო მატარებელს შეჯახებულები აფეთქდნენ, ცეცხლი წაეკიდათ. გადამსკდარი ცისტერნებიდან გადასხმული სითხეები სამგზავრო მატარებელში შეიღვარა და ცეცხლიც თან წარიტაცა. რამდენი ადამიანი ჩაიწვა, ვერ დაადგინეს.

ძირს დაღვრილი ტოქსიკური ნივთიერებები ნიადაგმა ღრმად შეიწოვა. ორი დღის შემდეგ კატასტროფის ადგილიდან 200 მეტრი რადიუსით მცენარეები ერთბაშად გახმა. უცნაურმა ავადმყოფობამ სადგურთან ახლოს მცხოვრებთა შინაური ცხოველები და ფრინველები მოსპო. ადამიანები, მითუმეტეს ბავშვები, ექიმთათვის გაურკვეველი სენით დაავადნენ — თავბრუსხვევა, ღებინება და სხეულის მთლიანი მოთენთილობა სტანჯავდათ. მოსკოვიდან მოვლენილმა სპეციალისტებმა კატასტროფის ადგილი შეისწავლეს, ადამიანების სიმპტომები გამოიკვლიეს და დაბის ირგვლივ სამხედრო ნაწილის განლაგება მოითხოვეს. მეზობელი დასახლებები უცნობი სენის გადადებისაგან დაიცვეს.

ერთი კვირის შემდეგ „შემოსწრებულმა“ მძიმე ტექნიკამ მოწამლული გრუნტი რკინის 70 ვაგონში ჩატვირთა და შემადგენლობა ნიჟეგოროდსკის ოლქში გაისტუმრეს. იქიდან გაძევებულმა შემადგენლობამ რამდენიმე ხნის შემდეგ თავი ნავაშინსკის რაიონში ამოყო. შემდეგ ვლადიმირის ოლქში სადგურ კონდაკოვოს ეწვია. ერთი თვის შემდეგ ქალაქ ლუკიანოვის სადგურს მოადგა და ა. შ.

შუა რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე დასეირნობს ყველასაგან ზურგშექცეული, სასიკვდილო ტვირთით სავსე შემადგენლობა. მისი გამოჩენა ყველას შიშს გვრის, თუმც აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც რაღაც მიზნისათვის თუ უგუნურობის გამო შემადგენლობა შეამსუბუქეს, 54 ვაგონი ჩახსნეს, მოიპარეს.

რა ბედი ეწვევა დარჩენილ 14 ვაგონს, 700 ტონა ტვირთს, არავინ იცის. გრუნტის მიწაში ჩამარხვა დაუშვებელია, ფენოლი გაჟონავს. სემიონოვსკის ტერიტორიაზე არსებული „ნარჩენების სასაფლაო“, სადაც თავდაპირველად გრუნტის ჩამარხვასა და ამოქოლვას აპირებდნენ, მსგავსი შემთხვევების წყალობით გადატენილი აღმოჩნდა.

1960 წელს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით ყაზახეთში მდინარე იშიმის მარცხენა სანაპიროზე ორ წელიწადში ასაწყობი ბლოკებისაგან პატარა ქალაქი დერჟავინსკი აშენდა. ქალაქი მერაკეტეებისათვის იყო განკუთვნილი. ქალაქის მშენებლობის პარალელურად მის ირგვლივ ღრმა, ფართო „ჭები“ ამოიღეს, რომლებშიც დანადგარები ჩაამონტაჟეს და ზემოდან მრავალკარებიანი მრავალტონიანი თავსახურებით დაფარეს. 61 „ჭაში“ მსოფლიოში „სატანა“-დ წოდებული საკონტინენტთაშორისო ბალასტიკური რაკეტები — „PC-2“ ჩააყენეს, მზადყოფნაში მო[...]ანეს. 7 „ჭაში“ საკომანდო პუნქტები იყო მოთავსებული. დერჟავინსკი თავისი შემოგარენით მძლავრი მიწისქვეშა სიმაგრე გახდა. მის ირგვლივ 140 ათასი მაცხოვრებლების დასაშოშმინებლად მაღალჩინოსნების განმარტებით — „დერჟავინსკი, ამერიკელების მიერ საბჭოთა ტერიტორიაზე ატომური ბომბის ჩამოგდების შემთხვევაში, აგრესორებს „PC-20“-ებით სამაგიეროს გადაუხდიდა.“ თითოეული რაკეტის საბრძოლო ბირთვული „გალოვკები“ 1 მეგატონის სიმძლავრის 10 დამოუკიდებელი ინდივიდუალური დამიზნების ნაწილებად იყოფა. დერჟავინსკის „თავდაცვითი სიმაგრიდან“ პირველი რაკეტა 1965 წელს, ხოლო ბოლო მეოცე — 1991 წელს გამოცადეს.

რომელიღაც „გონებამახვილი“ დიდი პირის რჩევით საიდუმლო „გათქვეს“ და გავრცელდა აზრი, რომ PC-20 რაკეტებისათვის „ჭები“ უკაცრიელ, უსიცოცხლო სტეპებში მონტაჟდებოდა. იმავ დროს, რათა მტრებს ეჭვი არ აეღოთ, ნამდვილი „ჭები“ დასახლებული პუნქტების სიახლოვეს, „ხალხის დასაცავად“ იჭრებოდა. სტრატეგიულ ობიექტებს სანიტარულ-დამცველი ზონები არ გააჩნდათ, 50 მეტრის რადიუსით ტოტებით შენიღბული მავთულებით იყო შემოზღუდული. ირგვლივ მარცვლეული ითესებოდა, საქონელი თავისუფლად ბალახობდა, ადამიანები მიმოდიოდნენ.

საბჭოთა კავშირის დარღვევის შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით დერჟავინსკის ტერიტორიიდან ბირთვულმუხტიანი 500 რაკეტა, 3 ათასი ტონა გეპტილი, 9 ათასი ტონა აზოტის მჟავა და „რაღაც წვრილმანები“ გაზიდეს. მათთვის უკვე გამოუსადეგარ 600 მერაკეტეს ყოფილი სახელმწიფო ბინები წარსული დამსახურებისათვის აჩუქეს და ოჯახებიანად მიატოვეს, რუსეთში არ წაიყვანეს. ყველა, 68-ვე „ჭა“ დღისით-მზისითააფეთქეს, მათი ლიკვიდაცია მასების თანდასწრებით ჩაატარეს.

„ჭების“ ადგილებზე ვულკანის კრატერის მაგვარი ღრმულები გაჩნდა, რომლებშიც რკინა-ბეტონის ნამსხვრევები, ერთმანეთზე მიდუღებული რკინის კონსტრუქციები, დანადგარების ნარჩენები ერთ მასად აიზილა. „ჭების“ მახლობლად მცხოვრებლები უცნობი, სხვადასხვა სიმპტომების მქონე სენით დაავადნენ. მათი მშველელი არავინ არის, რადგან სამხედრო ექიმები, რომლებმაც მასობრივი დაავადების მიზეზები და მათი მკურნალობის მეთოდები იციან, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადაანაწილეს.

დერჟავინსკს მრავალი ტყუპისცალი ჰყავს. სარაკეტო „ჭების“ სიმრავლით სამხრეთ ურალი, ალტაის მხარე და კრასნოიარსკის რაიონი გამოირჩევიან. ჯერჯერობით ხელუხლებელია: ორენბურგის ოლქის დომბაროვსკის რაიონში ორსკიდან და ნოვოტროიცკიდან შესაბამისად 80-100 კმ-ის დაშორებით — 64; ჩელიაბინსკის ოლქის კარტალის რაიონში — 46; მსხვილი სარკინიგზო კვანძის სამიკარტალის მახლობლად, მაგნიტოგორსკთან ახლოს — 40; ალტაის მხარეში, ბარნაულიდან ერთი ხელის გაწვდენაზე — 36; კრასნოიარსკის მხარის რაიცენტრ უჟურას სიახლოვეს — 64 და სხვა უცნობი „ჭები“.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით — „1990-1991 წლებში 154 „ჭა“ განადგურდა. დანარჩენების (ღმერთმა უწყის, რამდენის) ლიკვიდაცია მომდევნო 2-3 წელში მოხდება“.

მსოფლიომ ირწმუნა მაღალჩინოსანი სამხედროების „ვაჟკაცური“ სიტყვა, მაგრამ...

მსოფლიო მაგნატმა ბილ გეიტსმა საზოგადოებისათვის უცნობ ფირმასთან ხელშეკრულება გააფორმა. მას საკომერციო სატელეკომუნიკაციო თანამგზავრების გასაშვებად 220 რაკეტა-„სატანა“ სჭირდება. საქმოსანმა რუსეთის ფირმის მხრიდან თანხმობა-„დობრო“ მიიღო.

რუსეთის სხვადასხვა ქალაქების ბაზრობებზე ყველასათვის უცნობი, მაგრამ სპეციალისტებისათვის უნიკალური დეტალები, მინიატურული ელექტროხელსაწყოები იყიდება, როგორც გაირკვა, ყოფილი მერაკეტეები მიტოვებულ, გაუვნებელყოფილ ჭებში ჩადიან და ლუკმაპურისათვის სიცოცხლის ფასად რაკეტებს ძარცვავენ.

უკიდურესი ჩრდილოეთისა და ციმბირის ტერიტორიების 20 მილიონ ჰექტარზე, მცირე ერების თავზე ციდან ვარდებოდნენ და დღესაც ცვივიან ბალასტიკური და კოსმოსური რაკეტების, რაკეტა-მატარებლების პირველი და მეორე საფეხურები, რომლებიც რაკეტების თხევადი და მძიმე საწვავით იწვევენ ხანძარს, წამლავენ ჰაერს, წყალს, ნიადაგს, ტყეებსა და მცენარეულობას, ადამიანებსა და ცხოველ-ფრინველთ.

საბჭოთა მეცნიერებმა, მთავრობამ, პოლიტიკოსებმა და დიდჩინოსანმა სამხედროებმა თავის ხალხს ფასდაუდებელი სამახსოვრო დაუტოვეს.

**მია ტორიაშვილი**

პოლემიკა

# მკითხველს რა აქვს საბოდიშო!

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დავსტამბეთ ბ-ნ ა. ფოცხიშვილის წერილი „შეუგნებლობა თუ „შეგნებული“ შეცდომა?“, რომელშიც წერილის ავტორი შეეცადა სხვაგვარად აეხსნა ბ-ნი მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსი. ამჯერად გთავაზობთ გამოხმაურებას ამ წერილზე და ამით ვწყვეტთ პოლემიკას ამ თემაზე.**

ყოველგვარი შესავლის გარეშე პირდაპირ ვიტყვი: მურმან ლებანიძის ავადსახსენებელ ლექსთან დაკავშირებულ არც ერთ დებულებას არ ვეთანხმები ბატონი ალექსანდრე ფოცხიშვილისა.

დავიწყოთ იმით, რომ ბატონმა საშამ თავისი წერილის პირველივე აბზაცით „შელავათიანად“ გაგვატარა ჩიხრიხში ყველა, ვინც მასავით არ ფიქრობს და არასერიოზულ, გაუწონასწორებელ მოაზროვნეთა „ელიტაში“ დაგვიდო სამყოფელი. ეტყობა, ზოგის ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა ბამბის კურკებიც კი არა.

თანაც, პოეტური ნაწარმოები თურმე ულოგიკოდ არის „მილებული“ და „ცივი გონების ლოგიკური მსჯელობის“ მქონეთ აყიოტაჟის ატეხვამდე „კომპეტენტური პირებისათვის“ უნდა მიგვემართა, ან თვითონ მწერლისთვის გვეკითხა: თქვენ რასაც ლექსში წერთ, ის ისე უნდა წაგვეკითხა, როგორც გიწერიათ, თუ ისე, როგორც არ გიწერიათ? მაშინ, თურმე, ყველაფერი გარკვეული იქნებოდა, მადლობასაც მოვახსენებდით პოეტს და შეურაცხყოფასაც არ მივაყენებდით... შეურაცხმყოფელს!

წერილის ავტორი აკრიტიკებს ხელოვან ბორის ნიფურიას — სად წერიაო მ. ლებანიძის ლექსში „დუშმანთა საქმე?“ დიახ, არ წერია, მაგრამ „თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ“ — განა არ გულისხმობს მოკლედ გამოთქმულ დუშმანთა საქმეს? თუ მეგრელებმა დუშმანს სიტყვა უქციეს საქმედ, არ გაუკეთებიათ დუშმანთა საქმე? ამასთან, „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნა არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ამით არძინბას ვუბოძეთ („დუშმანს უქციეთ“) აზრი, რომ „მეგრელები სხვა ხალხია, ქართველები კი — სხვა“. არც ისაა მოსაწონი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნის მომხრენი მაინცდამაინც სეპარატისტ არძინბას გაგვიტოლოს მეცნიერმა კაცმა. და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ აშკარად ცოდვილ პოეტს ოოლად შეუნდოს მძიმე შეცოდებანი, „საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი“ კი გააბიაბრუოს.

არ ვიზიარებ ზემოხსენებული სტრიქონის („თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ“) მოგონილ ინტერპრეტაციას — მეგრელებმა ისეთი სიტყვა თქვით „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით, რომ მტერმა საქმედ აქციაო. ავტორს უწერია — „უქციეთ“ და არა აქცია, რაც ნიშნავს ხელშეწყობას მტრისთვის და მკრეხელურ ბრალდებად რჩება. ამასთან, თუ არძინბას საქმე ნამდვილ საქმედ არ მიიჩნევა და პოეტიც ასე გულისხმობდა, სიტყვა საქმე ბრჭყალებით უნდა შეებოჭა.

წერილის ავტორი მოძღვრავს „დაბრიყვებულ“ ბ. ნიფურიას — საქვეყნოდ არ უნდა გამოგეტანა და არც დაგეწერა ის, რომ ვილაცას უთქვამს სამეგრელოში: მურმან ლებანიძის წიგნები უნდა დაიწვასო. არ უნდა გამოეტანა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში... თუ მ. ლებანიძე არ გამოიტანდა საქვეყნოდ და არ დაწერდა: „აგრეთვე ენას, — ქართულთან მეგრულს, — ხმა ამოიღოს, უფლება არ აქვს“, „თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ“, „მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი“, „თქვენ სხვა ალძარით თქვენს მარტივ გლეხში“. რომელი უფრო „გაუგონარი რამ“ არის, მკითხველს კარგა ხანია გარკვეული აქვს.

დიახ, ლექსში „ლაპარაკია ქართული ლექსის მიჯღარკ-მოჯღარკვაზე“, მაგრამ მეგრული ლექსის (სულაც ენის) მეშვეობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ლექსში იგულისხმება „ვეფხისტყაოსანი“, განა ეს არ ნიშნავს, რომ მეგრული ენაა მიჯღარკულ-მოჯღარკული და „ვეფხისტყაოსანი“ მისით შეგინებული?

„ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნით საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მონაწილეთ თურმე ხელი აულიათ „ქართული სულიერი კულტურის უდიდეს მონაპოვარზე — „ვეფხისტყაოსანზე“ და თავი წარმოუდგენიათ არა იმ ერის შვილებად, რომელი ერის გენიამაც „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა“. ყოვლად ულმერთო ბრალდებაა! ასე აშკარად ეს თვით მურმან ბატონსაც კი არ უკადრებია!

მოდით, თვალი გადავავლოთ „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად მთარგმნელის კაკა (კონსტანტინე) ჟვანიას წინასიტყვაობას, სადაც წერია: **„ვეფხისტყაოსნის“ ავტორია ჩვენი ერის სახელოვან წინაპართა დიდი წარმომადგენელი, უბადლო პოეტი... ამ ნაწარმოებს ფესვები უდგას ჩვენი ერის ძლიერების... აყვავების ეპოქაში“.** ხაზგასმული სიტყვები ნათლად გამოხატავენ თუ რომელი ერის შვილები არიან მეგრელები და ბრმა უნდა იყო, ეს ვერ დაინახო.

ბატონი საშას „მტკიცებით“ ძალიან ცოტა მეგრელს (სულ „რამდენიმე ას კაცს“) შეუძენია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ის ნომერი, სადაც დაბეჭდილი იყო მ. ლებანიძის „ბრძნული“ ლექსი და მხოლოდ ტელეფონებით შეხმიანებიან ერთმანეთს. მეგრელ „მარტივ გლეხს“ კი, არათუ არ უყიდია გაზეთი, თურმე აყიოტაჟი რომ ატეხილიყო, „წარმოდგენაც არ ექნებოდა, რა დაწერა, უფრო სწორად, რა მიაწერეთ მურმან ლებანიძეს?“ აი, ასე უბირად წარმოუდგენია მეგრელი გლეხი მ. ლებანიძის თავგამოდებულ მეურვეს და ამის შემდეგ, როგორღა დავუჯეროთ, რომ „მარტივი გლეხი“ ნიშნავს „კეთილშობილ, უბოროტო, მშრომელ, სტუმართმოყვარე“ და ა.შ. მეურნეს? მით უმეტეს, თუ ასეთ განმარტებას არ ადასტურებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი! ამრიგად, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ლექსში ნახსენები მარტივი უარყოფითი ემოციით ჭარბად დამუხტული სალანძღავი სიტყვაა და, ამდენად, დამამცირებელი.

ერთიცაა, ბატონი საშას რწმენით, ფეხის ხმას აყოლილ მრავალ მეგრელს არც კი წაუკითხავს მისი გამქიაქებელი ლექსი და გაკიცხვა რატომღა აკადრესო ავტორს! კონტრკითხვა: თვითონ რომ არ წაგიკითხავთ ია სულაბერიძის წერილი, რატომ წერთ მშვენიერიაო?

პოეტის მედიატორი „გვიმტკიცებს“: თანამედროვე ინტელიგენციის ნაწილმა არ იცის, რომ „ქართული ენა არის სააზროვნო და სალიტერატურო ენა მეგრელთათვისაც“. ამაზე დიდი მკრეხელობა იქნება? რომელმა მეგრელმა არ იცის, რომ მისი სალიტერატურო ენა ქართულია, მაგრამ რატომ უშლით მეგრულად აზროვნებას? და ამის გამო არ უნდა ეთარგმნათ შოთას პოემა?

სწორედაც რომ საეჭვო დებულებაა ე.წ. „ლექსის ევფონიის (კეთილხმოვანების — გ.ბ.) კარნახით დაწერილი „ ქართულთან მეგრულს ხმა არ ამოეღებაო“. ხმის არ ამოღება ნიშნავს ხმის უფლების წართმევას. ვისა აქვს ამის უფლება თუნდაც ლექსის მეშვეობითა და „ევფონიის კარნახით“? ვინ აკრძალა ენათა პოლიფონია საქართველოში?

რაც შეეხება იმას, რატომ არ აღშფოთდნენ რიონისა (მეგრელები რიონისპირელებიც გახლავან. — გ.ბ.) და ჭოროხისპირელები, ივრისა და არაგვისპირელები და მხოლოდ ენგურისპირელები „გაიქაჩნენ“, გასაგებია — მათთვის არ დაუბრალებიათ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით დუშმანს (არძინბას) დაეხმარეთ და მარტივი გლეხები ხართო!

ჩემი აზრით, კარგი საქმე გაკეთდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით მეგრულ ენაზე.

ერთხელაც შევაწუხოთ კაკა ჟვანიას სპეტაკი სული. აი, რას წერდა იგი ზემოხსენებულ წინასიტყვაობაში: **„მეგრული „ენა მეტად მდიდარია სიტყვიერი მარაგით, საოცრად ლამაზი რიტმით, რითმით, სიტყვათა წყობით და გამოთქმებით, რაც საიმედო საფუძველს იძლეოდა ამ უნიკალური ნაწარმოების თარგმნისათვის... რაც შეეხება თარგმნის მნიშვნელობას, მე მგონია მეგრული სიტყვისა და ლექსის მოყვარულთ ის გარკვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს, ხოლო ენათმეცნიერების დარგის მუშაკთათვის მასში შეიძლება ბევრი რამ საინტერესო და ღირსშესანიშნავი აღმოჩნდეს“.**

უკეთ ვერ იტყვი! სწორედ ამ თარგმანში დახვავდა მეგრული ენის მარგალიტები, რომელთა სიცოცხლის გახანგრძლივებასა და მეგრული მეტყველების გამდიდრებას ხელი შეუწყო გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნამ.

რა დასამალია და, პოემაში დღესაც ბევრი რამ არის დასადგენი და ასახსნელი არამეგრელთათვისაც. ჰოდა, რა უპატიებელი ცოდვა ჩაიდინეს შოთა რუსთაველის ქმნილების მეგრულად მთარგმნელებმა, თუკი თავიანთ შინაურულ ენაზეც აახმიანეს იგი მოწიწებით და უფრო გასაგები გაუხადეს თანამოძმეებს? რას ერჩით, მაგალითად, ბრძენ კაკა ჟვანიას, რა შეცდომა და, მითუმეტეს, რა დანაშაული აღმოუჩინეთ ამ ჭეშმარიტ რაინდს?

ბატონი საშა მურმან ლებანიძის ლექსის მოწინააღმდეგეებს ბრალს სდებს: არაფრისგან პრობლემა შექმნეს, არაფრის გამო აურზაური ატეხეს, ბოლომამ (?!) დაგაბრმავათო და ა.შ. თუ მართლა არაფერი მომხდარა და გვეჩვენება, რატომ მოუხადა ბოდიში პირველი შესაძლებლობისთანავე ქართველ მწერალთა თავკაცმა განაწყენებულ საზოგადოებას? გულუხვინჯონი რატომ ექცევიან კრძალვითა და მოფერებით ერთი დედის ორ ძეთაგან ერთ-ერთ დაზარალებულს?

მართლაც ისე რომ ჰქონოდა ჩაფიქრებული ის დაწყევლილი ლექსი მურმან ლებანიძეს, როგორი ინტერპრეტაციითაც მოგვაწოდა ბატონმა საშამ, ხომ თვითონ პოეტი აკივლდებოდა პირველი „უკადრისი“ გამოხმაურებისთანავე — რას მერჩით, მეგრელებო, არაფერი თქვენი გასაკიცხი არ ჩამიდენიაო! და, საერთოდ, რაში სჭირდება მურმან ლებანიძეს სხვისი ვექილობა, როცა თვითონაა ამოღებული ხმა და ჯერ არავისთვის შეურჩენია ურჩობა.

მინდა მჯეროდეს, რომ მას უჭირს თავის მართლება!

ბატონ საშასთან დაკავშირებით გამახსენდა ალექსი ჭინჭარაულის ერთი მოხდენილი ექსპრომტი:

ალექსანდრე ფოცხიშვილი,
ჩვენებურად საშა როა,
რა საქმესაც ხელი მიჰყო,
ყველაფერი საშაროა!

ყველაფრისა რა მოგახსენოთ (ალბათ, „ევფონიური“ გაზვიადებაა), მაგრამ „შეუგნებლობა თუ შეგნებული“ შეცდომა ნამდვილად საშაროა და გაღმა შედავების პოლიტიკას შეგნებულად ემსახურება. ამით კი ბევრ კეთილ ადამიანს ატკინა ისედაც მტკივანი გული და მეეჭვება, რომ თვით მურმან ბატონის გულს მოსალბუნებოდა.

*გივი ბოჯგუა*

# განძის პრობლემა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში არსებობდა

*მეოთხე გვერდიდან*

...ლი ფრონტონი პართენონისა, საუცხოო კოლონადა კარნაკის ტაძრებისა და ქვესკნელით ამოთხრილი მუმიები რამზესისა და კლეოპატრასი. ფრანგებმა და გერმანელებმა გადასთხარეს პერსეპოლისი (ძველი სუზა), ბაბილონი, ათინა, მესენი, კვიპროსი, ეტრუსკთა ქვეყანა, ასურეთი და სამხრეთ ამერიკის უძველეს ქალაქთა ნანგრევები. ევროპა გაივსო ძველ ხალხთა კულტურის ნაშთებით და საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი ნაჭერი მარმარილოსი, რომელსაც ფიდიასისა ან სკოპასისა ან პრაქსიტელის ხელი ატყვია, მილიონებად ფასობს, ერის სიამაყედ ხდება და ძალიან ხშირად დიპლომატიურ მოლაპარაკებასა და უსიამოვნებასაც იწვევს ხოლმე. ნაპოლეონი იტალიელებს სამხედრო კონტრიბუციის მაგივრად ძველ ძეგლებსა და სურათებს ართმევდა. პაპმა იულიოს მეორემ ომი გამოუცხადა ფლორენციას. ალყა შემოარტყა მას და ხარკად მოითხოვა მიქელანჯელო, რომელიც რომში უნდა წაეყვანა და აეშენებინა და მოეხატა დაწყებული ძეგლები და ეკლესიები. საფრანგეთის მეფეს ფრანსუა მეორეს ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა ლეონარდო და-ვინჩისა და ანდრეა დე-სარტოსთან, სცდილობდა მათ გადაყვანას საფრანგეთში და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ სურვილი შეისრულა, თავის ფეხით ჩავიდა იტალიაში და წამოიყვანა ორი მხატვარი. ახლაც, ჩვენს დროშიაც კი ესა თუ ის დილომატია ხშირად ამაყობს მხოლოდ იმით, რომ მან აღმოსავლეთის რომელსამე სახელმწიფოს გამოსტყუა უფლება ძველ ნანგრევების გადათხრისა და ნაპოვნის გატანისა.

ყოველ ევროპელს თავი მოაქვს უცხოელის წინაშე იმით, რომ იმის სამშობლოში მოიპოვება რომელიმე ვენერა სკოპასისა ან მირონისა, მადონა რაფაელისა ან მურილიოსი, პორტრეტი რემბრანდტისა ან ვანდეიკისა, სურათი რუბენსისა და სხვა გენიოსისა. იტალიაში, საბერძნეთში და სხვაგანაც არსებობს განსაკუთრებული კანონი, რომელიც უკრძალავს ხელოვნების ნაშთის გატანას მთავრობის ნებადაურთველად. წრეულს, ბელგიის ეხლახან გარდაცვლილმა მეფემ ამერიკელებსა და ინგლისელებს მიჰყიდა თავისი პირადი საკუთრება — რამდენიმე სურათი ადგილობრივ მხატვრებისა — და ამის გამო მთელი ბელგია ფეხზე დადგა, აყაყანდა, აღშფოთდა და მოხუცი მეფე თითქმის ქვეყნის მოღალატედ გამოვიდა. ნურავინ იფიქრებს, ვითომ ეროვნულ ხელოვნებას მარტო პატრიოტნი და არქეოლოგნი გამოჰქომაგებოდნენ. ირიქით, სხვებზე ხმამაღლა მდაბიო ხალხი ალაპარაკდა, მისმა სოციალისტ-დეპუტატებმა პარლამენტში შეკითხვაც კი შეიტანეს და საქვეყნოდ განაცხადეს თავიანთი გულისწყრომა და აღშფოთება. ასე უფრთხილდებიან და უვლიან ევროპიელნი თავიანთ სულიერ საუნჯესა და ეროვნულ შემოქმედებას.

რას ვაკეთებთ ჩვენ? როგორ ვუფთრხილდებით და როგორ ვაგროვებთ ჩვენს კულტურულ სიმდიდრეს, მამა-პაპათა ნაამაგარსა და ნაოფლარს? სამწუხაროდ და სავალალოდ, ჩვენც ეგვიპტელებისა და ასურელების ბედი მოგველის. თუ ვინმეს უნდა მათი წარსულისა და ისტორიის შესწავლა, პარიზს, ბერლინსა და ლონდონში უნდა წავიდეს. თუ მოინდომებს ვინმე ქართველ ერის ისტორიისა და ხელოვნების შესწავლას, ისევ უცხოეთს უნდა მიმართოს, ვინაიდან დიდი ნაწილი ჩვენი ხელოვნებისა უცხოეთშია გატანილი. თუ რამე დარჩა ჩვენში, ან უმნიშვნელოა, ან კიდევ ისეა გაბნეული, რომ იმათ ნახვასა და დათვალიერებას აუარებელი დრო და საშუალება უნდა. ყველაფერი მიაქვთ, რის წაღებაც კი შეიძლება, ზოგს ფულით, ზოგს ქურდულად და ზოგსაც ავაზაკურად. კულტურული ქურდობა ჩვენში ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რომ თვითონ ჩვენ ხშირად ჩვენს პატივსაცემადაც კი მიგვაჩნია, როცა რომელიმე მოხეტიალე ავანტიურისტი აქედან რაიმე ძვირფას განძს წაიღებს „საჩვენებლად“, „სახსოვრად“ და ჩვენი სახელის „გასაცნობად“. თვალმარგალიტი და ძვირფასი ნივთი რომ აღარ იკმარეს, ჩუქურთმებისა და არქიტექტურის ნაშთებს მიჰყვეს ხელი. მაგრამ წაღებას ვილა ჩივის! რაც დარჩა, ისიც გაათხრეს, გაატიალეს. წარყვნეს, მოსპეს და აღგავეს მათი ხსენება გულთა ჩვენთაგან. გაიხსენეთ თუნდ შესანიშნავი ფრესკული მხატვრობა და იმავე საფარისა, მცხეთისა, ალავერდისა და მრავალ სხვა მონასტრისა. სხვაგან ასეთ ნაშთს ისე უფრთხილდებიან, როგორც თვალის კაკალს, ჩვენში კი ჩვენმა განმანათლებლებმა მადლი დაგვდეს და გაჯითა და კირით წაგლისეს და წალესეს საუკეთესო ნიმუშები ჩვენი მხატვრობისა, ჩვენი სულიერი ავლადიდებისა და კულტურულ სიმდიდრისა.

მაგრამ ყველაფერს სხვებს ნუ დავაბრალებთ და ჩვენს უბედურებაში ბრალი ჩვენც დავიდოთ. ჩვენ რომ გვცოდნოდა ფასი ჩვენის წარსულისა და გვქონოდა ცოტაოდენი უნარი ჩვენი უფლების დაცვისა, სხვებს არ გვაოხრებინებდით და არ დავანებებდით არც საფარას, არც ახტალას, არც ბოდბეს და არც გატანილ სიმდიდრეს.

რაც წაილეს, წავიდა და აღარ დაბრუნდება. თუ შნო და უნარი შეგვწევს, ის მაინც შევინარჩუნოთ, რაც წაულებელია, რაც დაგვრჩა და რაც ჯერჯერობით ისევ ჩვენს ხელშია. ჯერ კიდევ გვიან არ არის, და თუ ერს ერობა უნდა, თუ კიდევ აქვს სურვილი და უნარი თავის თავის შენახვისა, ძალა სიცოცხლისა და ცოტაოდენი ენერგია, შეიძლება დარჩენილის შეგროვებაც, მისი შერჩენაც და პატრონობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სატირისა და იუმორის გვერდი





## რუბრიკის მასპინძელია ნიკოლოზ იოსებიძე

### ბარათი საიქიოდან

ცხოვრობდა კაცი ნამუსით,
მოკრძალებით და ბოდიშით,
კარგი ცხოვრების ლოდინში,
შიმშილით მოკვდა ლოგინში.
საიქიოდან მოვიდა
გუშინ იმ კაცის ბარათი,
იქ აუწყვია საცოდავს
ცხოვრება, როგორც საათი.
ბარათი გამოირჩევა
კმაყოფილების სიუხვით,
სამოთხის კარში შესულა
ზარ-ზეიმით და ტრიუმფით.
თურმე სამოთხე ყოფილა
აუწერელი ზღაპარი,
ჩახჩახებს კელაპტრები და
ჩაუქრობელი ლამპარი.
უკრავენ ბახს და მენდელსონს,
დაფრენენ ანგელოზები,
თითის წვერებზე დადიან
ყოფილი ქუჩის ბოზები.
ქურდები აღარ ქურდობენ,
კაცს აღარ კლავენ მკვლელები,
ხალხს ერთმანეთის საშველად
გაშვერილი აქვთ ხელები.
არც კაბინეტი სჭირდებათ,
არც ფარის მთაში გარეკვა
არც საქმეების ჩაწყობა,
ნაცნობობა და დარეკვა.
იქ პოლიცია არ არის,
თუ გსურს, გადადი ყირაზე
არც საყიდლებზე ზრუნავ და
არც შენი ბინის ქირაზე.
ტრანსპორტზე კაცი არ ფიქრობს
და მითუმეტეს ბენზინზე,
დაგრიალებენ ჰაერში
ნამგალებივით ჩვენს ჯინზე.
მოკლედ, ცხოვრება ყოფილა,
რომ ვერ ინატრებ უკეთესს,
თურმე კაცი რომ კაცსა კლავს,
სამადლო საქმეს უკეთებს.

* * *

ისტორიულად, ყოველთვის
„ვუყვარდით“ თურქებს, სპარსელებს,
სიყვარულ-მოფერებაში
გვჟუჟეს-გვბუგეს და გაგვთელეს.
დღეს, ძველებური სითბოთი
„გვეფერებიან“ ქართველებს,
ყუმბარის, ბომბის მაგივრად
„გვესვრიან“ საჭმელ-სასმელებს.
ზოგში შხამ-ქიმიკატია,
ზოგში ტყვია და ურანი,
ქრისტიანების გენოციდს
ალბათ არ კრძალავს ყურანი.
ბაზრებში არის სიუხვე,
მიუწვდომელი ოცნებით,
ეს არცთუ ისე ცუდია
მაძღრები დავიხოცებით.
ვიცი არ მომიწონებენ
საყვედურს ნათქვამს ამ ტონით,
ქვეყანაა თუ ნახირი,
სჭირდება კარგი პატრონი!

## მეზობელო კარისაო

მიხომ ვაზისუბანში ბინა მიიღო. ბარგის აზიდვაში იმერელი მეზობელი კოწია მოეხმარა. მიხომ აღარ გამოუშვა და ჭერი დაალოცინა. ჭაჭის არაყთან ერთად მაგიდაზე ლეღვის ჩირი, ნიგოზი და ჩურჩხელებიც მიიტანა. კოწია სამჯერ რომ „დეიჯღანა“, გამოემშვიდობა და კიბეზე ჩაირბინა.

მეორე დღეს კოწიამ ფანჯრიდან დაინახა, რომ მიხო სადარბაზოში შევიდა, გაალო კარი და შეიპატიჟა.

— ჩემი ჭაჭა იმერულია, მარა, შენსას არ ჩამოუვარდება, ჩემო მიხო, „დევიჯღანოთ“ თითო. მიხო შევიდა, მაგიდაზე არყის ბოთლი, ორი ჭიქა და ჯამით ტყის თხილი დგას. მიხომ ოჯახი დალოცა, თხილი პირში ჩაიდო, აგლახავა-აგლახავა, მაგრამ ვერ გატეხა, გამოიღო და ისევ ჯამზე დადო. ორი კიდევ დალია, რამდენიმე თხილი კიდევ „დაკბინა“, მაგრამ ვერაფერი ვერ დააკლო და ისევ ჯამზე დაყარა. ასე მეორდება ერთი თვის განმავლობაში. ერთ დღეს, მიხოსთან სვამენ, მეორე დღეს კოწიასთან, რაც ჯამზე თხილია, ყველა დაკბენილია, მაგრამ მოკლებით ერთიც ვერ მოაკლო მიხომ. ერთ მშვენიერ დღეს ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე, მიხო მიადგა კოწიას კარებს და დააკაკუნა.

— ოოო! მობრძანდით, მობრძანდით, დაბრძანდით!

— კოწიავ, დღეს დასალევად არ შემოვსულვარ. სტუმრები მამივიდნენ და ის შენი თხილი მათხოვე ჯამიანად, საღამოზე იგრევე ჩამოგიტან.

## ტრაქტატი

ერეკლე მეორეზე ფილმის გადაღებას აპირებენ და როლის შემსრულებელს ეძებენ. ზემო მაჩხაანში კაცი აღმოაჩინეს, ისე ჰგავს ერეკლეს, გრიმის გაკეთებაც არ სჭირდება. შესთავაზეს როლი, მაგრამ სასტიკი უარი განაცხადა.

— რას ამბობთ, ჯო?! სად ერეკლე და სად მე! იმოტელა საქმე მაქ, მაგ მაიმუნობისთვინ მოვიცლი? — სასტიკი უარი სტკიცა მიხომ. როცა ფიზიკური დახმარებაც აღუთქვეს და ფულითაც დააინტერესეს, მიხო მოლბა.

— ჰო, კარგი, გადამიღეთ, ოღონდ ი რაღაც ტრაქტატია თუ ჩემი ფეხები, იმაი ხელ არ მოვაწერ! — გაასავსავა ხელები მიხომ.

## სამართალმა პური ჭამოს



12 წლის მიხო მეზობლის გოგოს გაუპატიურებაში ამხილეს, დაიჭირეს და ასამართლებენ. როდესაც ყველამ თავისი სიტყვა თქვა, დაზარალებულიდან პროკურორით და მოსამართლით დამთავრებული, მიხოს ბებიამ ითხოვა სიტყვა, ბავშვი მაგიდაზე დააყენა, შარვალი ჩახადა და დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლევ! ჩემო საყვარელო თანასოფლელებო, განა შეიძლება რომა, აი, ამ თითისტოლა ბიჭმა — ამას შემოევლოს ბაბოი, აი, ამ პატარა ისემითა, აი, ამ ერთი ციცქნა იმითა — ბაბომ შაუჭამოს ეს ლამაზი... — თან ხელს უცაცუნებს ბავშვს — რომა ვინმე გააუპატიუროს?!

— ბებო, იმაზე ხელს ნუ მიცაცუნებ, თორემ სასამართლოი წავაგებთ — ჩასჩურჩულა მიხომ ყურში ბებოს.

## ექო

ბირჟავიკი ხულიგანი გიგო მიმაგრებით მთაში გაუშვეს მეცხვარის მოადგილედ. გიგო მთაში პირველად არის და გაოცებულია ყველაფრით.



მეცხვარემ ცხვარს დაუტია და ცოტა ხანში, ექო დაუბრუნდა უკან.

— ის ვილაა, ჯო?!

— ეგა, ბიჭო, არავინაც არ არი, ეგა, ექოა!

— ვაა! — თვითონაც გასძახა გიგომ და იმასაც დაუბრუნდა ექო. მოეწონა გიგოს და ხშირ-ხშირად იმეორებს.

— რა გაგიკვირდა ჯო, ქვევრმაც მაგრე არ იცის?! ეტყობა, შენ არ დაკვირვებიხარ!

ერთი თვე რომ შესრულდა, გიგო მთიდან ჩამოვიდა და სოფლის ორღობეში მიდის, დაინახა მეზობლის ეზოში ქვევრს თავი აქვს ახდილი, იფიქრა, ერთი ექოზე შევამოწმებო და შიგ ჩასძახა.

—ჰე, ჰე, ჰე!!! შენი დედა...!

— შენი დედაც, შენი მამაც და შენი კეთილებიც, ჩაფიქრებული ვიყავი და გული კინაღამ გამისკდა, შე შობელძაღლო, შენა!

— შენა კაცო, ექო არა ხარ?!

— ექო კი არა, მიხო ვარ, ამოვალ და გაგხეთქამ ცემით, შე ბირჟავიკო ვირიშვილო, შენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატელევიზიო პროგრამები. 20 – 25 ივლისი

## 20 ივლისი, სამშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.15 დოკ.ფ. "მსოფლიოს ველური ბუნება". 10.00 საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ტრანსლაცია. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 მესაკუთრე. 18.30 კონცერტი. 18.45 ექიმის მოსვლამდე... 18.55 მო-TV. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 ინტელექტ-კლუბი. 22.00 ვესტნიკი. 22.25 რეტროპერსპექტივა. 23.25 ასპარეზი. 23.40 კამერა-ტონი. 0.15 მხ.ფ. "იუკა".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 სუპერ-მატჩი. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 კინოს საუკუნე. 22.30 მხ.ფ. "კაბირიას ღამეები". 0.15 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.55, 2.30 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "პატრიოტები". 23.00 ანალიტ. პროგრამა "Перекресток". 0.50 მხ.ფ. "სახლი-3". 2.40 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.25 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 "ილია". 11.55 მხ.ფ. "ბიტლ-ჯუსი". 18.20 მხ.ფ. "სახიფათო გასეირნება". 19.45, 0.15 მუს.ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "დავითი-2". 22.30 მუს. ლაბირინთი. 22.35 მხ.ფ. "ანგელოზის ცეკვა". 0.20 დოკ.სერიალი "ამერიკის სპეცსამსახურები". 0.55 მხ.ფ. "ძირს არ დაიხედო".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 21.50 მხ.ფ. "იდეალური მკვლელობა". 0.15 მხ.ფ. "ნაღდი მაკკოი". 1.55 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 18.15 სერიალი „არავინ შენს გარდა". 14.15 მხ.ფ. „პოლიციის კომისრის აღიარება რესპუბლიკის პროკურორს". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.45 მუსიკა. 18.30 დოკ.ფ. 18.40 ბიზნეს-კურიერი. 19.00 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 მუს.სამშაბათი. 22.30 მხ.ფ. „მედისონის ოლქის ხიდები".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.35, 18.55, 20.45, 22.30, 0.35 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „ნაპირები". 12.45 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ.ფ. 19.05 მხ.ფ. „ხუჭუჭთმიანი სიუ". 20.55 მხ.ფ. „საეჭვო პირები". 22.45 მხ.ფ. „ეშმაკუნები". 0.50 მხ.ფ. „კრეოლა". 2.40 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.45 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 12.15 "Смехопанорама". 12.50 Домашняя библиотека. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.40 Мультфильм. 16.50 "Счастливый случай". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.10 "Как это было". 21.00 Сериал "МИСС МАРПЛ". "НЕМЕЗИДА". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ДВА ФЕДОРА". 00.15 Сериал "САМОЗВАНЦЫ - "АЛЕКСЕЙ". 00.55 Сериал "ТЕМНЫЕ НЕБЕСА". 02.00 Х/Ф "КРЕПОСТЬ ОТЧАЯННЫХ".

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта. 13.30 Взаимосвязи с Джеймсом Берком. 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком. 14.50 Австралиец. 15.20 Первые полеты. 15.45 Операция на орбите. 16.40 Ультранаука. 17.10 Древние корабли. 17.35 Игрок. 18.05 Галактическая энциклопедия. 18.20 Полет в Иорданию. 19.15 Приключения Квеста. 20.10 Катастрофа. 21.30 Мир Уолкера. 22.00 Линия полета. 22.30 Древние воины. 23.00 История одного зоопарка. 23.30 Великий оппортунист. 0.30 Знаменитые побеги.

## 21 ივლისი, ოთხშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 23.45 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 ტელე-სინე-ვიდეო. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ხეირი. 22.30 ეპოქა. 23.35 მო-TV. 0.00 მხ.ფ. "დასტაქარი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.45 მეომარი. 20.00 5/5. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 "ახლო ხედი". 22.40 მხ.ფ. "ქალის ტვირთი". 0.15 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.35 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ "რიგითი ბენჯამენი". 23.55 "მაშველები". 0.50 მხ.ფ. "ფერფლი და ალმასი". 2.45 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.35 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "მაბეზღარა". 13.25 "ავტოპილოტი" (გამეორ.). 18.20 მხ.ფ. "ედი". 19.45, 0.30 მუს.ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "ჩვენ ანგელოზები არ ვართ". 22.40 მუს.ლაბირინთი. 22.45 მხ.ფ. "ყოვლისშემძლე ჯო იანგი". 0.45 დოკ.სერიალი "ამერიკის სპეცსამსახურები". 0.10 მხ.ფ. "ფანტომები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.45, 1.50 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "თეთრი სასახლე". 0.15 მხ.ფ. "სიუზანის მზაკვრული გეგმა".

**ივერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 18.15 სერიალი „არავინ შენს გარდა". 14.15 მხ.ფ. „მედისონის ოლქის ხიდები". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.30 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 სპორტ.პროგრამა. 21.30 დოკ.ფ. 22.30 მხ.ფ. „მუსიკალური ადამიანი".

10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 19.10, 21.00, 22.40, 0.55 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „ეშმაკუნები". 12.35 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.20 მხ.ფ. „თაგვთა ნადირობა". 21.10 მხ.ფ. „მსოფლიოთა გზაჯვარედინი". 22.55 მხ.ფ. „უკანასკნელი ადამიან-ძაღლთა ტომიდან". 1.15 მხ.ფ. „მწარე მთვარე". 1.10 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.55 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Каламбур". 11.50 Мультфильм. 12.00 Домашняя библиотека. 12.10 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.05 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Классная компания". 17.05 Зов джунглей. 17.30 "... До 16 и старше". 19.20 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.15 "Человек и закон". 21.00 Сериал "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ДЕИСТВУЙ, СЕСТРА!". 00.30 Сериал "САМОЗВАНЦЫ - "АЛЕКСЕЙ |". 01.05 Сериал "ТЕМНЫЕ НЕБЕСА". 02.10 Х/Ф "КРЕПОСТЬ ОТЧАЯННЫХ".

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта. 13.30 Разрушая лед. 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком. 14.50 Австралиец. 15.20 Первые полеты. 15.45 Мир будущего. 16.15 Красивое решение. 16.40 Ультранаука. 17.10 Древние корабли. 17.35 Игрок. 18.05 Галактическая энциклопедия. 18.20 Век войн. 20.10 Катастрофа. 21.30 Мир Уолкера. 22.00 Линия полета. 22.30 Древние воины. 23.00 История одного зоопарка. 23.30 Тигры-людоеды. 0.30 Знаменитые побеги.

## 22 ივლისი, ხუთშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 საკონსტიტუციო სასამართლო. 18.50 ჰიგია. 19.10 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 პოლიტიკური პორტრეტი. 22.00 ვესტნიკი. 22.20 რამპა. 22.25 ხეირი. 22.35 ეკო-დაიჯესტი. 23.00 "მრავალსახეობა". 23.40 მო-TV. 0.15 მხ.ფ. "კარები".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.45 ორატორი. 20.00 ჰოროსკოპი. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 შვიდეული. 22.35 მხ.ფ "სიუზანის მზაკვრული გეგმა". 0.00 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.55 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "ვნებების ტალღა". 23.55 "მაშველები". 0.50 მხ.ფ. "კრავთა დუმილი". 3.05 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "გადმოსხმის ზონა". 13.35 "შეხვედრები ატლანტიდაში" (გამეორ.). 18.20 მხ.ფ. "იანკები აფრიკაში-2". 19.45, 0.00 მუს.ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "გრაფი მონტე-კრისტო-1". 22.35 მუს. ლაბირინთი. 22.40 მხ.ფ. "პოლი". 0.15 დოკ.სერიალი "ამერიკის სპეცსამსახურები". 0.45 მხ.ფ. "მეშვიდე ნიშანი".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.55 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "12 განრისხებული მამაკაცი". 0.15 მხ.ფ. "საძმო". 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „არავინ შენს გარდა". 14.15 მხ.ფ. „მუსიკალური ადამიანი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03 მუსიკა. 18.30 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 20.30 პოლიტიკური პორტრეტი. 22.30 მხ.ფ. "ინკოგნიტო".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.35, 18.45, 20.25, 22.20, 0.15 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „უკანასკნელი ადამიან-ძაღლთა ტომიდან". 12.45 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ.ფ. 18.55 მხ.ფ. „ოპერაცია „დალმატინელები". 20.35 მხ.ფ. „ვარსკვლავეთის გმირები". 22.35 მხ.ფ. „შინისაკენ გზა არ არის". 0.30 მხ.ფ. „ზარალი". 2.30 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.50 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Джентльменшоу". 11.50 Мультфильм. 12.05 Домашняя библиотека 12.15 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Возможно все!". 17.00 "Улица Сезам". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.20 "Чтобы помнили". 21.00 Сериал "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ". 22.00 Время. 22.50 Х/Ф "ЭТО НЕ Я, А ОН!". 00.30 Сериал "САМОЗВАНЦЫ - "АЛЕКСЕЙ". 01.00 Сериал "ТЕМНЫЕ НЕБЕСА". 02.05 Х/Ф "ТОВАРИЩ НА ЛЕТО".

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта. 13.30 Божественное волшебство. 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком. 14.50 Автралиец. 15.20 Первые полеты. 15.45 Африка, которой нет на карте. 16.15 Загадочное животное. 16.40 Ультранаука. 17.10 Древние корабли. 17.35 Игрок. 18.05 Галактическая энциклопедия. 18.20 Суперкорабль. 19.15 Реактивные самолеты 22-го века. 20.10 Катастрофа. 21.30 Мир Уолкера. 22.00 Классические велосипеды. 22.30 Искатели сокровищ. 23.00 История одного зоопарка. 23.30 Мир акул и барракуд. 0.30 Знаменитые побеги.

## 23 ივლისი, პარასკევი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 "გამარჯობა, აფხაზეთო, შენ!" 21.40 "კავკასიური სამკუთხედი". 22.00 ვესტნიკი. 22.20 ტელესკოპი. 22.15 ასპარეზი. 22.30 ვ.კიკაბიძის კონცერტი. 0.15 მხ.ფ. "ოთხი ოთახი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.40 "მესამე სექტორი. 20.05 რაგბის მოყვარულთათვის. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 ანტრე. 22.35 მხ.ფ. "დროის წებოვანი თითები". 0.20 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 112.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 1.50, 4.15 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "მაშველები". 10.20, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "მოულოდნელი მანჰეტენი". 0.50 "სიმფსონები". 1.20 "ფანტაზიები". 1.50 მხ.ფ. "მწარე თაფლობის თვე". 4.25 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.10 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "მგზავრი 57". 18.20 მხ.ფ. "ჩვენ ანგელოზები ვართ". 19.45, 1.00 მუს.ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "გრაფი მონტე-კრისტო-2". 22.15 თიკო ვირტუალურ სამყაროში. 22.25 მუს.ლაბირინთი. 22.30 მხ.ფ. "ნოეს კიდობანი". 1.15 დოკ.სერიალი "ამერიკის სპეცსამსახურები". 2.05 მხ.ფ. "ქალაქური ლეგენდები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 1.00 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00, 0.15 მხ.ფ. "მლოცავი". 0.20 მხ.ფ.

**ივერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „არავინ შენს გარდა". 14.15 მხ.ფ. "ინკოგნიტო". 18.00 დოკ.ფ. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 „კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება". 22.30 მხ.ფ.

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.15, 19.30, 21.35, 23.40, 1.25 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „შინისაკენ გზა არ არის". 12.25 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმები. 19.40 მხ.ფ. „ცუდი ბიჭები". 20.40 მხ.ფ. 23.55 მხ.ფ. „მონასტერი". 1.40 მხ.ფ. „მკვლელი ოფისში". 2.20 ნონ-სტოპი.

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.40 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Маски-шоу". 11.40 Смак. 12.00 Мультфильм. 12.10 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 13.55 Х/Ф "САЖЕНЦЫ". 15.30 "Вместе". 16.15 Х/Ф "ПУТЕШЕСТВИЕ НЕТТИ ГАНН". 19.20 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.15 Док. фильм "Дневник убийцый. Дело 1996 г.". 20.45 "Ералаш". 21.00 "Поле чудес". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ДВОЙНОЙ УДАР". 00.10 "Женские истории". Л. Кучма. 00.55 Х/Ф "ШЕПОТ".

**DISCOVERY CHANEL** 13.00, 20.35 Рыболовное приключение Рекса Ханта. 13.30 Дикая Африка. 14.25 Загадочные силы природы с Артуром Кларком. 14.50 Австралиец. 15.20 Первые полеты. 15.45 Сигнал тревоги. 16.15 Чарли Браво. 16.40 Ультранаука. 17.10 Древние корабли. 17.35 Игрок. 18.05 Галактическая энциклопедия. 18.20 Бомбардировка Америки. 19.15 Юрассика. 20.10 Катастрофа. 21.30 Мир Уолкера. 22.00 Классические велосипеды. 22.30 Искатели сокровищ. 23.00 История одного зоопарка. 23.30 Гепард-победитель. 0.30 Знаменитые побеги.

## 24 ივლისი, შაბათი

10.00 დილის პროგრამა. 12.05 რუს.მხ.ფ. "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". 14.20 "...და ეს ყველაფერი ჩვენზეა". 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 15.20 კონცერტი. 15.30 კვალი. 16.00 "მუსიკალური ფეიერვერკი". 16.30 "უჩარჩოოდ" - ლ.გრიგოლია. 16.50 მესაკუთრე. 17.05 მულტფილმი "პატარა დინოზავრი დინკი". 18.20 მო-TV. 18.30 "საოჯახო ლოტო". 19.00 აჭარა. 19.30 საქართველოს კონსტიტუცია. 20.35 "ბასტი-ბუბუ". 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 "მაესტრო". 22.15 "პიროვნული მომენტი". 22.40 დრიბლინგი. 23.30 "კიბე" (33/ა). 0.15 "ილუზიონი" - მხ.ფ. "პატარა ქურდბაცაცა".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 ჩიპო. 19.50 ოაზისი. 21.00 ავტოსპორტი. 21.30 ექსტრა. 21.55 ჯაზ-სპირიტი. 22.20 ვარსკვლავები გვამცნობენ... 22.35 მხ.ფ. "გზა არლინგტონისაკენ". 0.05 ჰიტ-პარადი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 21.00, 1.20, 4.05 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ. სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00 "სიმფსონები". 12.30, 19.40 "მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20, 19.10 "მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 20.35 სპორტ. პროგრამა. 21.50 ფსიქო - მხ.ფ. "დიდი დიქტატორი". 1.30 "ფანტაზიები". 2.00 მხ.ფ. "უკვდავი სატრფო". 4.15 ღამის ჯაზი.

**VII არხი** 17.05, 20.05, 23.35 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. "ტარზანი და დაკარგული ქალაქი". 18.40 დოკ.ფ. 19.15 ვარსკვლავი. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 20.55 "შეხვედრები ატლანტიდაში". 21.25 მხ.ფ. "წვიმის კაცი". 23.40 "ბედნიერი ერი". 23.45 მხ.ფ. "ცალთვალები". 2.10 მუს.ტაიმ-აუტი. 2.10 მხ.ფ "აკრძალული ხილი".

12.00 მხ.ფ. "დრაივი". 13.55 გასართ.პროგრამა. 13.45 მულტფილმი. 15.00 მხ.ფ. 16.30, 20.20, 21.45, 23.55 მუსიკა. 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.30 როკ რენერი. 18.00 მულტფილმი. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "გზა არლინგტონისაკენ". 0.15 ჯაზ-პარნასი. 0.45 მხ.ფ. "ცეცხლოვანი ლეგიონი". 2.15 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00 "სტუდია-25". 11.30, 18.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 მხ.ფ. "ბადი". 13.45, 20.55 მუსიკა. 14.00 დოკ.ფ. 15.00 თქვენი ადვოკატი. 16.00 სპორტ. გადაცემა. 16.30 მხ.ფ. „სხვა 48 საათი". 18.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 19.00 „შაბათიდან-შაბათამდე". 19.45 „სტილი". 20.30 ანშლაგი. 21.00 მხ.ფ. "საქმიანი ქალი". 23.00 მხ.ფ. „ჯოჯხეთის ტაძი".

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.05, 13.25, 15.15, 19.25, 21.20, 22.30, 1.35 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „მონასტერი". 12.15, 18.00 მულტფილმები. 13.35 მხ.ფ. „ხომ არ გავგზავნოთ მაცნე?" 15.30 კლიპ-მიქსი. 19.35 მხ.ფ. „სამოთხისეული სიამოვნებანი". 21.30 მხ.ფ. „ლედი-მიმინო". 23.45 მხ.ფ. „სნაიპერი - გასროლა გულში". 1.50 მხ.ფ. „მგზავრი". 3.25 ნონ-სტოპი.

08.55 Х/Ф "СЛУГИ ДЬЯВОЛА НА ЧЕРТОВОЙ МЕЛЬНИЦЕ". 10.25 Слово пастыря. 10.45 "Домашняя библиотека". 11.00, 16.00, 19.00 Новости. 11.15 "100 %". 11.45 "Утренняя почта". 12.20 Каламбур. 12.50 Смак. 13.10 "История одного шедевра". 13.35 "Экстренный вызов". 14.05 Х/Ф "МЫ, ДВОЕ МУЖЧИН". 15.30 "Цивилизация". 16.15 Док. сериал "Мама, это я!". 16.45 В мире животных. 17.25 Футбол. Лучшие матчи чемп. мира 1998 года. 19.15 "Тема". 19.55 "Ералаш". 20.05 Х/Ф "ОПЕРАЦИЯ "СВЯТОЙ ЯНУАРИЙ". 22.00 Время. 22.50 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 00.30 Х/Ф "ФЕЙЕРВЕРК".

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Приключения "Квеста". 13.55 Взаимосвязи с Джеймсом Берком. 14.50 Первые полеты. 15.45 Дикая Африка. 16.40 Крылья над морем. 17.35 Галактическая энцилопедия. 17.50 Полет в Иорданию. 18.45 Чарли Браво. 19.15 Катастрофа. 19.40 Древние корабли. 20.35 Первые полеты. 21.00 Великие командиры. 22.00 Война и цивилизация. 0.00 Восстание в порту Чикаго.

## 25 ივლისი, კვირა

10.00 დილის პროგრამა. 12.15 სპა. 12.45 რუს.მხ.ფ. "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". 13.55 საბავშვო პროგრამების სტუდია წარმოგიდგენთ... 14.50 "ბავშვები - უპირველეს ყოვლისა". 15.00, 18.00, 0.00 მოამბე. 15.15 "სოფლის ქრონიკები". 15.45 "ეძიე ქალი..." 16.05 მხ.ფ. "კოსმოსური ჯემი". 17.25 "მსოფლიოს ახალი ამბები". 17.45 "გახსენება" - ი.კვაჭაძე. 18.15 "ლატარია ყველასათვის". 18.35 ქართული გვარები. 19.15 აფხაზეთის ტელევიზია. 19.55 "ენერგია". 20.10 ტოტო-ლოტო. 20.25 მო-TV. 21.00 ტაიმ-აუტი. 22.00 "ფორტუნა". 22.45 ვიდეოპატრული-02. 22.55 ხეირი. 23.05 "დიდების ზღაპარი". 23.30 ტელესკოპი. 23.35 ევროპის ახალგაზრდული თამაშები. 0.15 მხ.ფ. "ანა".

19.00 მულტფილმი, კინოფანტაზია, გაილიმე, ანტრაქტი, სუპერ-მატჩი, "ბომონდი", "კერპები", მხ.ფ, ღამის ქალაქი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 0.10, 2.30 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ.სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00, 23.40 "სიმფსონები". 12.30, 19.40 "მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20, 19.10 "მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 20.30 სპორტ. პროგრამა. 21.00 კვირა. 21.50 მხ.ფ. "კონკია". 0.20 მხ.ფ "შავი წვიმა". 2.40 კლასიკა.

**VII არხი** 17.05, 20.05, 22.05 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. "ახალი რობინზონები". 18.55, 1.45 გასართ. პროგრამა. 19.30, 21.00 დოკ.ფ. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 21.30 "ავტოპილოტი". 22.10 მხ.ფ. "სამართებლის პირზე მორბენალი". 1.30 მუს.ტაიმ-აუტი.

12.00 ინდ.მხ.ფ. "რთული არჩევანი". 14.30, 21.45 მუსიკა. 15.00 მხ.ფ. "ერთხელ ცხოვრებაში". 16.30 დებიუტი. 17.30 "ცხოვრება სიტყვაში - ჯონის მაიერი". 18.00 მულტფილმი. 18.30 "ფეხბურთის ლეგენდები". 19.00 მხ.ფ. "ლომის დარტყმა". 20.30, 0.00 დღეს. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "ტალღის წვერზე". 0.15 ჯაზ-პარნასი. 0.45 მხ.ფ. "მეფე-მებადური". 2.55 მუს.კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00 „ცისკრის ზარები". 11.05 ქართ. მულტფილმები. 11.25 მოკლ.მხ.ფ. „ბავშვები". 12.00 ლოცვა. 12.05 მხ.ფ. „ნერგები". 13.30 დოკ.ფ. „იაკობ ნიკოლაძე". 13.45 ქართ.სერიალი „სპირალი". 15.00-18.00 რელიგიის საათები. 18.00 მოკლ.მხ.ფ. „თეთრი ქვები". 18.25 მუსიკა. 19.00 თბილისური ოჯახები. 19.30 „ფიროსმანი". კონცერტი. 22.20 მოკლ.მხ.ფ „სამი ამბავი ტელეფონით". 22.45 დოკ.ფ. „ვარძია". 23.00 მხ.ფ. „ლონდრე".

10.00 ექო. 10.15, 18.00 მულტფილმი. 11.00, 18.45 ქართ.მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა. 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 13.45, 15.35, 19.25, 21.10, 22.55, 0.40 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. „სნაიპერი - გასროლა გულში". 12.35, 18.00 მულტფილმი. 13.55 მხ.ფ. „ლეგენდა მეომარზე". 15.50 კლიპ-მიქსი. 19.35 მხ.ფ. „ავარია". 21.25, 23.10 მხ.ფ. „ჟანა დ-არკი. 0.55 მხ.ფ. „თეთრი ბოროტება". 2.40 ნონ-სტოპი.

09.00 Мультфильм. 09.15 Х/Ф "НОВЫЙ ГУЛЛИВЕР". 10.30, 17.35, 18.00 Дисней-клуб. 11.00, 16.00 Новости. 11.15 "Непутевые заметки". 11.30 "Пока все дома". 12.05 "Утренняя звезда". 12.55 "Служу России!". 13.30 "Играй, гармонь любимая!". 14.00 "Крестьянские ведомости". 14.35 "Все путешествия команды Кусто". 15.25 "Смехопанорама". 16.15 "Здоровье". 16.45 Клуб путешественников. 18.30 "Колесо истории". 19.20 Программа к 70-летию В.Шукшина. 20.05 Х/Ф "КАЛИНА КРАСНАЯ". 22.00 Время. 22.40 Х/Ф "РУССКИЙ ОТДЕЛ". 00.50 Футбольное обозрение. 01.20 "Абажур". 01.50 Сериал "ЗОЛОТЫЕ ГОДЫ СТИВЕНА КИНГА".

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Юрассика. 13.55 Австралиец. 14.25 Приключения в австралийской пустыне. 14.50 Реактивный самолет 22-го века. 15.45 Божественное волшебство. 16.40 Суперкорабль. 17.35 Галактическая энциклопедия. 17.50 Разрушая лед. 18.45 Век войн. 20.35 Ультранаука. 21.00 Самолеты завтрашнего дня. 22.00 Экстремальные машины. 23.00 Юрассика. 0.00 Охотник на крокодилов.

# სკანვორდი



- მგზავრის ბარგი, ტვირთი (6)
- ნორვეგიელი მწერალი (8)
- „.... და იზოლდა" (8)
- რისამე განვითარების პერიოდი (6)
- დიდი აღელვება, აურზაური (8)
- მუხის ნაყოფი (3)
- შინდის ბოტების ცოცხი ეზოსთვის (4)
- ჩიტის მართვე (6)
- ამჩატებული თავქარიანი ადამიანი (7)
- ტარიანი საჭრელი იარაღი (4)
- შავიზღვისპირა კურორტი აფხაზეთში (5)
- პლა-ნეტა (5)
- რისამე დედა-აზრი, რაობა. (4)
- ფიდელ ... (6)
- ადამიანის სხეული ხელ-ფეხის გარდა (4)
- ქანძული ხმელთაშუა ზღვაში (8)
- პირისახის ქვედა ნაწილი კბილებისათვის (3)
- სახსოვრებელი სადგომი სახლში (4)
- მეფის სასახლე (3)
- დიასამიძე ... (5)
- მეგად მსხვილი თოკი (6)
- პატარა თოვლის მარხილი (4)
- მუსიკას სრულყოფილად დაუფლებული პირი (8)
- დიდი ფასის მკონე (5)
- შინაური ცხოველი (4)
- ... თბილელი (3)



## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი და მასთან არსებული კოლეჯი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ: საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს; მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერტიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები; ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში; შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; ისწავლოთ ქალაქის ცენტრში, მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1999-2000 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**1. სამართალმცოდნეობა; 2. ავტოტექნიკური ექსპერტი; 3. საგარეო უწყებათა მომსახურება; 4. ფინანსები და კრედიტი; 5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 6. საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი; 7. წარმოების ეკონომიკა და მართვა; 8. საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა; 9. ისტორია; 10. ქართული ენა და ლიტერატურა; 11. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 12. პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი; 13. ხელოვნებათმცოდნეობა.**

საბუთები მიიღება 1 აგვისტომდე. ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17 საათამდე, V სართული, ოთახი 502. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე.

გამოცდები ჩატარდება 26-30 აგვისტოს.

უმაღლესდამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.

ინსტიტუტის კოლეჯში მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

**1) სამართალმცოდნეობა; 2) ფინანსები და კრედიტი; 3) საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი; 4) საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური).**

მიღება იწარმოებს როგორც 9 კლასის, ასევე 11 კლასის ბაზაზე.

***ინსტიტუტის დამფუძნებელია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ლეო ჩიქავა.***

## ვულოცავთ

**თამუნა ლეკიშვილს** და **ოთარ შუბლაძეს** ოჯახის შექმნას. ვუსურვებთ ბედნიერებას, დიდ სიყვარულს, მრავალშვილიანობას და ზღვა სიხარულს მშობლებთან და ყველა ახლობელთან ერთად.

***სერგო ჯანაშია ოჯახით.***

## გახსენება

### გურამ აროშიძე



ჩვენო გურამ, შენი წასვლით ყველას დიდი სიცარიელე დაგვეუფლა, ამიტომ ძალიან ძნელია შენი დაკარგვით მოყენებული ჭრილობის მოშუშება. შენ ხომ ჩუმი, უხმაურო, უპრეტენზიო და უსაზღვროდ კეთილი კაცი იყავი, შენ ხომ ოჯახისა და ქვეყნის დარდით დასერილი და დაღლილი გულით წახვედი ჩვენგან.

გვაკლია, ძალიან გვაკლია, გურამ, უშენობა, ოჯახს, მეგობრებს, მეზობლებს, უბანს. ყველაზე უფრო შენს ერთადერთ შვილიშვილს მაკუსას აკლიხარ, სულ რომ გიგონებს და ყოველ დილით გუკა ბაბუკას სურათს ეფერება.

გურამ, ყველაზე შეყვარებულო, უსაზღვროდ კეთილო, კაცო ღიმილო და იმედიანო. დღეს როგორი სატკივარი ხარ, არ ყუჩდება შენი დაკარგვით მოყენებული მძიმე იარა. ყველას მოგონებაში დარჩი, როგორც დიდბუნებოვანი კაცი, კაცი ღიმილი, კაცი სიკეთე. მუდამ ჩვენს გვერდით ხარ, ჩვენს გულებში ცოცხლობს შენი ნათელი, სიკეთით სავსე სახე, რომელიც ჩვენი ოთახის კედლიდან ყოველდღე გვიღიმის და გვეფერება.

ნათელში იყავი ძვირფასო მეუღლევ, ჩვენო მამავ, ძმაო და ბაბუავ.


იყიდება მეტრო „წერეთელთან" ბათუმის ქ. №32 3-ოთახიანი სუფთა ბინა ახალი მიშენებით. საერთო ფართი 110 კვ. მ. ჭერის სიმაღლე 3,70 მ.
საწყისი ფასი 25000 $-ის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში
ტ. 35-09-96

იყიდება 2,5-ოთახიანი ბინა რვასართულიანის მე-5 სართულზე აკ. წერეთლის პროსპექტზე, გამოფენასთან (მიშენებულია 60 კვ. მ. ფართი).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 34-71-94 ლიდა.

ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის მუდმივად მომქმედ სასწავლო კურსებზე შეგასწავლით თანამედროვე კომპიუტერულ (Windows'95/98,Word,Excel, Paint), ინფორმაციულ (Visual Basic 6.0), ტექნოლოგიებს. გაიცემა სერტიფიკატი.
გარდა ამისა, ვიღებთ დაკვეთებს, ვაწარმოებთ კონსულტაციებს და სწავლებას ყველა სახის გამოთვლითი სამუშაოების ჩასატარებლად. მათ შორის პრობლემურად ორიენტირებული მონაცემთა ბაზების პროექტირების, შექმნის და ექსპლოატაციის საკითხებზე.
მისამართი: ივ. ჯავახიშვილის 51. ტელ.: 95-66-40

ქირავდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა ტელეფონით, ავეჯით, მაცივრით, ტელევიზორით, ყველაფრით უზრუნველყოფილი, II სართულზე. ფასი 120$ თვეში. მისამართი: ქავთარაძის ქ. №5. ტ.: 38-96-14 (იკითხეთ ბეჟანი).

ბათუმში იყიდება 4 ოთახიანი ბინა (180 მ²) რუსთაველის 57, II სართული, ბინა 3. უმაღლესი რემონტით, 4 კონდიციონერით. ზღვის ნაპირიდან 50 მ. საკონტაქტო ტ. 8-88-222-7-24-04. 8-99-56-66-04. ფასი შეთანხმებით.

იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა, მაღალი ჭერით (5მ.) ტაბიძის ქუჩაზე (მერიის უკან) 3-სართულიან სახლში, ფასი 10000 დოლარი. ტ. 92-08-77, გოგი

იყიდება დიდი დიღმის IV მიკრორაიონში, ავტოტრანსპორტის ბოლო გაჩერებასთან, ლვოვის პროექტის 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე მდებარე 4-ოთახიანი ბინა. სარემონტო. ფასი 5000 დოლარი. დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ 76-65-42, ზაზა. საღამოს საათებში.


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია